ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნანა გუგუშვილი

# ქალის სახე
# შუა საუკუნეების საქართველოში

(ქორწინება, ოჯახი, განქორწინება)

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი

ნაშრომის მიზანია შუა საუკუნეების წერილობით წყაროებზე დაყრდნობით ნაჩვენები იქნას ქალის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპების სურათი, აგრეთვე მისი უფლება-მოვალეობები ყოველდღიური ცხოვრების გარკვეულ სიტუაციებში. ამისათვის ავტორი იყენებს როგორც ქართულ, ასევე ქართულად თარგმნილ საკანონმდებლო ძეგლებს, აგიოგრაფიულ ლიტერატურას, საისტორიო მწერლობის ძეგლებს, ისტორიულ დოკუმენტებს და სხვ.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ნათელა ვაჩნაძე

რეცენზენტები: აკადემიკოსი
დავით მუსხელიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
დარეჯან მეგრელაძე

© ნანა გუგუშვილი, 2004
გამომცემლობა არტანუჯი, 2004

# შესავალი

XX ს-ის II ნახევრიდან მედიევსტიკაში სულ უფრო მეტად იკვეთება ინტერესი საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლისადმი. ამასთან დაკავშირებით იწყება მონათესავე ჰუმანიტარული დისციპლინების — ისტორიული ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის კვლევის ახალი მეთოდებისა და მიდგომების ძიება. სულ უფრო ხშირია ისეთი თემების დამუშავება, როგორიცაა ოჯახი და ნათესაური ურთიერთობები, საწინააღმდეგო სქესის ურთიერთდამოკიდებულება, ქორწინება, სექსუალური ქცევა, ქალის მდგომარეობა და როლი შუა საუკუნეების საზოგადოებასა და ოჯახში.

ეთნოლოგებისა და ანთროპოლოგებისაგან განსხვავებით, რომლებიც ტრადიციულად მუშაობენ ამ პრობლემებზე, ისტორიკოსებს ადამიანის ცხოვრების ეს მხარე აინტერესებთ როგორც სოციო-კულტურული მოვლენა, ანუ სოციალურ, სამეურნეო პროცესებთან და ადამიანების მსოფლმხედველობასთან, მათ მორალსა და ზნეობასთან ურთიერთკავშირში. ისტორიკოსებს აინტერესებთ, თუ რა გავლენას ახდენდა მამაკაცისა და ქალის ურთიერთობის სპეციფიკა ადამიანების მოქმედებაზე და საზოგადოებაში შინაგანი წონასწორობის დაცვაზე.

ამ სფეროში გამოკვლევები დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ეთნოლოგებისაგან განსხვავებით, რომლებსაც საქმე აქვთ საველე ექსპედიციების დროს შეგროვებულ მასობრივ მასალებთან, ისტორიკოსმედიევისტს იშვიათად აქვს „გამზადებული" მასალა. ვერც შუა საუკუნეების ქალის მდგომარეობის სურათს, ვერც ნათესაური ურთიერთობების სისტემებს, ვერც სხვა ასპექტებს ამ მრავალწახნაგოვანი თემისა, ვერ ამოვიღებთ რომელიმე ერთი სახის წყაროდან. ეს არის სამეცნიერო კონსტრუირების ობიექტი, რომლის მასალაც სხვადასხვა ტიპის წყაროებში უნდა იქნას მოძიებული, იქნება ეს საკანონმდებლო და აგიოგრაფიული ძეგლები, ისტორიული დოკუმენტები თუ სხვ.

არანაკლებ სიძნელეებს უქმნის მკვლევარებს ტერმინოლოგიაც, რომელთაგან ზოგიერთს თანამედროვესაგან განსხვავებული გაგება აქვს. მაგ., თვით ტერმინს „ოჯახი" შუა საუკუნეების საზოგადოებისათვის უფრო განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე ეხლა, როდესაც ეს არის იურიდიულად დამოუკიდებელი მეუღლეები არასრულწლოვანი შვილებით. ამ ტერმინში შუა საუკუნეებში შეიძლება ეგულისხმათ როგორც სისხლით ნათესავთა ფართო წრე, ასევე ცოლ-ქმართან ერთად მცხოვრები, ერთი „საოჯახო მეურნეობის" ხალხი, რომლებიც არ იყვნენ ერთმანეთის სისხლით ნათესავები.

გარდა ამისა, ნათესაური კავშირების ცენტრშიც შუა საუკუნეებში იყო არა საქორწინო კავშირები, არამედ სისხლით ნათესაური კავშირები. ეს უკანასკნელი უფრო წმინდა, ღრმა და მჭიდრო იყო, ვიდრე საქორწინო. ნათესავები ეხმარებოდნენ ერთმანეთს მაგ. რაიმე წყენინებისათვის სისხლის აღებაში. ეს ტრადიცია ძლიერ იყო გავრცელებული. ამ ნიშნით გადის მთელი ფეოდალური ეპოქა. ნათესავისათვის სისხლის აღება იყო მორალური ვალდებულება, რომელიც ხანდახან საეკლესიო ავტორიტეტზე უფრო ძლიერიც კი იყო. ფეოდალური ბრძოლები, რომლებიც ნათესაური მტრობით იყო გამოწვეული, გრძელდებოდა წლების განმავლობაში და ბევრ სიცოცხლეს იწირავდა. განსაკუთრებით ძლიერი იყო ეს ტრადიცია ფეოდალებში, თუმცა მთლიანად საზოგადოებაც ამავე ზნეობას იზიარებდა.

* * *

ოჯახი ის სფეროა, სადაც ქალი თამაშობს და თამაშობდა თავის მთავარ სოციალურ როლს და ეს როლი, როგორც თანამედროვე გამოკვლევებიდან ჩანს, საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი იყო.

ქალის მდგომარეობას შუა საუკუნეებში, ძირითადად, განიხილავდნენ ან როგორც ქალის მიმართ მტრულად განწყობილი რელიგიური დოგმის პრიზმიდან ან ტრადიციული ფემინისტური ისტორიოგრაფიის კატეგორიების ჩარჩოებში: ქალის დისკრიმინაცია, პატრიარქალური ურთიერთობების ზეწოლა და რაც უფრო ვუახლოვდებით ფეოდალურ ეპოქას, მისი თანდათანობითი ემანსიპაცია.

ოჯახისა და ყოველდღიურობის კვლევა კი თითქმის იგნორირებული იყო. არადა შუა საუკუნეებში სწორედ სახლი, საოჯახო მეურნეობა იყო ცხოვრების მთავარი ბირთვი, სწორედ აქ გადიოდა შუა საუკუნეების ადამიანის ცხოვრება.

# I თავი

# ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

## ა) წყაროები

ჩვენი პრობლემის შესწავლისათვის აუცილებელი წყაროებიდან პირველ რიგში უნდა განვიხილოთ სამართლის ძეგლები, ვინაიდან აქ ყველაზე მეტი მასალის მოპოვება შეიძლება ოჯახში არსებული ურთიერთობებისა და საერთოდ, საოჯახო სამართლის ცალკეული ინსტიტუტების შესახებ. აქვეა გასათვალისწინებელი, რომ პრობლემა განხილული უნდა იქნას როგორც ჰორიზონტალურ (მეზობელი ხალხის დაწერილი და დაუწერელი მონაცემების გათვალისწინებით), ისევე ვერტიკალურ ჭრილში, ე. ი. ისტორიულ ასპექტში — წარმოშობა-განვითარების და თუ საჭიროა უკან სვლის, შეფერხების პროცესის ჩვენებით. ამიტომ, გარდა ორიგინალური — ქართული კანონმდებლობისა, აუცილებელია შევისწავლოთ ქართული საზოგადოებისათვის თარგმნილი უცხოური სამართლის ძეგლებიც. ეს ნათარგმნი ძეგლები ავსებდა სიცარიელეს, რომელიც არსებობდა კონკრეტული პერიოდის ქართულ კანონმდებლობაში.

აქვეა აღსანიშნავი, რომ შუა საუკუნეების საზოგადოებრივი მორალის და საერთოდ, ცხოვრებისა თუ საკანონმდებლო ნორმების ძირითადი განმსაზღვრელი იყო ეკლესია, რომელიც თავისი სტრუქტურით, ფაქტიურად, მეორე სახელმწიფო იყო სახელმწიფოში. იგი ფართო პოლიტიკური და უფლებრივი შეუვალობით სარგებლობდა და დამოუკიდებელი სასამართლო წარმოება ჰქონდა. ამავე დროს სამოქალაქო ცხოვრების ბევრი საკითხი კანონიკური სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა და საეკლესიო სასამართლოების კომპეტენციას შეადგენდა. ასეთი იყო ჩვენთვის საინტერესო საოჯახო სამართალიც.

საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლებიდან პირველ რიგში განვიხილავთ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ-გადმოკეთებულ „სჯულის კანონებს".

ქართულ ეკლესიაში, რომელიც საერთო ქრისტიანული ეკლესიის ნაწილს წარმოადგენდა, სამოქმედოდ იყო მიღებული მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებები. ისინი კი ძირითადად თავმოყრილი იყო სწორედ „სჯულის კანონებში".

ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ექვთიმე ათონელისა და არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი კანონები. ავტორებს თარგმნის დროს აინტერესებდათ პირველ ყოვლისა სათარგმნი ძეგლის პრაქტიკული მნიშვნელობა ყოველდღიური ცხოვრებისათვის. ამიტომ სამართლის ეს ძეგლები უთარგმნიათ არა იმ სახით, როგორც ის დედანში იყო, არამედ „... მისი შედგენილობისა და რედაქციის ცოტაოდენი შეცვლით ქართულ სინამდვილესთან შეფარდებით“.[1]

„მცირე რჩულის კანონი“, ანუ როგორც მას შემდეგ ეწოდა „მცირე სჯულის კანონი“, ექვთიმე მთაწმინდელს შეუდგენია ბერძნული კანონიკური მწერლობის სხვადასხვა წყაროების მიხედვით. ეს კრებული თავიდანვე განსაზღვრული იყო ქართული ეკლესიის სახელმძღვანელოდ და შედგენილი უნდა ყოფილიყო 1005 წლამდე.[2]

„მცირე სჯულის კანონი“ ოთხი ნაწილისაგან შედგება:

1. „წესი და განგებაჲ და რჩულის კანონი მეექუსისა კრებისაჲ“.
2. „კანონნი შეცოდებულთანი“ („კანონარი“ იოანე მონაზონისა).
3. „კანონნი დღითი-დღეთა ცთომათანი“ („კანონიკონი“ უცნობი ავტორისა).
4. „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ“ (კონსტანტინეპოლის 843 წ. ადგილობრივი კრების ძეგლისწერა).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის მუხლები, სადაც ავტორი ჩამოთვლის ხორციელ ცოდვებს („ქელითდაცემაჲ, სიძვაჲ, მრუშებაჲ, მამათმავლობაჲ, უჰსაკოჲსა განხრწნაჲ, პირუტყუთა თანა დაცემაჲ, და მრავალგუარი იგი და მრავალ სახე თჳსთა და ნათესავთა თანა აღრევაჲ და ნეფსითი, გინა უნებლიეთი კაცის კლვაჲ“[3]) და ამ ცოდვის ჩამდენთათვის ადგენს სასჯელის ზომებს მოციქულთა, ბასილი დიდისა და მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონების მიხედვით. აქვეა განსაზღვრული სხვაობა სიძვასა და მრუშობას შორის და ვხედავთ, თუ როგორ განსხვავებულად ისჯება ერთი და იგივე ცოდვის ჩამდენი ქალი და მამაკაცი.

აღსანიშნავია, რომ მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები, ანუ „წესი და განგება და სჯულის კანონი მეექუსისა კრებისა“ ცალკე აქვს შესწავლილი და გამოცემული ალ. ხახანაშვილს.

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბ., 1951, გვ. 536.
[2] მცირე სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადა ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1972, გვ. 4.
[3] იქვე, გვ. 92.

ე. გიუნაშვილის აზრით ამ კანონებს არასწორად უწოდებენ მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონებს, თითქოს ისინი შეადგინეს 680 წ. კონსტანტინეპოლში იმპერატორ კონსტანტინე პოგონატის სამეფო პალატაში შეკრებილმა წმინდა მამებმა. სინამდვილეში სხვაგვარი ვითარებაა: მსოფლიო V და VI საეკლესიო კრებებს საეკლესიო კანონები არ მიუღიათ. ამიტომ იყო რომ 692 წელს კეისარმა იუსტინე II მოიწვია კრება, რომელსაც უნდა შეევსო V და VI მსოფლიო კრებათა ხარვეზები საეკლესიო სამართლის საკითხში. ამიტომ ამ კრებას „მეხუთე-მეექვსე" ეწოდა, შემდგომში კი მსოფლიო კრებებს გაუსწორდა თავისი მნიშვნელობით. მოგვიანებით მისი დადგენილება ექვთიმე ათონელმა თავის „მცირე სჯულის კანონში" შეიტანა VI მსოფლიო საეკლესიო კრების კანონების სახელით.[1]

ზოგადქრისტიანული პრობლემების გარდა კრების მონაწილენი შეეხნენ ოჯახის დაცვისა და ქრისტიანული მორალის განსაზღვრის საკითხს. მათ აღნიშნეს, რომ უსჯულო ქორწინებად ჩაითვლებოდა როგორც ხორციელ ისე სულიერ ნათესავთა შორის ქორწინება. დადგენილება ყოველმხრივ იცავდა ოჯახის სიმტკიცეს: კრძალავდა განქორწინებას მრუშობის გარდა ნებისმიერ სხვა შემთხვევაში და ხელმეორე ქორწინებას მეძავეობასთან ათანაბრებდა[2]. იკრძალებოდა ქალის მოტაცება და ძალით გათხოვება. ქალის მომტაცებელიც და მისთვის ხელის შემწყობიც „უკუეთუ მოწესენი იყვნენ, ალიკოცნენ პატივისა მისგან, უკეთუ ერისკაცნი იყვნენ, განიდევნენ ეკკლესიისაგან"[3].

დაახლოებით ანალოგიური ხასიათის მასალას გვაწვდის „დიდი სჯულის კანონიც",[4] რომელიც წარმოადგენდა მთელი მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიისათვის სავალდებულო საეკლესიო კანონების ერთობლიობას. არსენ იყალთოელის მიერ XI-XII სს. მიჯნაზე შედგენილ კრებულში შევიდა საეკლესიო კანონმდებლობის ის იურიდიული ნორმები, რომლებიც მიღებული იყო ადრექრისტიანული პერიოდიდან IX ს-მდე და რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანული ეკლესიის მართვისა და ორგანიზაციის საქმეში.

---

[1] მცირე სჯულის კანონი, გვ. 5.

[2] Правила VI Вселенского собора, изд. А.С. Хаханов, Москва, 1903, გვ. 50.

[3] იქვე, გვ. 52.

[4] დიდი სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქართული საეკლესიო კრებების დადგენილებებს, რომელთაც მოქმედი კანონის მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთ ძეგლებს ეკუთვნის რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა,[1] რომელიც 1103 წელს უნდა ჩატარებულიყო ქართლში რუისისა და ურბნისის საეპისკოპოსოების მახლობლად.[2] მის მიერ მიღებული 15 მუხლიანი დადგენილებიდან ჩვენთვის საინტერესოა 6, 7, 12, 13, 14 და 15 მუხლები, რომლებიც სწორედ ქორწინებისა და მეუღლეთა ურთიერთობების პრობლემებს ეხება. აქ არის განსაზღვრული მექორწინეთა ასაკი, ჯვრისწერის რიტუალის ჩატარების წესი, სხვადასხვა სჯულის ადამიანთა დაქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები, წარმომადგენლობითი ქორწინების შესაძლებლობა, სოდომური ცოდვის საშიშროება და მასში მხილებულის „განკანონების“ აუცილებლობა.

როდესაც მზითვის ინსტიტუტსა და საერთოდ, საოჯახო ქონებაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში დაცულ ერთ საინტერესო ადგილს. აქ გრიგოლ ბაკურიანის ძე გადმოგვცემს, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ დედამ „ყოველი მონაგები და საქმარი მამისა ჩუენისა“ დებს მზითვად გაატანა და „ჩუენ დაგჳტევნა ყოვლისაგან მამულისა და დედულისგანცა საქმარისა“.[3] ე. ი. მთელი ქონება, რაც კი გრიგოლის მამას დაუტოვებია, დედას ქალიშვილებისათვის მზითვად მიუცია.

მამული, როგორც წესი, მემკვიდრეობით ვაჟზე გადადიოდა, მაგრამ აქ მამულის მესაკუთრედ ქალი გამოდის. და ეს ამბავი ხდება XI ს-ის საქართველოში, როდესაც ბიზანტიის სახელმწიფოს დიდმოხელე, ქართველი გრიგოლ ბაკურიანის ძე, ბულგარეთის ტერიტორიაზე აარსებს პეტრიწონის მონასტერს ქ. ფილიპოპოლის (პლოვდივი) მახლობლად, როდოპის მთის კალთაზე, დღევ. სოფ. ბაჩკოვოსთან და უდგენს მას წესდებას, ანუ ტიპიკონს, რომელიც, რო-

---

[1] ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, თხზ. ტ. VI, თბ., 1982, გვ. 53.

[3] აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია, ძველი ქართული ენის ძეგლები, 13, თბ., 1971, გვ. 101.

გორც ავღნიშნეთ, საქართველოს ისტორიისათვის საყურადღებო წყაროს წარმოადგენს.

XV-XVI სს-ში ჩვენ გვაქვს რამდენიმე მეტად საინტერესო საეკლესიო სამართლის ძეგლი. ესენია: „სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნი" (1453 წ.), „მცნებაჲ სასჯულოჲ" (1470-1474 წწ.), „კათალიკოსთა სამართალი" (1543-1549 წწ.) და ბიჭვინთის იადგარი (XVI ს-ის II ნახ.). მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნის შესავალში წერია, რომ სამთავისის სამწყსოში უწესრიგობის აღმოფხვრის მიზნით სამთავნელი ეპისკოპოსის გრიგოლის შუამდგომლობით ქსნის ერისთავმა შალვამ შეკრიბა „ცხრაზმისხევისა და სამისავე ქევის კრებულნი და მამასახლისნი" და მიიღეს დადგენილება „უწესოების" აღმოსაფხვრელად. ძეგლში ჩამოთვლილია ამ „უწესოების" სხვადასხვა სახე და გათვალისწინებულია სათანადო სასჯელიც.[1] აქ ჩამოთვლილ „უწესობებს" შორის გათვალისწინებულია სასჯელი ცოლის გაშვებისათვის, სქესობრივი დანაშაულებებისათვის, ქალის მოტაცებ-ის, სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანთა დაქორწინებისათვის და სხვა, რაც მეტად საინტერესო სურათს გვაძლევს ამ პერიოდის საზოგადოებრივი მორალისა და საოჯახო სამართლის შესახებ.

იგივე დანაშაულებებზე მსჯელობს „მცნებაჲ სასჯულოჲ", რომელიც დაუწერა ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქმა მიხეილმა აფხაზეთის საკათოლიკოსოს აფხაზეთის კათოლიკოსად იოაკიმეს დადგინების გამო. ამ პერიოდში საქართველოს ერთიანობას საფუძველი ერყეოდა. დაქუცმაცების მომხრე მეფე-მთავრები სარგებლობდნენ უცხოელ მღვდელმთავართა სტუმრობით, რათა საქართველოს დანაწილება განეხორციელებინათ, ხოლო ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქებიც დიდი სიამოვნებით ეხმარებოდნენ ქართველ მეფე-მთავრებს დანაწილებისათვის ბრძოლაში.[2]

დასავლეთ საქართველოსათვის არის შედგენილი „ბიჭვინტის იადგარიც". მას ალ. ხახანაშვილმა სპეციალური სტატია მიუძღვნა, რომელშიც ამტკიცებს, რომ ძეგლი წარმოადგენს „კათალიკოსთა

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, გვ. 206-208.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, ნაწ. 2, თხზ., ტ. 3, თბ., 1982, გვ. 337.

სამართლის“ დამატებას და რომ იგი დგებოდა თანდათანობით, დაწყებული XVI ს-დან და დამთავრებული XVIII ს-ის I მეოთხედით.[1]

ძეგლი შეისწავლა ლ. მუსხელიშვილმაც და დაასკვნა, რომ იადგარი სიყალბეზეა აგებული, რისთვისაც სათანადო დასაბუთებაც წარმოადგინა.[2]

ი. დოლიძემ გაიზიარა ლ. მუსხელიშვილის შეხედულება იადგარის სიყალბის შესახებ და თავის მხრივ მტკიცებანიც დაურთო ამ მოსაზრებების სასარგებლოდ.[3] მისი აზრით ძეგლი შედგენილია ყალბისმქმნელის მიერ ევდემონ კათოლიკოსის დროს (1557-1578 წწ.).[4]

მიუხედავად სიყალბისა ლ. მუსხელიშვილიც და ი. დოლიძეც აღნიშნავენ ძეგლის დიდ მნიშვნელობას საქართველოს ისტორიისათვის, კერძოდ, ქართული სამართლის ისტორიისათვის. მთავარია განისაზღვროს ძეგლის შედგენის დრო. თუ ის მართლაც XVI ს-ის II ნახევარს ეკუთვნის, მაშინ ასახავს იმ პერიოდის ქართულ სინამდვილეს. სიყალბისმქმნელი აზროვნებდა და წერდა თავისი ეპოქის ცნებებითა და შეხედულებებით. თუ სიყალბისმქმნელის მიზანი იყო ზოგიერთი შეწირულების გაყალბება ან სისხლის ფასის ხელოვნურად გაზრდა, ის არ შეეცდებოდა ყალბი ცნებები მოეტანა სხვა საკითხების შესახებ. პირიქით, ეცდებოდა, მის მიერ შედგენილი ძეგლი სხვა მხრივ სინამდვილის შესატყვისი ყოფილიყო. ამიტომ, ბიჭვინთის იადგარი ძვირფასი წყაროა საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს მოსაზრება, რომ ბიჭვინთის იადგარი არის კათალიკოსთა სამართლის დამატება. არც ამ უკანასკნელის შედგენის თარიღი არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი.[5]

---

[1] Хаханашвили А., Дополнения к грузинским католическим законам, Юридический Вестник, т. XI, 1892, გვ. 568-571.

[2] ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები XVI-XVII სს., ენიმკის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 267-319.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 176-183.

[4] იქვე, გვ. 617.

[5] Пл. Иоселиани, Краткая история грузинской церкви, 1843, გვ. 117; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წგ. 2, (1213-1700 წწ.), ტფ. 1897, გვ. 375; ს. კაკაბაძე, სამართალი კათალიკოზისა

სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე მეტად გაზიარებულია მაინც კორნელი კეკელიძისეული დათარიღება – 1543-1549 წლები. სწორედ მას ეთანხმებიან ივ. ჯავახიშვილი და ი. დოლიძე.

ძეგლი შედგენილია ქართლის კათოლიკოსის მალაქიასა და აფხაზეთის კათოლიკოსის ევდემონის მიერ. ამასთანავე, კათოლიკოსებთან ერთად, როგორც ეს ძეგლის შესავალშია აღნიშნული, შეკრებილნი ყოფილან „ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი".[1]

ძეგლის შესავალში აღნიშნულია, რომ კრების მოწვევის მიზანი ყოფილა დასავლეთ საქართველოში შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობა, რის გამოც საჭიროდ უცვნიათ საგანგებო ზომების მიღება. სწორედ ამ მიზნით შეუდგენიათ კანონები – „სამართალი კათალიკოზთა"-ს სახით.

ის ფაქტი, რომ კრებამ მართლა საგანგებო ზომები მიიღო დანაშაულებების აღმოსაფხვრელად, ჩანს ჩვენთვის საინტერესო მუხლის მიხედვითაც: თავადი, აზნაური ან გლეხი, რომელიც რძალს შეირთავს, შეჩვენებულია და ამასთანავე „კაციცა და დედაკაციც გაღმაგამოღმა დაიკირონ, და მკირავნი ჩუენგან დალოცვილ და კურთხეულ იყონ".[2]

სასჯელის ასეთი სახე იშვიათად გვხვდება. როგორც ჩანს ამგვარი დანაშაული საკმაოდ გავრცელებული ყოფილა, რომ „კათალიკოზის სამართალში" შეუტანიათ. გაუგებარია, სხვა ნათესავზე რატომ არაფერია აღნიშნული.

კიდევ ერთი საინტერესო საეკლესიო სამართლის ძეგლი არის შემორჩენილი ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში. ამ კრებულის ბოლოში დართული მუხლები თავისი შინაარსითა და სასჯელის თავისებური სახით განსხვავდებიან ძეგლის სხვა მუხლებისაგან. მათ ახასიათებთ განსაკუთრებული ნიშნები, რომლებიც არც ბექასა და არც აღბუღას სამართლის წიგნის სხვა მუხლებს არ მოეპოვება. ეს დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ თითოეულ მუხლში კანონით განსაზღვრულ ძირითად სასჯელს მიმატებული აქვს დამნაშავი-

---

და მისი შედგენის დრო, 1913; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, გვ. 522; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წგ. 1, გვ. 62; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 605.

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, გვ. 363.

[2] იქვე, გვ. 397.

სათვის წყველა-კრულვა და შეჩვენება, რითიც ძალიან ემსგავსება კათალიკოზთა სამართლის წიგნის კანონებს.[1]

ზემოაღნიშნული მუხლები საეკლესიო სჯულმდებლობის ფრაგმენტია, რომლის დაწერის პერიოდის განსაზღვრაც ძალზე რთულია. მართალია, ისინი სასჯელთა სიმკაცრით კათალიკოსთა სამართლის წიგნს უახლოვდება, მაგრამ ამგვარი თვისებები შეიძლებოდა თამარ მეფეზე უწინარეს ხანის ძეგლსაც ჰქონოდა.[2]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ ეკლესიაში მსოფლიო საეკლესიო კოდექსების გვერდით ადგილობრივი საეკლესიო კანონებიც მოქმედებდნენ. მათი დიდი ნაწილი შემუშავებული იყო სწორედ ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო 1748 წლის კრება. მისი დადგენილება ასახავს საქართველოში ოსმალობისა და ყიზილბაშობის შედეგად შექმნილ ძნელბედობის ხანას და ამავე დროს გვამცნობს დიდი საზოგადოებრივი და საეკლესიო მოღვაწის ანტონ კათოლიკოზის გეგმებს ქვეყნის „აღდგომისათვის" ბრძოლის საქმეში.[3]

დადგენილების შესავალშივე ნაჩვენებია ამ საეკლესიო კრების მოწვევის საჭიროება: „ნათლად სჯა და სჯულს-ხედვა მიფარულ იყო და უმეცრებითა წერილისათა განრყუნილ იყო და დაკნინებულ კანუნი და წესი ეკლესიისაჲ".[4]

დადგენილებაში სამი კანონი უწესო ქორწინების საკითხებს ეხება. ამ პრობლემას, საერთოდ, დიდი ადგილი აქვს დათმობილი საერო და სასულიერო სამართლის სხვადასხვა ძეგლებში. კრება თხოულობს, რომ მტკიცედ იყოს დაცული ქრისტიანული ეკლესიის მიერ დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც შეუღლების უფლება ნათესავთა მხოლოდ მეხუთე თაობას აქვს. ასევე იკრძალება მართლმადიდებლისა და მწვალებლის შეუღლება[5] და ამ კანონის შესატყვისი მუხლები შესულია ვახტანგის კოდიკოს ბერძნული და სომხური სამართლის წიგნებში.[6]

---

[1] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 61.

[2] იქვე, გვ. 63.

[3] კანონნი 1748 წლის საეკლესიო კრებისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3.

[4] კანონნი 1748 წლის საეკლესიო კრებისა, გვ. 798.

[5] იქვე, მუხ. 24.

[6] სამართალი ბერძნული, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, მუხ. 72; მხითარ გოშის სამართლის ვერსია, იქვე, მუხ. 313.

1748 წლის საეკლესიო კრება პირველი კრებაა მოწვეული ანტონ I-ის მოღვაწეობის დროს. იგი ასახავს საეკლესიო და კულტურულ სფეროში ანტონ I-ის სამოქმედო პროგრამას, რომელსაც იგი ახორციელებდა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ამ საქმეში ანტონს მთლიანად მხარს უჭერდა ერეკლე II, ვინაიდან საეკლესიო და კულტურული ცხოვრების გარდაქმნის საქმე უშუალოდ დაკავშირებული იყო ოსმალობა-ყიზილბაშობისაგან გაპარტახებული ქვეყნის აღდგენასთან.[1]

საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლების შემდეგ არ შეიძლება არ ავღნიშნოთ აგიოგრაფიული მწერლობა, რომელიც ადრე შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის, ფაქტიურად, უნიკალური წყაროა. მათ შორის პირველ რიგში უნდა დასახელდეს, რა თქმა უნდა, „წამებაჲ შუშანიკ დედოფლისაჲ“.[2] ეს ძეგლი უაღრესად მდიდარია ჩვენთვის საინტერესო მასალით, ვინაიდან ცილდება წმინდა აგიოგრაფიული ჟანრის თხზულების ჩარჩოებს და ისტორიულ-ბელეტრისტიკული პროზის ხასიათს იძენს.[3]

ნაწარმოებში, როგორც თანამედროვის მიერ დაწერილ თხზულებას შეშვენის, მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებების შესახებ ბევრი საინტერესო ცნობა მოიპოვება. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახური გარემოსა და ცოლ-ქმრული ურთიერთობების ამსახველი სცენები, სადაც ნათლად სჩანს ქალის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებული პრობლემები.

თუ მკითხველი იაკობ ხუცესის მოთხრობაში აღწერილ საქმის მთელ გარემოებას ჩაუკვირდება, წერს ივ. ჯავახიშვილი, ადვილად დაინახავს, რომ ქმრის მრისხანება შუშანიკისადმი და სასჯელიც სარწმუნოებრივი დევნის შედეგი არ ყოფილა, არამედ გამოწვეული იყო შუშანიკის წასვლით ქმრის ოჯახიდან, რაც ვარსქენს თავისი თავისა და სახლობის შერცხვენად მიუჩნევია.[4]

---

[1] ელ. მეტრეველი, 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილება, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIX-A, XX-B, თბ., 1957, გვ. 424.

[2] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1 (V-X სს.), რედ. ილ. აბულაძე, თბ., 1963.

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 116.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგნ. 1, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ., ტ. 8, თბ., 1977, გვ. 59.

იაკობ ხუცესი აღწერს, თუ რა გასაოცარი სიმტკიცით ითმენდა შუშანიკი ქმრისაგან ქრისტიანობის გულისათვის მიყენებულ ტანჯვა-წამებას, მაგრამ არც ის გარემოება აქვს დამალული, რომ ის თავის დაჩაგრულ და დაღუპულ სიცოცხლესაც მისტიროდა: „განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა-იგი არა არს თუალღებაჲ წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსა და მეუფისა მის მეუფეთაჲსა, სადა არა არს რჩევაჲ მამაკაცისა და დედაკაცისაჲ, სადა მე და მან სწორი სიტყუაჲ ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა; მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჴამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭკნო, შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა“.[1]

ამგვარად, იაკობ ხუცესის თხზულებაში ერთმანეთშია გადახლართული რელიგიური და ოჯახური ტრაგედია და ამის ფონზე ჩვენი თემისათვის ყურადსაღები ბევრი საკითხია წამოწეული.

საკმაოდ მდიდარია ჩვენთვის საინტერესო მასალით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაც“.[2] მასში ნათლად არის გამოკვეთილი ის პირობა, რომელიც აუცილებელი იყო ქორწინების შეწყვეტისათვის ადრე შუა საუკუნეებში. ეს იყო მრუშობა. გარდა ამისა, ნაჩვენებია, თუ რა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ეკლესია მრუშობის მიზეზით ოჯახის დანგრევის საქმეში.

საინტერესოა კიდევ ერთი ეპიზოდი ამ თხზულებიდან, სადაც ჩანს, რომ IX საუკუნეში ქალს ჰქონდა მშობლების უძრავ-მოძრავი ქონების დაპატრონების ან წილის მიღების უფლება. ეს მეტად საინტერესო პრობლემაა, რომელსაც ჩვენს ნაშრომში ცალკე თავი მივუძღვენით.

ამავე საკითხს ეხება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაც“.[3] აქ ოჯახის მემკვიდრეობაში ქალის უფლებებისათვის ბრძოლის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდია აღწერილი, სადაც ტრაგედია ტრიალდება სწორედ ქალის მემკვიდრეობის გამო.

ეს და ჩვენთვის საინტერესო კიდევ ბევრი სხვა საკითხი განხილულია ქართულ საერო საკანონმდებლო ძეგლებშიც, რომელთაგან უძველესად მიჩნეულია ბაგრატ კურაპალატის სამართალი.[4]

---

[1] წამებაჲ შუშანიკ დედოფლისაჲ, ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 1, გვ. 26.

[2] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 1.

[3] იქვე, წგნ. 1.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1.

სამართლის წიგნს პირველად ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა. 1909 წელს გამოქვეყნებულ „ქართული სამართლის ისტორიის“ I ნაწილში მან აღნიშნა, რომ ბექა-აღბუღას სამართალში შემონახულია ბაგრატ კურაპალატის სამართლის ნაწყვეტი. შემდეგ ეს აზრი უფრო ვრცლად და დამაჯერებლად დაასაბუთა იმავე წიგნის მეორე გამოცემაში 1928 წელს. ლაპარაკია 99-160 მუხლებზე, რომლებიც ადრე ბექა-აღბუღას სამართლის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა.[1]

ისტორიოგრაფიაში ერთიანი აზრი არ არსებობს არც თვით ბაგრატ კურაპალატის ვინაობის შესახებ. ივ. ჯავახიშვილი მას ბაგრატ III კურაპალატად (975-1014 წწ.) მიიჩნევდა,[2] ივ. სურგულაძე და ის. დოლიძე – ბაგრატ IV (1027-1072 წწ.),[3] ა. კიკვიძე თვლიდა, რომ კანონმდებელი იყო IX ს-ის სახელმწიფო მოღვაწე ბაგრატ აშოტის ძე კურაპალატი,[4] გ. ჯამბურიამ და დ. მუსხელიშვილმა გაიზიარეს ა. კიკვიძის მოსაზრება,[5] ი. ანთელავამ კი სამართლის ავტორად იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565 წწ.) მიიჩნია.[6]

XIII-XIV სს. საქართველოს სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ უძვირფასეს მასალას გვაწვდის ბექა-აღბუღას სამართალი.[7] ეს არის შუა საუკუნეების ქართული სამართლის ყველაზე უფრო სრულყოფილი კოდექსი, რომელმაც დიდი გავლენა

---

[1] ნ. ურბელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, თბ., 1892, გვ. 65; Бакрадзе Д. Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, изд. А. С. Френкеля, под редакцией Д. З. Бакрадзе, Тиф., 1887, გვ. 117.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წგნ. I, გვ. 94.

[3] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 74; მისივე, ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბ., 1984, გვ. 90; ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., გვ. 57.

[4] ა. კიკვიძე, ვის ეკუთვნის ბაგრატ კურაპალატის სამართლის სახელით ცნობილი სამართალი? მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1972, გვ. 242.

[5] გ. ჯამბურია, ბატონყმობის საკითხისათვის, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1979, № 4, გვ. 182; დ. მუსხელიშვილი, ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის, მაცნე, ისტორიის..., 1980, № 2, გვ. 159.

[6] ი. ანთელავა, XI-XV სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980.

[7] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი.

მოახდინა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე და განსაკუთრებით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნზე.[1] მართალია ძეგლი შედგენილია მხოლოდ სამცხისათვის, რომელიც იმ დროს საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენდა, მაგრამ ეს კუთხე თავისი განვითარების დონით საქართველოს სხვა მხარეებისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა. ამიტომ, ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული იურიდიული ინსტიტუტები შეიძლება დამახასიათებლად მივიჩნიოთ შუა საუკუნეების საქართველოს სხვა რეგიონებისთვისაც.

სამართლის მნიშვნელობას აძლიერებს ისიც, რომ მისი ძირითადი წყარო ქართული ადათობრივი სამართალია. ძველი ადათ-ჩვევები კანონმდებელს გამოყენებული აქვს ჩვენთვის საინტერესო საოჯახო სამართლის სფეროშიც. ძეგლში ვხვდებით ზოგიერთ ისეთ წესს, რომელიც ძველ საოჯახო ურთიერთობებს ახასიათებდა. მაგ., ოჯახის უფროსი და მისი სრული ბატონ-პატრონი მამაა, რომლის ძალაუფლება შვილებზეც ვრცელდება. მას შეუძლია შვილის სახლიდან გაძევება და დასჯა, რაც ამ უკანასკნელისათვის მამულის ჩამორთმევას ნიშნავს.

საოჯახო სამართლის ძველი ჩვეულების გადმონაშთია, აგრეთვე, დანიშნული ქალის — „ჯვარგაცვლილი საცოლის" — მოტაცება. 39-ე მუხლის თანახმად დანიშნული ქალის მოტაცება დანაშაულად არ ითვლება და კანონი მისთვის სასჯელს არ აწესებს. აქვეა გარჩეული გათხოვილი (მუხ. 27, 46, 47) და სეფე-ქალის (მუხ. 24) მოტაცების ფაქტებიც.

ადათობრივი სამართლის ძლიერი გავლენა ჩანს სამართლის წიგნის იმ მუხლებშიც, რომლებიც შეეხება ცოლისა და ქმრის ურთიერთდამოკიდებულებას. კანონი აღიარებს მამაკაცის გაბატონებულ მდგომარეობას. ქალი კი, კაცთან შედარებით, მეტად შეზღუდულია თავის უფლებებში. მამაკაცს შეეძლო სრულიად უმიზეზოდ მიეტოვებინა ცოლი, გაეგდო ის ოჯახიდან და მხოლოდ სისხლის ნახევარსა და მზითვს უბრუნებდა. რაც შეეხება ქალს, მას არ ჰქონდა ქმრის მიტოვების უფლება და თუ მაინც მიატოვებდა, ქმრის ღირსების მიხედვით სრული სისხლი უნდა გადაეხადა. ამრიგად, ქალი ორჯერ მეტ ქონებრივ პასუხისმგებლობას წევდა კაცთან შედარებით.

---

[1] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 5.

ეს და კიდევ სხვა მუხლები ცხადყოფენ, რომ სამართალმა დააკანონა ქალის მეტად შეზღუდული მდგომარეობა და მამაკაცის ბატონობა მასზე.

ბექას სამართალი XIII-XIV საუკუნეების მიჯნის საკანონმდებლო ძეგლია. უეჭველია, რომ სამართლის წიგნი გავლენას მოახდენდა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე. მართლაც ასე მოხდა: სამართლის გავლენა ჩანს გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება-ში“,[1] რომელიც შედგენილი იყო სპეციალურად ქართლის მთიანეთისათვის — ქსნისა და არაგვის ხეობის მოსახლეობისათვის.

ამ მიზეზის გამო, უეჭველია, კანონმდებლობაზე დიდ გავლენას მოახდენდა ადათობრივი სამართალიც. და მართლაც, ეს გავლენა ჩანს სწორედ ჩვენთვის საინტერესო მუხლებში (მუხ. 21-25), სადაც ლაპარაკია ქალის მოტაცებაზე. ამ შემთხვევაში კანონმდებელი აღიარებს შურისძიების უფლებას, მხოლოდ შედარებით ზღუდავს შურისმაძიებელთა წრეს. აქ შურისძიება მთელი გვარის კი არა, არამედ მხოლოდ დაზარალებულის ან მისი უშუალო მემკვიდრის მოვალეობას წარმოადგენს. შურისძიებაც მხოლოდ დამნაშავის პიროვნებისა ან მისი ქონების წინააღმდეგაა მიმართული. მაგ., სამართლის წიგნის 22-ე მუხლის მიხედვით მას, ვისაც ცოლი მოსტაცეს, უფლება აქვს ერთი წლის განმავლობაში თავს დაესხას დამნაშავეს და ყოველგვარი ზიანი მიაყენოს მას. ამ შემთხვევაშიც შურისძიების პირობად განსაზღვრული დროა დასახელებული.

ამგვარად, ძეგლისდება მართალია არ იძლევა გიორგი ბრწყინვალის დროინდელი სოციალურად დაწინაურებული საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგად სურათს, მაგრამ ის იმდენად საინტერესო რამდენიმე მომენტს შეიცავს, რომ საჭიროდ ვცანით გამოგვეყენებინა ჩვენი წიგნის ერთ-ერთ წყაროდ.

ალბულას სამართლის შემდეგ საკანონმდებლო მოღვაწეობას საქართველოში რაიმე მნიშვნელოვანი ნაყოფი სამი საუკუნის (XV-XVII სს.) განმავლობაში არ გამოუღია. ცალკეული კანონები, რასაკვირველია, გამოიცემოდა, მაგრამ მათში აღნიშნული სისხლის სამართლის ნორმები მთელი ქართლის სამეფოსათვის სავალდებულო არ იყო.

მიუხედავად ცალკეული კანონების გამოცემისა XV, XVI და XVII სს-ში ფართო ხასიათის საკანონმდებლო მუშაობას მაინც არ ჰქონდა ადგილი. სულ სხვა სურათს ვხედავთ XVIII საუკუნეში,

[1] ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957

რომელიც შეიძლება მიჩნეული იქნას გაცხოველებული საკანონმდებლო მუშაობისა და იურიდიული შემოქმედების ხანად. ეს აღმავლობა კი უკავშირდება ვახტანგ VI-ის (1703-1737 წწ.) სახელს, რომელმაც თავისი მოღვაწეობის პერიოდში დიდი ეროვნული საქმეების გაკეთება შეძლო.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა საკანონმდებლო დარგში. მისი თაოსნობითა და ხელმძღვანელობით შედგენილი იქნა ქართული სამართლის სამი დიდი ძეგლი: „დასტურლამალი", „სამართლის წიგნთა კრებული" და „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა". ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ბოლო ორი ძეგლი, რომლებშიც მოცემულია ჩვენი პრობლემისათვის მეტად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი მასალა.

„სამართლის წიგნთა კრებული"[1] შვიდი საკანონმდებლო ძეგლისაგან შედგება. აქედან სამი უცხო სამართლის (მოსეს, ბერძნული, სომხური), ხოლო ოთხი — ეროვნული სამართლის ძეგლებია (კათალიკოზთა სამართალი, ძეგლისდება, აღბუღას სამართალი და სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა). ყველა ეს წიგნი ცალკე დამოუკიდებელ სამართლის ძეგლად არის წარმოდგენილი. ამიტომ ერთი საკითხისადმი მიძღვნილი მუხლის შესახებ სხვადასხვა წიგნი ხშირად საწინააღმდეგო განმარტებებს იძლევა.

ამ წიგნებიდან ყველაზე მოქმედი ყოფილა ვახტანგ VI-ის მიერ ახლად შემოღებული სამართლის წიგნი, რომელიც ქართული წესჩვეულებების გათვალისწინებით არის შედგენილი.

ივ. სურგულაძე, როდესაც იხილავს ვახტანგის სამართალზე დართულ შესავალს, წერს: „მართალია, კანონმდებელი იძლევა რჩევას, შეადარეთ ჩემი და სხვა სამართლის წიგნები და რომელიც გინდათ ის გამოიყენეთო, მაგრამ შემდეგ თვითონვე წერს, რომ გამოყენება შეიძლება მხოლოდ მის მიერ შედგენილი კანონებისა... მაშასადამე, კანონმდებლის აზრით, სხვა სამართლის წიგნები სამოქმედოდ არ გამოდგება, ისინი შეუფერებელია საქართველოს სინამდვილისათვის და ამიტომ, მიუხედავად ნაკლისა, გამოყენებული უნდა იქნას მის მიერ შედგენილი სამართლის წიგნი"-ო.[2] ე. ი. ვახტანგ VI-ის

---

[1] სამართალი ვახტანგ VI-ისა, ტექსტი დაადგინა გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981.

[2] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, გვ. 80.

სამართლის გარდა კრებულში მოთავსებული სხვა სამართლის წიგნები დამხმარე მასალას წარმოადგენდა. ისინი შესაძლებლობას აძლევდნენ მსაჯულებს, რომ მსგავს საკითხებზე არსებული სხვადასხვა სახის კანონები შეედარებინათ, შეერჩიათ და საჭიროებისამებრ გამოეყენებინათ. აგრეთვე გამოეყენებინათ ამ სამართლის მუხლები იმ შემთხვევაში, თუ შესატყვისი ქართულ სამართალში არ იქნებოდა.[1]

XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში საკანონმდებლო მოღვაწეობის დარგში მეტად გააქტიურდნენ ქართველი ბატონიშვილები. ისინი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე თავიანთ კანონპროექტებს ქმნიდნენ სახელმწიფოს უკეთ მოწყობის მიზნით, აგრეთვე კრებდნენ და მიმოიხილავდნენ ქართულ ზნე-ჩვეულებებსა და ადათობრივ სამართალს.[2] ამიტომ მათ მიერ შედგენილი ძეგლები ძირითადად ასახავდა არა XIX საუკუნის ვითარებას, არამედ შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ მენტალიტეტს. სწორედ ამის გამო სამართლის ეს წიგნები ჩვენთვის მეტად საინტერესო წყაროებია.

როდესაც ნებისმიერი ქვეყნის, და მათ შორის საქართველოს სამართლებრივ მდგომარეობაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ეროვნულ კანონმდებლობაზე და წეს-ჩვეულებებზე აუცილებლად მოახდენდა გავლენას მეზობელ ხალხთა სამართალი. შუა საუკუნეების ქართულ სინამდვილეზე განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია ბიზანტიურმა კანონმდებლობამ. ეს გასაგებიცაა: სულიერი და პოლიტიკური მოკავშირეობის გამო, ქრისტიანული სამყაროსათვის ისედაც ტონის მიმცემი ბიზანტია, ბუნებრივია, თავისი გავლენის სფეროში საქართველოსაც მოაქცევდა. გარდა მსოფლიო საეკლესიო კრებებისა და საერთოდ, სასულიერო კანონმდებლობისა, ბერძნულიდან ქართულად ითარგმნებოდა

---

[1] ბერძნული სამართალი ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულიდან, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1964, გვ. 017.

[2] ბაგრატიონი იოანე, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბ., 1957; ბაგრატიონი დავით, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, აპოლონ როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1959; სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964.

საერო საკანონმდებლო ძეგლებიც, რომლებიც ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე აწესრიგებდა ხოლმე კრიზისში მყოფ ქართული საზოგადოების ფასეულობებს. ამ წიგნების თარგმნას ქართველი მეფეები და დიდებულები უკვეთავდნენ და თვითონვე უწევდნენ პროპაგანდას.

აქ მოვიყვანთ ჩვენთვის საინტერესო ორ ძეგლს. ესენია კალიგრაფ გიორგი კარგარეთელის (XVI ს.) მიერ გადაწერილი კრებული,[1] რომელიც როგორც ენისა და შედგენილობიდან ჩანს, გაცილებით ადრე უნდა იყოს ნათარგმნი და იოანე ქსიფილინოს-პაპუწიშვილის (XVIII ს.) მიერ ნათარგმნი კანონიკური შრომა.[2] ორივე მსგავსი ხასიათის ნაშრომია და ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აღწერს ნათესაობის ხარისხებს და განსაზღვრავს, თუ ნათესაობის რომელ ხარისხამდე შეიძლებოდა ქორწინება.

ქართული სამართლის ძეგლების გარდა შუა საუკუნეების საქართველოში ქალის მდგომარეობის შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ქართული ნარატიული წყაროები. მათ შორის, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, აღსანიშნავია ქართლის ცხოვრების შემადგენელი თხზულებები: ნინოს მიერ ქართლის მოქცევა,[3] ვახტანგ გორგასლის ცხოვრება,[4] ბაგრატიონთა ცხოვრება,[5] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი[6] და ასწლოვანი მატიანე.[7] ამ თხზულებებში დაცულია მნიშვნელოვანი მასალა შუა საუკუნეების ქალის მდგომარეობის, მზითვის ინსტიტუტის, ქორწინების პირობებისა და სხვ. შესახებ.

---

[1] დაყენებულთა და უჯეროთა და განგდებულთა ქორწინება-მზახობათათვის, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2.

[2] ქორწინებისა თავთათჳს, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2.

[3] ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.

[4] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. 1.

[5] სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, ტ. 1.

[6] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ. 2, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.

[7] ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტ. 2.

ასევე საინტერესოა პაპუნა ორბელიანის,[1] ვახტანგ ერეკლეს ძისა[2] და პლატონ იოსელიანის[3] თხზულებები, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი სხვადასხვა დროს საქართველოს მეფეების ოჯახებში შესრულებული საქორწილო რიტუალები. ავტორები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას სარძლოსათვის საჩუქრების მირთმევის ტრადიციაზე და ხშირ შემთხვევაში გვაძლევენ კიდეც ამ საჩუქრების ჩამონათვალს.

ნარატიული წყაროებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა",[4] რომელშიც ზოგიერთი ისტორიკოსი მხოლოდ მის გეოგრაფიული ხასიათის თხზულებას გულისხმობს, ს. ყაუხჩიშვილი კი მთლიანად „საქართველოს სამეფოს ისტორიას".[5] ეს ნაწარმოები, როგორც ვიცით, შეიცავს საქართველოს გაბმულ ისტორიას დასაბამიდან XVIII ს-ის შუა წლებამდე და იმდენად საინტერესო მასალას იძლევა, რომ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ვახუშტის შრომა საისტორიო წყაროების ეგოდენ საფუძვლიან შესწავლისა და იმდროინდელ საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის ღრმა დაკვირვების ნაყოფია, რომ შემდეგშიაც იგი მუდამ უკვდავების შარავანდედით იქნება მოსილი და არასდროს მნიშვნელობა არ დაეკარგება".[6]

საქართველოს ისტორიის ნებისმიერი საკითხის მკვლევართათვის და მათ შორის ჩვენთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოელი მოგზაურებისა და მწერლების ცნობებს. მართალია, ბევრი მათგანი სხვადასხვა ფაქტების შეფასებისას ტენდენციურია, მაგრამ მათ მიერ აღწერილი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფერო მეტად საინტერესო მასალაა მეცნიერთათვის. ეს მოგზაურები ხომ ძირი-

---

[1] ორბელიანი პაპუნა, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

[2] ისტორიებრი აღწერა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ, გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ, ტფ., 1914.

[3] ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, აღწერილი პლატონ ეგნატეს ძის იოსელიანისაგან, თბ., 1978.

[4] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. 4, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

[5] იქვე, წინასიტყვაობა.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხ., ტ. 8, თბ., 1977, გვ. 328.

თადად თანამედროვე და თავიანთი თვალით ნანახ მოვლენებს აღწერდნენ და განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას სწორედ ჩვენთვის საინტერესო ფაქტებზე — საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე. ამიტომ მათი თხზულებები[1] ჩვენი პრობლემისათვის მნიშვნელოვანი წყაროა.

და ბოლოს, ქალის მდგომარეობისა და მის შესახებ არსებულ წეს-ჩვეულებებზე დიდი რაოდენობითაა მასალა ისტორიულ და სამართლის დოკუმენტებში. მათ შეგროვებასა და გამოქვეყნებაში კი დიდი წვლილი მიუძღვით ნ. ბერძენიშვილს, დ. ფურცელაძეს, ი. დოლიძეს, ალ. ხახანაშვილს და სხვ. ამიტომ მათ კრებულებში[2] დაცული დოკუმენტები ჩვენ საკმაოდ დეტალურად შევისწავლეთ და გამოვყავით ისინი, რომლებიც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო.

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938; ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1976; Путешествие Ивана Шильтбергера по Европе, Азии и Африке с 1394 года по 1427 год, Записки Имп. Новоросийского университета, год. 1, т. 1, вып. 1, 2, Одесса, 1867; ფრანძესი გ., ქრონიკა, წგნ: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VIII, ტექსტები ქართული თარგმანითურთ და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970...

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, 1, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940; მისივე, ტ. 2, თბ., 1953; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, გვიანფეოდალური ხანა, წ. 2, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953; მისივე, წ. 3, თბ., 1955; ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთაისი, 1891; Грузинские крестянские грамоты, крепостные и судебные акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ, составил Д.П. Пурцеладзе, Тиф., 1882; მისივე, Грузинские дворянские грамоты, Тиф., 1881; მისივე, Грузинские церковные гуджары (грамоты), Тиф., 1881; საქართველოს სიძველენი, ტ. 1, რედ. ე. თაყაიშვილი, ტფ., 1920; მისივე, ტ. 2, ტფ., 1909; მისივე, ტ. 3, ტფ., 1910; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წ. 2; თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1909; ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, ტ. 3, ტ. 4.

## ბ) ლიტერატურა

როგორც ვნახეთ, ისტორიული მასალა საქართველოში შუა საუკუნეების ოჯახისა და მის წიაღში ქალის მდგომარეობის შესახებ საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, მის მეცნიერულ კვლევას თითქმის დღევანდელ დღემდე მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.

პრობლემის გარშემო მასალების შეგროვება ჯერ კიდევ XIX ს-ში დაიწყო ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების მიერ. ისინი, ძირითადად, ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდნენ პოპულარულ სტატიებს. თუ გადავხედავთ ამ პერიოდის პრესას, დავინახავთ, რომ საქართველოში ქალთა საკითხი მაშინ უკვე აქტუალური თემა იყო.[1]

---

[1] ბაქრაძე დ., ქართველი ქალები, ისტორიული მიმოხილვა, „ცისკარი", 1860, № 4, გვ. 251-280; ჟლენტი ბ., გათანასწორება სამკვიდრო მამულისა დედაკაცთა და მამაკაცთა შორის, „ცისკარი", 1865, № 7, გვ. 82-94; ასათიანი მიხ., შიკრიკი (ქალის დანიშნულება), „იმედი", 1881, № 2, გვ. 48-58; ჭავჭავაძე ილ., ქალების არჩევანის უფლება და ინგლისის პარლამენტი, „ივერია", 1877, № 16, გვ. 1-3; ხელაძე ექ., საქართველოს მატიანე (სოფლელი ქალების გაბრიყვება და მათი მდგომარეობა ქალაქად), „ივერია", 1877, № 15, გვ. 3-4; ვაშაკიძე ე., დედათა კითხვა თანამედროვე მეცნიერების წინაშე, „მოამბე", 1897, № 11, განყ. II, გვ. 65-83; სალი ბ., კერძო თაოსნობა და ჩვენი ქალები, „მოამბე", 1895, № 12, განყ. II, გვ. 87-99; ჩხოკეთელი, ქალები არიან დამნაშავენი თუ კაცები, „კვალი", 1896, № 6, გვ. 95-97; წერეთელი გ., იაპონელი და ქართველი ქალების შედარება, „კვალი, 1895, № 22, გვ. 13; განმანათლებელი ნაყოფი მცხეთის წმ. ნინოს დედათა სავანისა, „მწყემსი", 1894, №17, გვ. 5-6, № 18, გვ. 8-10; თუმანიშვილი-წერეთლისა ა., ჩვენი საჭირბოროტო საქმე (ქალთა განათლება), „კვალი", 1895, № 21, გვ. 2-3; უმიკაშვილი პ., ქალი და მისი განათლება, საქართველოს კალენდარი, 1905, გვ. 543-560 და სხვ. გარდა ამისა, ითარგმნებოდა და იწერებოდა სტატიები ქალთა მდგომარეობის შესახებ საზღვარგარეთ: ლევალდი ფანნი, ქალების სასარგებლოდ და წინააღმდეგ, თარგმანი კატ. ღვინიაშვილისა, „მნათობი", 1871, № 6, გვ. 97-120, № 7, გვ. 65-80, № 8, გვ. 120-131; 1872, № 2, გვ. 58-70, № 4-5, გვ. 57-70, № 8-9, გვ. 1-24; მილლი ჯონ სტიუარტ, ქალების განთავისუფლება, თარგმანი ნ. ინაშვილისა, „მნათობი", 1869, მაისი და ივნისი, გვ. 11-40, ივლისი და აგვისტო, გვ. 41-75; კაკაბაძე ი., ქალების ინტერნაციონალური კონგრესი პარიზში, „კვალი", 1896, № 21, გვ. 357-361; კახიანი პ., ქალთა კითხვის დღევანდელი მდგომარეობა და მისი მომავალი საზღვარგარეთ, „კვალი", 1902, № 32, გვ. 519-520; დედაკაცები – ჩინოვნიკები ამერიკის შეერთებულ შტატებში, „სასოფლო გაზეთი", 1869, № 11, გვ. 8; საოჯახო დრამები (ქალის მდგომარეობა რუს გლეხობაში), „საქართველოს მოამბე", 1863, № 3, გვ. 114-115; ტარასოვი, ქალების განათლება, თარგმანი ივ. მაჭავარიანისა, ტფილისი, 1885; შტარი, ჩვენ ქალებს,

ქალთა მდგომარეობისა და საერთოდ, საოჯახო ყოფის მეცნიერული შესწავლა XX საუკუნეში დაიწყო. ეს საკითხი პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეთნოგრაფების ინტერესის სფეროში მოხვდა. და მართლაც, ქართული ოჯახის შესახებ არსებული სამეცნიერო მემკვიდრეობა უმთავრესად ქართველ ეთნოგრაფთა ხელით არის შექმნილი. მაგრამ პრობლემის კვლევაში მათთან ერთად სათანადო წვლილი ქართველმა ისტორიკოსებმა და იურისტებმაც შეიტანეს. ისტორიკოსთა შორის ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ღვაწლი. თავიანთ ნაშრომებში ისინი უხვად სარგებლობდნენ ეთნოგრაფიული მასალით, მაგრამ მათ ძირითად წყაროებს მაინც ისტორიული მასალა წარმოადგენდა.

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს საერთოდ ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის საკითხების კვლევას. მის სახელთანაა დაკავშირებული ფუძემდებლური შრომები ქართველების მატერიალური კულტურის, სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი კულტურის სფეროში. ამ მიმართულებით კი იგი იკვლევდა ჩვენთვის საინტერესო საოჯახო და საქორწინო ურთიერთობების საკითხებსაც. ამ პრობლემებს ავტორი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ განუზრახავს მონოგრაფიის დაწერა საქორწინო წეს-ჩვეულებების შესახებ,[1] მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა ჩანაფიქრის განხორციელება. სამაგიეროდ, ქორწინების ზოგიერთი თავისებურებების განხილვას სპეციალური პარაგრაფი დაუთმო „ქართული სამართლის ისტორიის" პირველ წიგნში, ხოლო სხვადასხვა ეპოქის წყაროებზე დაყრდნობით თავის არაერთ ნაშრომში შეეხო ოჯახისა და ქორწინების ისტორიის მრავალ საკითხს. მათ შორის განიხილა ისეთი პრობლემები, როგორიცაა შუა საუკუნეების ქართულ ოჯახში მამაკაცის პატრიარქალური უფლებამოსილება, ქმრისადმი ცოლის მორჩილება, ქალის უფლებრივი მდგომარეობის გამომხატველი სამოსის ელემენტები, მამაკაცისა და დედაკაცის უფლებები ჭამა-სმის დროს, მზითვისა და ნიშანის ინსტიტუტები, ქალის მოტაცება, მეუღლეთა გაყრა, მრუშობა და ა. შ.[2]

---

თარგმნილი ივანდიდელისა, ივ. როსტომაშვილის რედაქციით, თბ., 1897; ქალის დანიშნულება სასოფლო-მეურნეობაში, თარგმანი ნ. პ. ქიქოძისა, ქუთაისი, 1904.

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1, გვ. 154.

[2] იქვე, გვ. 144-154; მისივე, ქართული სამართლის ისტორია, 2, გვ. 260-272; მისივე, ქართველი ერის ისტორია, წგნ. 1, თხზ., ტ. 1, თბ., 1979, გვ. 321-323.

თავისი ნაშრომებით მან საფუძველი დაუდო ამ ინსტიტუტების შემდგომ მეცნიერულ კვლევას.

ივ. ჯავახიშვილის მემკვიდრეები საქართველოს სოციალური ისტორიის კვლევის დარგში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყვნენ სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი.

ისინი დიდ ყურადღებას უთმობდნენ საოჯახო ყოფის შესწავლას. საამისოდ კი საისტორიო მასალასთან ერთად უხვად იყენებდნენ ეთნოგრაფიულ მასალასაც. თავის ნაშრომებში ჩვენთვის საინტერესო პრობლემებს განიხილავდნენ საქართველოს რომელიმე კუთხის მაგალითზე და აღწერდნენ საოჯახო ყოფის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა საოჯახო მორალი, სქესობრივი ზნეობა, ოჯახში ქონებრივი ურთიერთობები და სხვ.[1]

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ცალკე მონოგრაფია თუ ნაშრომი შუა საუკუნეების ოჯახსა და მასში ქალის მდგომარეობის შესახებ არც ერთ მათგანს არ შეუქმნია.

შედარებით მეტი გამოკვლევები აქვთ ამ საკითხების გარშემო ქართველ იურისტებს: ი. დოლიძეს და გ. ნადარეიშვილს. ისიდორე დოლიძე სხვადასხვა სამართლის ძეგლების კომენტირებისას პერიოდულად ეხება ქალთა საკითხს ამ ძეგლებში დაცული მონაცემების მიხედვით. რაც შეეხება გიორგი ნადარეიშვილს, მან არაერთი სტატია თუ ნაშრომი მიუძღვნა ამ პრობლემას,[2] ოღონდ, ძირითადად სამართლის ძეგლების მიხედვით.

ამგვარად, როგორც ზემოთ ვნახეთ, თითქმის თანამედროვე პერიოდამდე ქართული ისტორიული წყაროების შესწავლა შუა საუკუნეების ქალთა ყოფის თვალსაწიერიდან, ფაქტიურად არ ხდებოდა. არადა, მასალა საკმაოდ უხვადაა, განსაკუთრებით გვიან შუა საუკუნეებში. ამიტომ, სასურველი იქნებოდა, რომ საქართველოში, უცხოეთის მსგავსად, ამ პრობლემამ პოპულარობა მოიხვეჭოს და თანამედროვე ისტორიკოსებმა მეტი ყურადღება დაუთმონ მას.

---

[1] ს. ჯანაშია, გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, შრომები, II, თბ., 1952; მისივე, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, II; ნ. ბერძენიშვილი, ბორჯომის ხეობა (დღიური, 1947 წ.), საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964.

[2] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1996; მისივე, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965; მისივე, ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XIII სს. საქართველოში, თბ., 1959; მისივე, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევი, თბ., 1971; მისივე, განქორწინება ქართული სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1973 და სხვ.

## ქალის პრობლემა და თანამედროვე უცხოური მედიევისტიკა

60-იანი წლების დამდეგიდან მედიევისტთა საერთაშორისო მეცნიერული ფორუმების დღის წესრიგში დადგა პრობლემა — ქალი შუა საუკუნეების ეპოქაში. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ის გახლავთ, რომ უკანასკნელ ათწლეულებში ემანსიპაციის პროცესის გაღრმავებამ არაჩვეულებრივად გაალვივა ინტერესი გარდასულ ეპოქათა ქალის მდგომარეობის შესწავლისადმი. დასავლურ ისტორიოგრაფიაში დაისვა კითხვა — როგორი იყო ქალის მდგომარეობა შუა საუკუნეებში? გაჩნდა სპეციალური ფემინისტური საზოგადოებები, რომლებიც ამ მიმართულებით აწარმოებენ კვლევა-ძიებას. მაგ. „შუა საუკუნეების ფემინიზმის სწავლების" საზოგადოება (The Society for Medieval Scholarship).[1]

შუა საუკუნეებში ქალის საზოგადოებრივი სტატუსის გარკვევის მიზნით ევროპასა და ამერიკაში ეწყობა მრავალრიცხოვანი სესიები და კონფერენციები. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი კონგრესია kalamazoo-ს საერთაშორისო კონგრესი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება აშშ-ში. იქმნება გრძელვადიანი კვლევითი პროექტები, როგორიცაა მაგ. ბარნარდის (Barnard) პროექტი, მიძღვნილი 500-1500 წწ. ქალის რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი.

მსგავსი ღონისძიებების გარდა თანამედროვე ევროპასა თუ ამერიკაში ყოველწლიურად გამოდის მრავალი საინტერესო მონოგრაფია და სტატია, რომელთა ავტორებიც შუა საუკუნეების ქალს სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენენ. ზოგიერთი მედიევისტი ამტკიცებს, რომ შუა საუკუნეები ქალის უფლებრივი მდგომარეობისათვის კულმინაციური პერიოდია. რომ ამ დროს ქალს ჰქონდა მეტი უფლებები და უფრო მაღალი საზოგადოებრივი სტატუსი, ვიდრე თანამედროვე ეპოქაში. ზოგი კი პირიქით — უარყოფს მათ მდგომარეობაში ყოველგვარ სხვაობას.[2]

---

[1] Judith M. Bennett, Medievalism and Feminism, კრებ. Studying Medieval Women, Sex, Gender, Feminism, edited by Nancy F. Partner. The Medieval Academy of America, Cambridge, Massachusetts, 1993.

[2] "History That Stands Still: Women's Work in the European Past", Feminist Studies, 14 (1988); "Medieval Women, Modern Women: Across the Great Divide", in Culture and History, 1350-1600; Essays on English Communities, Identities and Writing, ed. David Aers, London, 1992.

ზოგიერთი მეცნიერი შუა საუკუნეების ქალს ახასიათებს აქტიურ არსებად, რომელიც მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ახერხებდა თავად გაეკონტროლებინა საკუთარი ბედი. სხვები კი განიხილავენ მას როგორც მსხვერპლს, რომლის ცხოვრებაც შეზღუდული იყო პატრიარქალური საზოგადოების მიერ.[1]

ფემინისტმა მედიევისტებმა, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, არსებითად შეცვალეს მედიევიზმის შესწავლის მეთოდიკა და ამით იმდროინდელი ცხოვრებისა და კულტურის უფრო სრულყოფილი სურათი დაგვიხატეს. მაგ. 1940-50-იან წლებში დევიდ ნოულესმა (Knowles) გამოსცა ინგლისის სამონასტრო ცხოვრების ისტორია სამ წიგნად, სადაც წყაროების არქონის მოტივით, აბსოლუტურად იგნორირებული იყვნენ ქალი მონაზვნები. მხოლოდ ოციოდე წლის შემდეგ დაიწყო ამ ვაკუუმის შევსება. მეცნიერებმა არქივებში მოიძიეს ინგლისელი მონაზონი ქალების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები, რომლებსაც ნოულესმა ყურადღება არ მიაქცია.

ანალოგიური სიტუაცია იყო შუა საუკუნეების ისტორიის სხვა სფეროების შესწავლაშიც. ინფორმაცია, რომელიც მეცნიერების მიერ იგნორირებული იყო შეაგროვეს და შეისწავლეს ფემინიზმის მკვლევარებმა. ისტორიულ მეცნიერებაში ამ პროცესს დაერქვა გონებამახვილური ტერმინი "Herstory" (შდრ. "History" – კაცის ისტორია) და იგი დაიწყო არამარტო ისტორიაში, არამედ ხელოვნებასა და ლიტერატურაშიც: შესწავლილი და გამოცემული იქნა შუა საუკუნეების ქალების შემოქმედებითი საქმიანობის ამსახველი მრავალი დოკუმენტი.

ქალის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერები უკვე ცნობილ წყაროებს თავიდან სწავლობენ, მიმართავენ საარქივო კვლევა-ძიების ახალ მეთოდებს, ახდენენ ძველი წყაროების ახლებურ ინტერპრეტაციას, ეძებენ ახალ დოკუმენტებსა და ტექსტებს. მაგ. ზოგიერთი ფემინისტი ისტორიკოსი დღეს ეჭვის თვალით უყურებს თვით შუა საუკუნეების პერიოდიზაციასაც კი. ისინი თვლიან, რომ ე. წ. განვითარებული შუა საუკუნეები სულაც არ იყო „განვითარებული“ ქალებისათვის.

---

[1] Jane Shulenburg, "Heroics of Virginity: Brides of Christ and Sacrificial Mutilation", in Women in Middle Ages and Renaissance, ed. Mary Beth Rose, Syracuse, NY. 1986; Caroline Walker Bynum, Holy Feast and Holy Fast: The Religious Significance of Food fo Medieval Woman, Bercely, 1987.

ჩვენს მიერ მოძიებული მასალების საფუძველზე შეგვიძლია ცალკე გამოვყოთ რუსულ ისტორიოგრაფიაში ქალთა ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის კვლევის საკითხი.[1]

ამ პრობლემის გარშემო მასალების შეგროვება ჯერ კიდევ XVIII ს-ში დაიწყო ვ. ტატიშჩევისა და ნ. კარამზინის მიერ.[2] ხოლო დაახლოებით XIX ს-ის მეორე მესამედიდან ძველი რუსული ოჯახი და მასში ქალის სტატუსი სამართლის ისტორიკოსებისათვის აქტიური ყურადღების საგანი გახდა. ი. პლატონოვის მიერ დერპტის უნივერსიტეტის პროფესორის ი. ფ. ევერსის ფუნდამენტური ნაშრომის[3] თარგმნის შემდეგ, რომელშიც განხილული იყო რუსული სახელმწიფოებრიობის წარმოშობა გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობებიდან, რუსულ ისტორიოგრაფიაში ყალიბდება შეხედულება ოჯახზე, როგორც სახელმწიფოს პირველად უჯრედზე. ევერსის მიმდევრებმა[4] გამოიყენეს საკანონმდებლო ძეგლები ოჯახის ისტორიის ისეთი საკითხების განსახილველად, როგორიცაა მეუღლეებს შორის ქონებრივი და მემკვიდრეობითი ურთიერთობები,[5] ქალის უფლებრივი

---

[1] მასალა მოპოვებული გვაქვს ნ. პუშკარიოვას საკანდიდატო დისერტაციის "Положение женщины в семье и обществе древней Руси (X-XV вв.)" „ავტორეფერატის მიხედვით, მოსკოვი, 1985.

[2] Татищев В. Н., История Российская, в 7 томах, М-Л., 1963, т. 2; Карамзин Н. М., История государства Российского, СПБ, 1851, т. 2.

[3] Эверс И. Ф., Древнейшее русское право в историческом его раскрытии, СПБ, 1835.

[4] Рейц, История российского законодательства. Опыт истории российских и государственных законов, М., 1836; Неволин К. А., История российских гражданских законов, СПБ, 1851, т. 1; Сергеевич В. И., Лекции и исследования по древней истории русского права, СПБ, 1880.

[5] Никольский В.Н., Об основных моментах наследования, М., 1841; Он же, о началах наследования в древнем русском праве, СПБ, 1859; Губе И., История древнего наследственного права у славян, в кн: Сборник исторических и статистических сведений о России и народах ей единоверных и единоплеменных, М., 1845, т. 1; Попов А., Об опеке и наследстве по "Русской Правде", там же; Соловьев А., Юридические отношения между супругами, Новгород, 1881; Ланге О., О праве собственности супругов по древнерусскому праву, СПБ, 1886; Пергамент О., К вопросу об имущественных отношениях супругов по древнейшему русскому праву, Журнал Министерства Народного Просвящения, 1894, N 11.

მდგომარეობა[1] და სხვა. მაგრამ მათი დასკვნები ცალმხრივი იყო და ამიტომ ხდებოდა შუა საუკუნეების რუსეთის საზოგადოებაში ქალის როლისა და მისი კანონიერი უფლებების დამცრობა. ზოგი მკვლევარი (ევერსი, სერგეევიჩი) თვლიდა, რომ ძველ რუსულ ოჯახში ქალებს არ ჰქონდათ პირადი ქონება და ამიტომ მთლიანად დამოკიდებული იყვნენ კაცებზე,[2] სხვები — პირიქით, ხაზს უსვამდნენ ქალის პირად თავისუფლებას და საცოლქმრო კავშირში ქონებრივ განცალკევებულობას.[3] ასე, მაგალითად, ს. სოლოვიოვი მხარს უჭერდა მოსაზრებას, რომ ქალს გააჩნდა უძრავ-მოძრავი ქონება და პოლიტიკურ ცხოვრებაშიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა[4] (იგულისხმებოდნენ, რა თქმა უნდა პრივილეგირებული ფენის ქალები).

XIX ს-ის შუა ხანებში რუსი მეცნიერების ინტერესი ოჯახისა და ქალის სოციალური მდგომარეობის შესახებ გამოწვეული იყო რადიკალური ინტელიგენციის სფეროში ქალთა ემანსიპაციის პრობლემით, რასაც, თავის მხრივ, ბიძგი მისცა XVI ს-ის ფრანგი უტოპისტების შრომებმა. პეტრე I-ის დროინდელ ქალებზე პირველი სერიოზული შრომის ავტორი იყო ვ. შულგინი. საოჯახო ყოფისა და ქალის მდგომარეობის შესასწავლად მან პირველმა გამოიყენა რუსი წმინდანების ცხოვრებები და ქალის დანიშნულება შემოფარგლა ოჯახისა და ბავშვების მოვლით.[5]

XIX ს-ის მეორე ნახევრის ისტორიკოსებმა უფრო გააფართოვეს საკვლევი ძეგლების თემატიკა. ზოგიერთი მათგანი ზედმეტად გაიტაცა ფოლკლორისა და თქმულებების შესწავლამ და ამიტომ მოხდა ძველი რუსეთის ქალების სოციალური „თავისუფ-

---

[1] Орович Я., Женщина в праве, СПБ, 1895; Синайский В. И., Личное и имущественное положение замужной женщины в гражданском праве, в кн: Ученые записки имп. Юрьевского университета, Юрьев, 1910, N 10.

[2] Эверс И. Ф., Древнейшее русское право, стр. 51-51; Сергеевич В. И., Лекции по истории русского права, СПБ, 1880, стр. 513.

[3] Ланге О., О праве собственности, стр. 1-5; Дебольский Н. Н., Гражданская дееспособность по русскому праву до конца XVII в., СПБ, 1903, стр. 261-262.

[4] Соловьев С. М., История России с древнейших времен, М., 1960, кн. 2, стр. 70-71, 483-484.

[5] Шульгин В. Я., О состоянии женщин в России до Петра Великого, Киев, 1850.

ლების" ჰიპერბოლიზაცია და მათი მდგომარეობის იდეალიზაცია.[1]

შუა საუკუნეებში რუსი ქალის სოციალური მდგომარეობის პრინციპულად ახალი სურათი დაგვიხატეს რევოლუციონერ დემოკრატებმა და მათმა მიმდევრებმა. ისინი ხაზს უსვამდნენ ფეოდალურ საზოგადოებაში ქალის არათანასწორუფლებიანობას და მიზეზს საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში პოულობდნენ. ფეოდალური დაშლილობის პერიოდში სახელმწიფოებრივი მოწყობის სხვადასხვა ფორმების შედარებისას ი. ხუდიაკოვმა შეამჩნია, რომ ქალების სოციალური მდგომარეობა განსხვავებული იყო სხვადასხვა სამთავროებსა და ფეოდალურ რესპუბლიკებში, აგრეთვე აღრიცხა ნოვგოროდის ვეჩეში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი აშკარა ფაქტები.[2]

XX ს-ის 20-30-იან წლებში საბჭოთა მეცნიერებმა პრობლემის კვლევა ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებიდან დაიწყეს. ამ წლებში გამოვიდა რიგი ნაშრომებისა,[3] რომლებშიც განხილული იყო ოჯახი და ქორწინება მათ ისტორიულ განვითარებაში.

60-იანი წლების დასაწყისში რიბაკოვმა შეაგროვა და დაამუშავა XI-XVI სს-ების დიდძალი ეპიგრაფიკული მასალა,[4] რამაც ახალი პერსპექტივები შექმნა ძველი რუსეთის ქალების სოციალური მდგომარეობისა და ოჯახის შესწავლის საქმეში — კოსვენმა შეაგროვა ისტორიული მასალა ფეოდალიზმამდელი ოჯახის ფორმების შესახებ.[5] შემდეგ, ძველი რუსული ოჯახის შესწავლა განაგრძო შაპოვმა,[6] რომელმაც წამოაყენა თეორია ძველ რუსეთში ოჯახის ორი ფორმის — დიდი და მცირე ოჯახების არსებობის შესახებ.

---

[1] Добряков А. В., Русская женщина в домонгольский период, СПБ, 1864; Забелин И. Е., Женщина по понятиям Российских книжников, в кн: Опыты изучения русских древностей и истории, М., 1870.

[2] Худяков И. А., Древняя Русь, СПБ, 1867; он же, Женщина допетровской Руси, Модный магазин, 1863, N 20-22.

[3] Вольфсон С. Я., Семья и брак в их историческом развитии, М., 1937; Ковалев Н. К., Вопросы пола, полового воспитания, брака и семьи, М., 1929-31, т. 1-3; Ржига В. Ф., Очерки по истории быта домонгольской Руси, М., 1929.

[4] Рыбаков Б. А., Русские датированные надписи XI-XIV вв., Свод археологических источников (вып. Е-1-44). М., 1964.

[5] Косвен М. О., Семейная община и патрономия, М., 1963.

[6] Щапов М. Н., Брак и семья в древней Руси– вопросы истории, 1970, N 10, стр. 216-218; он же, Большая и малая семья на Руси в VIII-XIII вв., в кн: Становление раннефеодальных славянских государств, Киев, 1972, стр. 180-193.

80-90-იან წლებში ქალთა პრობლემის შესწავლა იყოფა კონკრეტულ თემებად, ცალკეულ ვიწრო საკითხებად. მაგ. ცალ-ცალკე კვლევის საგნები გახდა ოჯახის ისტორია, ქალის ქონებრივ-მემკვიდრეობითი უფლებები, მათი ბრძოლა ეკლესიის შეზღუდვების წინააღმდეგ, ქალის როლი კლასობრივ ბრძოლაში და სხვ. ამ საკითხებზე ეწყობა საერთაშორისო კონგრესები, კონფერენციები. ნელ-ნელა ევროპისა და აშშ-ს ისტორიოგრაფიაში ჩნდება შუა საუკუნეების რუსეთში ქალების სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის ამსახველი ნაშრომები.[1]

ძველ რუსულ ოჯახსა და საზოგადოებაში ქალთა მდგომარეობის ერთ-ერთი აქტიური მკვლევარია ნ. პუშკარიოვა.[2] მისი და მისი მიმდევრების მიზანია სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის ქალების ქონებრივი, მემკვიდრეობითი უფლებების შესწავლა და პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ქალთა როლის ჩვენება.

---

1 Mc Nally S., From Public Person to Private Prisoner: the Changing Place of Women in Medieval Russia. - Doct. Diss., St. University of N. Y. - N. G., 1976; Levin E., Prohibited Marriages in Medieval Russian Orthodox Canon law - in Central Slavic Conference, October 18-20, 1984, Columbia, Missouri, Rapports. - Columbia, 1984, გვ. 18-49.

2 Пушкарева Н. Л., Левина Е., Женщина в средневековом новгороде XI-XV вв., Вестн. Моск. Ун-та, сер. 8., История, 1983, N 3; ее же, Правовое положение женщины в средневековой Руси; вопросы преступления и наказания, Советское Государство и Право, (отдельный оттиск), 4, Москва, 1985.

## III თავი

# ქორწინების შემზღუდველი გარემოებანი

## ა) ნათესაობა

შუა საუკუნეების საქართველოში დაქორწინების აკრძალვა რამდენიმე მიზეზით ხდებოდა: სისხლით ან „სჯულიერი“ ნათესაობით, ერთ-ერთი მეუღლის არამართლმადიდებლობით, „უჰასაკობით“, სულიერი ავადმყოფობით, მშობლების უარით და სხვ.

როგორც საეკლესიო ისე საერო სამართალი, მართალია, ყოველმხრივ ცდილობდა ამ აკრძალვების დაცვას, მაგრამ ცხოვრების პირობების კარნახით, ცალკეულ შემთხვევაში ხელისუფლება იძულებული ხდებოდა კომპრომისზე წასულიყო, ან სულაც დაეხუჭა თვალი რომელიმე კონკრეტულ კანონზე.

ქართულ საისტორიო წყაროებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ყველაზე ხშირად ირღვეოდა ის კანონები, რომლებიც კრძალავდა ქალ-ვაჟის დაქორწინებას სისხლით ნათესაობისა, თუ ერთ-ერთი მათგანის არამართლმადიდებლობის გამო. ამასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, შუა საუკუნეების მთელ მანძილზე ქართველ ხალხს, ძირითადად, ურთიერთობა ჰქონდა არამართლმადიდებელ მეზობლებთან. ამიტომ, როდესაც დაქორწინება პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ხდებოდა, ერთ-ერთი მეუღლე ხშირად არამართლმადიდებლური სარწმუნოების წარმომადგენელი იყო.

რაც შეეხება სისხლით ნათესაობის გამო ქორწინების აკრძალვის კანონს, ხშირად მასზეც თვალს ხუჭავდნენ, თუ ქორწინება ეკონომიკური ან პოლიტიკური თვალსაზრისით გამართლებული იყო. მთავარი იყო, რომ საცოლესა და საქმროს ოჯახის ინტერესები დაეკმაყოფილებინა.

განვიხილოთ ნათესაობა, როგორც საქორწილო აკრძალვის ერთ-ერთი პირობა; უფრო ზუსტად, შევეცადოთ გავარკვიოთ, ვისთან შეიძლებოდა ქორწინება და ვისთან არა.

ნათესაობა, ძირითადად, სამი სახისაა: სისხლითი (წარმოშობა), მოყვრობითი (ცოლისა და ქმრის მხარეების ნათესაობა) და ხელოვნური (ნათლობა, ძუძუმტეობა, დაძმობილება და სხვ.). ქართული ტრადიციითაც და კანონმდებლობითაც აღიარებული იყო, რომ საქართველოს ყველა კუთხეში მოქმედებდა ეგზოგამიის წესი, ე. ი. მექორწინეები სხვადასხვა გვარის უნდა ყოფილიყვნენ. ამასთან დაკავშირებით ისმის უკვე სხვა კითხვა: როგორი ნათესავები ითვლებოდნენ

სისხლით ნათესავებად, ანუ რა სახის ნათესაური კავშირები ითვლებოდა ქორწინებისათვის შემაბრკოლებელ გარემოებად?

შუა საუკუნეების ევროპაში არსებობდა ნათესაობის გამოთვლის ორი სისტემა: 1) გერმანული, რომელიც ნათესაობას თაობათა მიხედვით ითვლიდა, და 2) რომაულ-ბიზანტიური, სადაც ყოველი დაბადება ნათესაობის ცალკე ხარისხი იყო. რაც შეეხება საქართველოს, პირველ ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქ ოფიციალური კანონმდებლობა ბიზანტიური სამართლის ძალიან დიდ გავლენას განიცდიდა. ის ფაქტი, რომ საქართველოში მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებები მოქმედებდა და ქართული ეკლესიის კანონიკური ძეგლებიც მათი გავლენით დგებოდა, სამართლის მკვლევართათვის ეჭვს არ იწვევს. და მართლაც, კირონ და აბრაამ კათალიკოსებს შორის მიმოწერაში (VII ს.), უხტანესის გადმოცემით, კირონი პირდაპირ სწერს აბრაამს: „რადგან ჩვენი სარწმუნოების გამოძიება და ცოდნა გსურთ, ვათარგმნინე და გამოვატანე ოთხივე კრების წიგნი, რომლითაც ბერძნები ხელმძღვანელობენ და წმიდა ანასტასსა და წმიდა სიონშიც იქადაგება. გნებავთ, თუ არა გნებავთ, ჩვენი სარწმუნოება ეს არის".[1] და თუ ეს სიტყვები რეალურ ვითარებას ასახავდა, მაშინ შუა საუკუნეების საქართველოში ნათესაობის გამოთვლის სისტემა, ალბათ, რომაულ-ბიზანტიური უნდა ყოფილიყო. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, გამოთქმული მ. ტყეშელაშვილის მიერ, რომ ნათესაობის სისტემის ათვლა საქართველოში, კათოლიკური სამყაროს მსგავსად, ხდებოდა არა დაბადების, არამედ თაობების მიხედვით.[2]

ამ საკითხში უფრო კარგად გარკვევის მიზნით მივმართოთ ქართულ წყაროებს. პირველ რიგში განვიხილოთ ქართულად თარგმნილი ბიზანტიური კანონიკური შრომები, სადაც ნათლად არის ჩამოყალიბებული სისხლით ნათესაობის სქემა. თავისთავად ის ფაქტი, რომ ეს ძეგლები ქართულად ითარგმნა, მიუთითებს მათ მნიშვნელობაზე ქართული საზოგადოებისათვის. შემდეგ კი ვნახოთ, ეთანხმება თუ არა ბიზანტიური ნათესაური სისტემა ქართული ორიგინალური წყაროების მონაცემებს.

---

[1] უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1975, გვ. 143.

[2] Ткешелов М., Изследования по грузинскому праву, вып. 1, Семейное право, М., 1892, გვ. 10.

ერეკლე II-ის თანამედროვემ, წარმოშობით ბერძენმა იოანე მიხეილის ძე ქსიფილინოს-პაპუწიშვილმა თარგმნა „ქორწინებისა თავთათჳს“, რომლის ორიგინალიც, კ. კეკელიძის აზრით, ეკუთვნოდა მანუილ ქსანთინოსს და დაწერილი იყო იერემია პატრიარქის (1525-1540 წწ.) ბრძანებით.[1] პირველი ნაწილი, სადაც განხილულია ნათესაობის სხვადასხვა სახეები, მანუილს ამოუღია, უმთავრესად, მათე ბლასტარის სჳნტაგმებიდან (1335 წ.), ხოლო მეორე ნაწილი — ნებადართულ ქორწინებათა დიაგრამები — თვითონ შეუდგენია.[2]

მართალია, „ქორწინებისა თავთათჳს“ XVIII ს-ის 80-იან წლებშია თარგმნილი, მაგრამ სინტაგმა დიდი ხნით ადრე უნდა ყოფილიყო ცნობილი ქართული საზოგადოებისათვის. წარმოუდგენელია, რომ მათე ბლასტარის საქვეყნოდ ცნობილი იურიდიული კრებული, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნებში,[3] 400 წლის განმავლობაში უცნობი ყოფილიყო ქართული სამართლისათვის. ამიტომ, მართებული იქნება ვიფიქროთ, რომ თუ მანამდე არა, ყოველ შემთხვევაში XV ს-დან მაინც ეს კრებული გამოიყენებოდა ქართულ მართლმსაჯულებაში. ასეთი გამოყენება, ი. დოლიძის აზრით, სავარაუდოა, როგორც კანონთა ბერძნული ტექსტის, ისე ქართული თარგმანის სახითაც. მაგრამ ჟამთა სიავის გამო XVIII ს-ის 80-იან წლებამდე ასეთმა თარგმანმა ვერ მოაღწია. იგი დაიკარგა და ამიტომ ერეკლე II-მ და ანტონ II-მ საჭიროდ მიიჩნიეს მისი ხელახალი თარგმნა.[4]

ტექსტში ვკითხულობთ: „რომელნიცა ერთისა და მისვე მამისა და ერთისა და მისვე დედისაგან იშვებიან, ესენიცა იწოდებიან ძმად... უკეთუ ორისა მამისა და ერთისა დედისაგან იშვებიან, ვერცაღა მათ ძალუძთ თქმად, ვითარმედ არა ვართო ძმა, ვინათგან სხჳსა მამისაგან ვართ; არამედ სრულიად ძმანი არიან იგინი, ერთისა და მისვე ანუ მამისა გინა დედისაგან შობილნი.

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, მესამე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბ., 1951, გვ. 370.

[2] Горчаков М., О тайне супружества. Происхождение, историко-юридическое значение и каноническое достоинство 50-й главы Кормчей Книги, Пб., 1880, გვ. 31.

[3] სამართალი ბერძნული, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 021.

[4] ქორწინებისა თავთათჳს, გვ. 613-614.

ესე უკუე ძმანი არიან თავნი ორნი, და შვილთა ამათთა ეწოდე-ბის პროტოექსადელფია, ესე იგი პირველნი ბიძაშვილნი, და იქმნები-ან თავნი ოთხნი: ერთი მე, მეორე ჩემი ძმა, მესამე ჩემი შვილი და მეოთხე ძმისწული იგი ჩემი. პირველთა ბიძაშვილთაგან იშვებიან რა ძენი, იწოდებიან დევტერა ექსადელფია, ესე იგი მეორე ბიძაშვილნი, და იქმნებიან თავნი მეექვსენი.

ხოლო მეორეთა ამათ ბიძაშვილთაგან, რომელნიცა იშვებიან, იწოდების მათ ტრიტა ექსადელფია, ესე იგი მესამე ბიძაშვილნი, და იქმნებიან თავად მერვედ".[1]

უფრო ადრე, XVI ს-ში კალიგრაფ გიორგი კარგარეთელს გადა-უწერია ერთი ისეთი კრებული, რომელიც, როგორც ენისა და შედგე-ნილობიდან ჩანს, გაცილებით ადრე უნდა იყოს ნათარგმნი.[2] ამ კრებულს ეწოდება დაყენებულთა და უჯეროთა ქორწინება-მზახ-ლობათათჳს და განგდებულთა". იგი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველს აწერია ტინტლოსი მეშვიდე და ამოღებულია მართლაც ბასილი მაკედონელის პროხირონის მეშვიდე ტიტლოსიდან. აქ გარკვეულია სისხლით ნათესაობის სამი სახე – „აღმართი, შთამა-რთი და მგურდელობითი"; ნაჩვენები არიან ის პირნი, რომლებიც სამივე ამ სახის ნათესაობრივ კავშირში იმყოფებიან; ამასთან ერ-თად განხილულია, შეუძლიათ თუ არა მათ ერთმანეთთან შეუღლე-ბა. მეორე ნაწილს აწერია: „ხარისხთათჳს ნათესაობისათა ამისაგან წიგნისა ანასტიტუტონთასა". აქ უნდა იგულისხმებოდეს მესამე წიგნი იუსტინიანე დიდის ცნობილი საკანონმდებლო კრებულის Corpus Juris Civilis-ის ინსტიტუციებისა. მასში ჩამოთვლილია თითოეული ზემოთდასახელებული სისხლითი ნათესაობის სამი სახის ექვსი ხარისხი.[3]

სისხლით ნათესაობის სამი სახის გასარკვევად კვლავ ციტატა მოვიყვანოთ „ქორწინებისა თავთათჳს"-დან: „სისხლისა უკუე ნათე-სავობაჲ განიყოფების სამად: 1. აღმავალად, 2. შთამომავალად და 3. გვერდგანმავალად.

1. აღმავალნი არიან: მამა ჩემი, პაპა ჩემი და წინაპარნი ჩემნი, დედა ჩემი, ბებია ჩემი და ბებიის დედა ჩემი.

2. ხოლო შთამომავალნი: შვილი ჩემი, შვილის-შვილი და ზნუანი.

---

[1] ქორწინებისა თავთათჳს, გვ. 151.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, გვ. 612.

[3] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 537-538.

3. და გვერდ-განმავალ არიან, რომელთაგან არცა მე ვარ შვილ მათგან და არცა იგინი ჩემგან, გარნა ერთისა ნათესავისაგან ვართ: ესე იგი არს ძმა ჩემი, დაჲ ჩემი, ბიძაშვილი და ბიძაჲ ჩემი და სხუანი".[1]

სისხლით ნათესაობის მეშვიდე ხარისხში აკრძალულია ქორწინება ქალ-ვაჟს შორის. ესე იგი არა მეშვიდე თაობამდე, არამედ ვაჟი ვერ შეირთავდა „მეორისა ბიძაშვილისა ასულსა": „სისხლისა ნათესავობისა მეშვიდე თავი დაყენებული არს ყოვლითურთ და არა იქორწინების: და არცაღა სწერს სჯული შერთუად ვისგანმე თვისისა ბიძაშვილისა ასულისა ცოლად".[2]

ამ სისტემაში უკეთ გასარკვევად მოყვანილია სქემატური მაგალითიც:

## ყოველნივე შეირთვენ მესამესა ბიძაშვილსა თვისსა

პეტრე მამა არს

| | | |
|---|---|---|
| გიორგი | ძმანი | იოანე |
| თომა | 1 ბიძაშვილნი | ემმანუილ |
| დიმიტრი | 2 ბიძაშვილნი | თეოდორე |
| ალექსი | 3 ბიძაშვილნი | ირინე |

თავი. 8 ჯერ-არს
ვიდრე აქამომდის არს სისხლით ნათესავობა შეკრულ.[3]

ეს ძეგლები ბერძნულიდან არ ითარგმნებოდა, მათ რომ ქართული საზოგადოებისათვის მნიშვნელობა არა ჰქონოდა. ამიტომ, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ნათესაობის ათვლა ხდებოდა ბიზანტიური სისტემით, ე. ი. თავების მიხედვით და არა თაობების.

---

[1] ქორწინებისა თავთათჳს, გვ. 151-152.
[2] იქვე, გვ. 152.
[3] იქვე, გვ. 166.

რუსული საოჯახო სამართლის სპეციალისტი მ. ცატუროვაც თვლის, რომ შუა საუკუნეების რუსეთშიც იგივე მდგომარეობა იყო — დაქორწინება იკრძალებოდა მე-7-ე ხარისხის (და არა თაობის) ნათესაობის ჩათვლით.[1]

ანალოგიური სიტუაცია იყო სომხეთშიც: სომხური კანონიკური სამართალიც კრძალავდა ქორწინებას მე-7-ე ხარისხის ნათესაობის ჩათვლით.[2]

ქართული სამართლის მიხედვითაც იგივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო.

აკრძალვის ხარისხის ზღვარი დროთა განმავლობაში იცვლებოდა. თუ გადავხედავთ რომაულ-ბიზანტიურ წყაროებს, დავინახავთ, რომ ქრისტიანული ეკლესია თავდაპირველად კრძალავდა ქორწინებას ნათესავებს შორის მხოლოდ მე-4 ხარისხამდე. „თუ მე მყავს ერთი შვილიშვილი ვაჟის ხაზით და მეორე შვილიშვილი ქალის ხაზით, მათ შორის ქორწინება დასაშვებია მხოლოდ ჩემი თანხმობის შემდეგ", — იმეორებს იუსტინიანე II საუკუნის ცნობილი იურისტის პავლე იულიუსის სიტყვებს.[3] და ცოტათი უფრო ქვემოთ დასძენს: „§ 1. ქორწინება არ შეიძლება ჩემსა და ჩემი მამის საცოლეს შორის, თუნდაც მან ვერ მოასწრო ჩემი დედინაცვლად გახდომა. § 2. ვერც ჩემი საცოლე ვერ გაყვება მამაჩემს. § 3. თუ ჩემი ცოლი გაყრის შემდეგ სხვას გაყვა და მასთან ქალიშვილი გააჩინა, მე თავი უნდა შევიკავო ამ უკანასკნელის ცოლად მოყვანისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის ჩემი გერი".[4]

როგორც ჩანს, შუა საუკუნეების ბიზანტიაში და ალბათ, შესაბამისად, საქართველოშიც ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად სხვადასხვა დროს სხვადასხვა დონის ნათესაობა ითვლებოდა; და ამ ცვლილებას ზრდის ტენდენცია ახასიათებდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვიანანტიკურ ხანაში (II ს.) და შეიძლება იუსტინიანე დიდის (VI ს.) მმართველობის პერიოდშიც იკრძალებოდა მე-4 ხარისხამდე ნათესავების დაქორწინება. ტრულის საეკლესიო კრების (692 წ.)

---

[1] Цатурова М., Русское семейное право XVI-XVIII вв., М., 1991, გვ. 9.

[2] Судебник Смбата Спарапета (Гундстабля) 1265 г., перевод со среднеармянского, предисловие и примечания А. Г. Сукиасяна, Ереван, 1971, გვ. 31.

[3] Дигесты Юстиниана, избранные фрагменты в переводе и с примечаниями И. С. Перетерского, М., 1984, გვ. 370.

[4] იქვე, გვ. 371.

54-ე კანონითაც იკრძალებოდა ქორწინება ბიძაშვილებზე,[1] ასევე ეკლოგაც (VIII ს.) გაროზგვით ემუქრებოდა ბიძას ან დეიდას, რომელიც ძმის შვილზე ან დის შვილზე დაქორწინდებოდა.[2] მოგვიანებით კი (X-XII სს.) აკრძალვა გავრცელდა მე-7 ხარისხზე.

საინტერესოა, თუ როგორ იყო გადაწყვეტილი ეს პრობლემა საქართველოში ან საქართველოსათვის დაწერილ ძეგლებში.

უძველესი კანონიკური კრებული, რომელშიც განხილულია, თუ როგორი ხარისხის ნათესავებს შორის არ შეიძლება დაქორწინება, არის X ს-ში ექვთიმე მთაწმინდელის მიერ შედგენილი მცირე სჯულის კანონი. აქ ინცესტის დანაშაული მკვლელობასთან არის გათანაბრებული: „ძმაჲ თუ დასა თანა ალერიოს, კაცის კლვისა კანონსა თანამდებ არს... ხოლო მამის ძმისწულთა ქორწინებაჲ თუ გამოჩნდეს, კანონი ზემოწერილ არს... ესევითარნი ქორწინებანი ყოველნი და-მცა-ჴსნილ არიან“.[3]

XV ს-ში აფხაზეთის საკათალიკოზოსათვის ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქ მიქაელს მიუცია ე. წ. „მცნებაჲ სასჯულოჲ“, სადაც წერია: „და ვინ... დედა-შვილი მამა-შვილთა შეირთოს, გინა ორი დანი ორთა ძმათა შეირთონ, ანუ ვის ცოლი მოუკუდეს, ცოლისა ასული შეირთოს, ანუ ვინ ცოლისა დედა, რომელ არს სიდედრი, შეირთოს, ანუ მეყჳსი შეირთოს... ანუ ვინ რძალი შეირთოს... გინა დობილი ანუ დედობილი შეირთოს... წყეულ და შეჩუენებულმცა არიან ღმრთისა დაუსაბამოჲსა პირითა, რომელმან შექმნა საუკუნენი“.[4]

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა XVI ს. საკანონმდებლო ძეგლი „სამართალი კათალიკოზთა“, სადაც ცალკე მუხლად არის გამოყოფილი რძლის შერთვისას დამსჯელი ღონისძიებები: „კაციცა და დედაკაციცა გალმა-გამოღმა დაკირონ და მკირავნი ჩუენგან დალოცვილ და კურთხეულ იყონ“.[5]

---

[1] Деяния Вселенских соборов, т. VI., Казань, 1882, გვ. 301.

[2] Эклога, Византийский законодательный свод VIII в., вступительная статья, перевод, комментарий Е. Э. Липшиц, М., 1965, ტ. II, 2-ტ. XVII, 37.

[3] მცირე სჯულის კანონი, გვ. 81.

[4] მცნებაჲ სასჯულოჲ, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 231.

[5] სამართალი კათალიკოზთა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963, მუხ. 22.

XVIII ს-ის დასასრულს სრულიად სამეგრელოს სამთავროს მიტროპოლიტი ბესარიონ ჭყონდიდელი თავის ეპისტოლეში შემდეგ განაწესს უდგენდა სამწყსოს: „რათა არა იქმნას ერთისა აღმომქმნელისა აღმოქმნული ერთი ერთისათა მეუღლედ, ვინადგან არს ნათესაობა მათი, ვითარცა სისხლითი ნათესაობა ვიდრე მერვედ თავადმდე და მერვესა თავსა განიხსნების და იქორწინენ".[1] ამასთან ერთად მოითხოვდა, რომ ეკლესიას შეენახა მექორწინეთა და ნათლია-ნათლულის მონაცემები, რათა შემდგომ არ მომხდარიყო ნათესავების დაქორწინება. აგრეთვე ყველა მღვდელს „გვირგვინისასა კურთხევასა" წინ უნდა გამოეძია „უწესობა არა იყოს რა".[2]

1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილებაში ჩვენთვის საინტერესო საკითხზე შემდეგი რამ წერია: „ვამცნებთ ეპისკოპოსთა... რათა არა შერიონ ნათესაობა უწესოთა ქორწინებითა, არამედ ესრეთ ყოფდნენ: იყავნ დასაბამ პირველ მამა და მისგან რაჲ გამოეკვეთნენ ოთხნი ერთ კერძო და კულად ოთხნი ერთ კერძო. ბოლო ესე იქმს, თჳნიერ დასაბამისა მის, რიცხვსა რვასა და სრულ იქმნეს რაჲ ორსავე კერძოსა რიცხვი რვა, — მეხუთე ერთ კერძოსა და მეხუთე მეორისა კერძოსა — ესე მეხუთენი შეიუღლვლიან ურთიერთას. და ამა მეხუთეთა ნაკლებს არავის განუჩინებთ ქმრად ქორწინებისაჲ".[3]

ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულშიაც კატეგორიულად იკრძალება „ახლო ნათესავთა და გვართა ცოლ-ქმრად შეყრა".[4] ახლო ნათესავებში კი, როგორც ჩანს, იგულისხმება როგორც „ალმართი და შთამართი" ნათესავები, ისევე არაღვიძლი დები და ძმები, რომლებიც დედის ან მამის მეორე ქორწინებიდან გაჩნდნენ. არც მათ და არც მათ შვილებს არა აქვთ დაქორწინების უფლება „სამს ჭიპამდი"; ხოლო რაც შეეხება ღვიძლ და-ძმებს, მათ შორის ქორწინება მე-6 თაობამდე (ე. ი. მე-10 ხარისხის ჩათვლით) იკრძალება.[5]

---

[1] ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1913-14, გვ. 104.

[2] იქვე, გვ. 105.

[3] კანონი 1748 წლის საეკლესიო კრებისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 801.

[4] სამართალი სომხური, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, მუხ. 362.

[5] იქვე, მუხ. 362.

***

ქრისტიანულმა ეკლესიამ კიდევ უფრო გააფართოვა იმ პირთა წრე, რომელთა შორისაც ქორწინება ნათესაური კავშირის გამო იკრძალებოდა. ქრისტიანობამ შემოიღო ნათესაობის ახალი სახეობა, ე. წ. „სულიერი ნათესაობა“, რომელიც ნათელ-მირონობით მყარდებოდა. საეკლესიო სამართლის სფეროში ნათლობას იგივე მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც სამოქალაქო სამართლის მიხედვით დაბადებას. შეიქმნა შეხედულება, რომ „სულიერი ნათესაობა“ ქორწინებისათვის ისეთსავე დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს, როგორც სისხლითი, ვინაიდან ეს არის სულიერი კავშირი შექმნილი უშუალოდ ღმრთის შუამდგომლობით.[1]

ახლო „სულიერ ნათესავთა“ შორის ქორწინების აკრძალვა ბიზანტიურ სამართალში პირველად გვხვდება იმპერატორ იუსტინიანეს დროს და ეხება მხოლოდ ნათესაობის პირველ ხარისხს, ე. ი. არ შეიძლებოდა ქორწინება ნათლიმამასა და სულიერ ქალიშვილს შორის.[2] მალე VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ თავის 53-ე წესში ფაქტიურად იგივე გაიმეორა: „რომალმანცა შვილი თვისი მონათლოს თანა აძს მას დატევება ცოლისა თჳსისა ამად, ვითარმედ, დაჲ იქმნა მისდა სულიერ ცოლი იგი მისი“. კრებამ აგრეთვე აკრძალა ქორწინება ნათლიასა და ქვრივ ნათლიდედას შორის: „ვინათგან საცნაურ არს, ვ~დ სულიერი თვისება უდიდეს არს ჴორციელისა თვისებისა, გვეუწყა ჩ~ნ, ვ~დ რ~თამე სოფელთა მიიქუმენ ვინმე ყრმათა წ~სა ნათლის-ღებისაგან და შ~დ ამისა იქმნეს დედათა მათ ყრმათასა დაქურივებაჲ და იქორწინებენ ამქუმელნი იგი თ~სთა მათ სვინდიკნოზთა. ამის თ~ს განვაწესებთ და განვაკრძალებთ რათა საქმე ესე ამიერითგან არა იქმნას... არცა ასული იყოს სვინდიკნოზისა მის, ანუ ასულის წული ვერ ჰელეწიფების ქორწინება სვინდიკნოზს მას, რ~ ესე უჯერო არს“.[3]

საეკლესიო კანონმდებლობის გავლენით თანდათან სამოქალაქო კანონმდებლობაც აფართოებს სულიერ ნათესავთა შორის ქორწინების აკრძალვას. იმპერატორებმა ლევ IV და კონსტანტინე VI-მ VIII ს-ში

[1] Эклога, т. II, 3, т. XVII, 25, 26, ამ ადგილას ეკლოგა ეყრდნობა იუსტინიანეს კოდექსს (Cod. Jus. V, 4, 26[530]), ხოლო თვით მას დაეყრდნენ Proch. VII, 28; Epanagoge. XVII, 31 და Bas. 28, 5, 14.

[2] Дигесты Юстиниана, გვ. 164.

[3] Правила VI Вселенского собора, გვ. 39.

სულიერ ნათესავთა შორის უკვე საერთო მესამე ხარისხშიაც აკრძალეს ქორწინება.[1]

ბიზანტიური საერო კანონმდებლობა იმ გზით მიდიოდა, რომ სულიერ ნათესაობას სისხლით ნათესაობას უთანაბრებდა და ამრიგად მზად იყო ამ მიმართულებით მე-7 ხარისხში აეკრძალა ქორწინება. XII ს-ში, როგორც კანონისტების აზრით, ისევე სინოდის შეხედულებითაც ზემოხსენებული მდგომარეობა აღიარებული ხდება: კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნიკოლოზ გრამატიკოსის დროს 1092 თუ 1097 წელს კონსტანტინეპოლის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე ნათლობის საფუძველზე წარმოშობილ სულიერ ნათესავთა შორის ქორწინება იკრძალებოდა მე-7 ხარისხამდე.[2]

ის რომ საქართველოს ეკლესიაში სამოქმედოდ მიღებული იყო მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებები, „ძეგლისწერიდანაც" კარგად ჩანს.[3] ამიტომ, დავას არ უნდა იწვევდეს საკითხი, რომ ზემოთმოყვანილი მიზეზი საქართველოშიც ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად ითვლებოდა: „ვინცა და რომელმან სჯულისა და კათალიკოზისა ურჩად უხვედრი ცოლი შეირთოს, სვინა[4] ანუ მეყუსი... კრულ, წყეულ და შერუცხნებულმცა არს სულითა და ჴორცითა, ამინ".[5]

XVI ს-ის ძეგლში „დაყენებულთა და უჯეროთა და განგდებულთა ქორწინება-მზახობათათჳს" მოცემულია მაგალითები სულიერ ნათესავთა, რომელთა შორისაც არ შეიძლება საქორწილო კავშირების დამყარება. ეს აკრძალვა ავტორს მოყავს მე-5 ხარისხამდე;[6] ხოლო ერეკლეს დროს თარგმნილ „ქორწინებისა თავთათჳს"-ში სულიერ ნათესავთა შორის დაქორწინება მე-8 თავამდე იკრძალება; რადგანაც „სულიერი მამა... უფროსღა ნათესავი არს ჴორციელისაგან მამისა მისისა".[7]

---

[1] Эклога, გვ. 5.

[2] გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, გვ. 62.

[3] ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ, გვ. 110-112.

[4] ბავშვის მომნათლავი – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ, თბ., 1993, გვ. 84.

[5] მცნებაჲ სასჯულოჲ, ქრონიკები და მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წ. 2, გვ. 295.

[6] დაყენებულთა და უჯეროთა და განგდებულთა ქორწინება-მზახობათათჳს, გვ. 147.

[7] ქორწინებისა თავთათჳს, გვ. 161.

***

ნათესაობის შემდეგი სახეობა იყო შვილად აყვანის საფუძველზე წარმოქმნილი ნათესაობა. საკმაოდ დიდ ხანს, ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გადაქცევის შემდეგაც შვილად აყვანის აქტი წარმართული წესების მიხედვით ხორციელდებოდა. ისე რომ, მას თან არ ახლდა ქრისტიანული ეკლესიის ლოცვა-კურთხევა. შემდგომში შვილად აყვანა საღვთო ლიტურგიითა, „ჰანგებით“ და „წმიდა წერილთა“ კითხვის მეშვეობით ხდებოდა და შვილად ამყვანი (მშვილებელი) შვილად აყვანილის ნამდვილ მშობლად ითვლებოდა, ხოლო თავის მხრივ, შვილებულიც — ნამდვილ შვილად.[1] და თუ შვილად ამყვანს ამის შემდეგ ნამდვილი (ხორციელი) შვილი გაუჩნდებოდა, მათ შორის ისეთივე ხასიათის ნათესაობა მყარდებოდა, როგორიც ერთი დედმამისშვილებს შორის — მათი შთამომავლობა მერვე ხარისხამდე ერთიმეორეს ვერ შეირთავდა.[2]

***

ახლა კი ვნახოთ, თუ რამდენად სრულდებოდა ეს აკრძალვები რეალურად.

წარმართულ ხანაში საქართველოში ხშირი ყოფილა ბიძაშვილთა და საერთოდ, ნათესავთა შორის დაქორწინება. ზოგჯერ ეს ძველი წარმართული ჩვეულება ქრისტიანობის ხანაშიც ჩანს. ცხადია, ქრისტიანულმა რელიგიამ და ეკლესიამ სავსებით ვერ მოსპო ქორწინების ზემოხსენებული წესი.

პეტრე იბერის ასურული ცხოვრების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეფის საგვარეულოს შიგნით მახლობელ ნათესავთა შორის ქორწინება აკრძალული არ ყოფილა. ტაციტუსის ცნობით, ფარსმან I, იბერიის მეფეს, ჰყოლია ძმა, სახელად მიჰრდატი (მითრიდატე), რომელსაც ცოლად თავისი ძმისწული, ფარსმანის ასული ესვა, ხოლო ფარსმანის ძეს რადამისტს კი — მითრიდატეს ასული (თავისი დის შვილი და ბიძაშვილი ერთდროულად).[3] (იხ. სქ. 1). კონსტანტინე პორფიროგენეტიც მოგვითხრობს, რომ ბაგრატიონებს

---

[1] Дигесты Юстиниана, ст. 23, т. II, 55.

[2] ქორწინებისა თავთათჳს, გვ. 160.

[3] ანალები, ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ, თბ., 1973, XII, 44-46.

თავიანთი თავი დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად მიაჩნდათ და დასძენს: ამიტომაც ივერიელი დიდებულები ადვილად ქორწინდებიან თავიანთ ნათესავ ქალებზე, ფიქრობენ რა, რომ ძველ ადათ-წესებს იცავენ.[1] მას აღნიშნული აქვს ახლო ნათესავთა შორის ასეთი ქორწინების ოთხი შემთხვევა.[2]

სქ. 1




კონსტანტინე პორფიროგენეტის მსგავს ცნობებს გვაწვდის ჯუანშერიც. მისი სიტყვებით ომში მიმავალი ვახტანგ გორგასალი ასეთი შინაარსის ანდერძს ტოვებს: „უკეთუ არღარა შემოვიქცე ცოცხალი, და ჩემი ხუარანძე შეირთოს მირიან, რომელი ეყვოდა ვახტანგს მამის ძმისწულად".[3] VIII ს-ში არჩილ მეფემაც თავისი ძმის მიჰრის ერთ-ერთი ქალიშვილი ცოლად მისცა „მამის ძმისწულსა მისსა".[4]

კ. კეკელიძემ და ექ. თაყაიშვილმა ყურადღება მიაქციეს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გენეალოგიას.[5] მათ სხვადასხვა წყაროების ცნობებზე დაყრდნობით ასეთი სქემა დახატეს: სუმბატ I დიდს ჰყავდა შვილები ბაგრატ მაგისტროსი და დავით I დიდი. ამ ბაგრატმა ცოლად შეირთო თავისი დედის ბიძაშვილი. შემდგომ, მისმა შვილმა ადარნასე კურაპალატმა მოიყვანა თავისი ბიძის, დავითის, ასული; გურგენმა — თავისი ძმის, აშოტ კისკასის, ასული. ბაგრატის ქალიშვილი გაყვა თავისი ბიძის ძეს — სუმბატ II. დავით I დიდის

[1] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 4, ნაკვ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952, გვ. 255-256.

[2] იქვე, გვ. 274-278.

[3] ჯუანშერი, ვახტანგ გორგასალის ცხოვრება, გვ. 151.

[4] იქვე, გვ. 241.

[5] კ. კეკელიძე, ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ. 164; ექ. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოც. 3, თბ., 1949, გვ. 28.

შვილებიდან სუმბატ II ირთავს თავისი ბიძის – ბაგრატ I-ის ასულს, ქალიშვილი კი თხოვდება ბიძაშვილზე – ადარნასე კურაპალატზე (იხ. სქ. 2).

როგორც ამ ფაქტებიდან ჩანს, ადრე შუა საუკუნეების საქართველოში ახლო ნათესავთა დაქორწინების ტრადიცია საკმაოდ ძლიერი ყოფილა. არადა, მართალია, პირველ ოთხ მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონებში ახლო ნათესავთა შეუღლების აკრძალვის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ VI მსოფლიო კრების (692 წ.) 54-ე კანონით ასეთი პრაქტიკა აიკრძალა. საინტერესოა, რატომ არ დაემორჩილა ქართული ეკლესია ამ წესს და VIII, IX, X საუკუნეებშიც განაგრძობდა ბიძაშვილებისათვის გვირგვინის კურთხევას.

სქ. 2




ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სცადა ვ. გოილაძემ. მან შეისწავლა მოვსეს კალანკატუაცთან დაცული ცნობა ქართლის კათალიკოსის თალალეს (VIII ს-ის შუა ხანები) მიერ ალბანელი ბიძაშვილების დაქორწინების შესახებ და გამოთქვა აზრი, რომ VI მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები ქართულად მხოლოდ X საუკუნეში ითარგმნა ექვთიმე მთაწმინდელის მიერ. მანამდე კი, როგორც ჩანს, საქართველოში ახლო ნათესავთა ჯვრისწერა ძველი ტრადიციით გრძელდებოდა. ამიტომ იყო, რომ X საუკუნისათვის კონსტანტინე პორფიროგენეტი კვლავ მიუთითებდა ქართველ დიდებულთა საგვარეულოებში სახლიკაცთა შორის ქორწინების წესის შესახებ.[1]

[1] ვ. გოილაძე, ერთი დაწყევლილი ჯვრისწერის ამბავი, „განთიადი", 1990, № 6.

განვითარებულ შუა საუკუნეებში ასეთი დარღვევები კვლავ გრძელდება, სისხლით ნათესავები კვლავ ქორწინდებიან, მაგრამ ეს ხდება, ძირითადად V, VI, VII ხარისხის ნათესავებს შორის. მაგალითად, თამარ მეფის მეორე ქმარი იყო დავით სოსლანი. იგი დედით ქართველ ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნოდა: გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) ძეს დიმიტრის ჰყავდა შვილი დავითი, რომლის ბებიაც ოსი იყო. დავითი გადასახლდა ოსეთში, შეირთო ცოლად ოსეთის მეფის ქალიშვილი და შემდგომში გამეფდა კიდეც. ამგვარად, მან საფუძველი ჩაუყარა ოსეთის ბაგრატიონთა დინასტიას. თავის მხრივ, ამ დავითს ჰყავდა შვილი დავითი, რომელმაც ცოლად შეირთო დავით აღმაშენებლის ქალიშვილი რუსუდანი. მათ გაუჩნდათ შვილი ათონ, ათონს — ჯადრონ, ჯადრონს — დავით სოსლანი, რომელიც საქართველოში იზრდებოდა თამარის მამიდის რუსუდანის სასახლეში, საშვილდეს, და შემდგომში თამარის მეუღლე გახდა.[1] (იხ. სქ. 3)

სქ. 3




როგორც სქემიდან ჩანს, თამარი და სოსლანი სწორედ მეშვიდე ხარისხის სისხლით ნათესავები იყვნენ: ძმა და და — რუსუდანი და დემეტრე I (მეორე ხარისხი), მათი შვილები — გიორგი III და ათონ (IV ხარისხი), მათი შვილები თამარ და ჯადრონ (VI ხარისხი), ჯადრონის შვილი სოსლანი (VII ხარისხი). მაგრამ, მიუხედავად

---

[1] კ. კეკელიძე, ერთი მომენტი პოლიტიკური აზროვნებისა კლასიკური ხანის ლიტერატურაში, I, გვ. 313.

ამისა, კათოლიკოსის უმაღლესი ლოცვა-კურთხევით კონიუქტურულ-პოლიტიკური მოსაზრებებით ეს ქორწინება მაინც შედგა.

ქართლის მეფე ლუარსაბ II (1606-1616 წწ.) და კახეთის მეფე თეიმურაზ I (1606-1632 წწ.) სისხლით VI ხარისხის ნათესავები იყვნენ. ამიტომ, როდესაც ახლად დაქვრივებულ თეიმურაზს შაჰ-აბასმა შესთავაზა ლუარსაბის დის — ხორეშანის ცოლად მოყვანა, ასეთი პასუხი მიიღო: „რამეთუ არს პაპაის ასულისა ჩემისა ძის ძე (იგულისხმება ლუარსაბი) და ესე არა ჯერ არს სჯულსა ჩუენსა ყოფად“.[1] მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყიზილბაშების მხრიდან ზეწოლის შედეგად ეს ქორწინება მაინც შედგა (იხ. სქ. 4).

სქ. 4




ამ წყვილთან დაკავშირებით არსებობს 1637 წლის დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ როდესაც საქართველოში ჩამოსული იყო იერუსალიმის პატრიარქი თეოფანე, მან მოინდომა თეიმურაზისა და ხორეშანის განქორწინება. მაგრამ მას შემდეგ, რაც მეფემ და დედოფალმა მისცეს ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს ბარძიმი და არამცირე ოქროს ფული, ნება დართო ეცხოვრათ წინანდებურად.[2]

ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ვახტანგ VI-ის ძმამ იესემ დედის ბიძას, ქაიხოსრო ამირეჯიბს, წაართვა ცოლი და თვითონ შეირთო. როდესაც კათოლიკოსმა დაგმო ასეთი საქციელისათვის, მან უპასუხა: „ვარ მაჰმადიან, ესრეთ ჯერ არს ჩემდა“.[3] ასევე მაჰმადიანობას იმიზეზებდა კონსტანტინე — ალექსანდრე II კახთბატონის (1574-1605 წწ.) ძე, რომელსაც უნდოდა თავისი ძმის,

---

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 584.

[2] Полиевктов М., Материалы по истории грузино-русских взаимоотношении, Тб., 1937, გვ. 416.

[3] ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 494.

დავითის, ცოლის — ქეთევანის — ცოლად მოყვანა: „ჯერ არს სჯულსა მაჰმადიანისასა შერთვა რძლისა“.[1]

მართალია, ამ ორმა ქართველმა მაჰმადიანობით იმართლა თავი, მაგრამ ნუსხის ერთ-ერთ გვიანი დროის მკითხველს უცდია ამ მიზეზების გაბათილება და აშიაზე ასეთი მინაწერი გაუკეთებია: „მიკვირს შენის გონიერებისაგან ამ ანბის მწერალო და უსამართლოდ მაყივნებელო ბიძისაო (იგულისხმება მეფე იესე). შენვე იტყვი ფრიად მიქცეულ იყო მაჰმადიან რჯულზედაო, და რომელს თათარს უნათესაებია ბებიის ძმისწული და დედის ბიძის ცოლი, და ოთხმოცდაათის წლის ამირეჯიბის ნაცოლარი თოთხმეტი წლისა ქალი, წარმკითხველთ განსაჯეთ“.[2] თუ ამ მინაწერის აღშფოთებული ტონის მიხედვით ვიმსჯელებთ, მისი ავტორი მაჰმადიანი უნდა იყოს და საოცრად შეურაცხყოფილი ყოფილა თავის თანამორწმუნეთათვის ასეთი ბრალდების (დედის ბიძის ცოლის და ბებიის ძმისწულის ცოლად მოყვანის) წამოყენებით.

ახლო ნათესავების ცოლად მოყვანის კიდევ მრავალი შემთხვევა არის დამოწმებული ვახუშტი ბატონიშვილთან. ქართველი დიდებულები და მეფეები ხშირად არღვევდნენ არსებულ კანონებს და „უშჯულო ქორწინებაში“ შედიოდნენ თავიანთ ნათესავებთან. აი რამდენიმე ასეთი მაგალითი: დავით აბაშიძეს (XVIII ს.) ცოლად მოყავს თავისი ბიძის ცოლი,[3] ლევან დადიანის ძეს გიორგისაც (XVI ს.) — ასევე ბიძის — ბათულიას ცოლი,[4] ბაგრატ IV იმერეთის მეფეს თავისი დედინაცვალი (რომელიც ქართული სამართლის მიხედვით იგივე დედაა) ატანს ცოლად თავის ძმისწულს[5] და სხვ.

ყველა ზემოთ აღნიშნული ფაქტი მოწმობს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ნათესავთა შორის ქორწინება, მართალია, აკრძალული იყო, მაგრამ სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, მას ადგილი მაინც ჰქონდა. ამის ახსნა შეიძლება როგორც ეკონომიკური, ასევე იდეოლოგიურ-პოლიტიკური ფაქტორებით.

ნათესაური ენდოგამიის ყველაზე გავრცელებული სახე იყო ბიძაშვილთა დაქორწინება. იგი განსაკუთრებით მყარი იყო მუს-

---

[1] იქვე, გვ. 583.

[2] ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 494, სქ. 1.

[3] ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 878.

[4] იქვე, გვ. 815.

[5] იქვე, გვ. 834.

ლიმურ[1] და კათოლიკურ[2] სამყაროებში. მართლმადიდებლურ ქართულ საზოგადოებაში კი მკვიდრ ბიძაშვილთა დაქორწინების ფაქტები უფრო ხშირად ადრე შუა საუკუნეებში გვხვდება. მოგვიანებით კი „უშჯულო" ქორწინებაში შედიოდნენ უმეტესად V, VI, VII ხარისხის სისხლით ნათესავები; თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში ბიძაშვილები X ს-ის შემდეგ კატეგორიულად აღარ ქორწინდებოდნენ.

ბიძაშვილთა დაქორწინებას მუსლიმურ და ქრისტიანულ სამყაროებში ერთი საფუძველი უნდა ჰქონოდა. ასეთი ქორწინება ხდებოდა მაშინ, როდესაც სანათესაოს წევრები ცდილობდნენ სამემკვიდრეო ქონების სანათესაოში შენარჩუნებას. ამ დროს ხომ ქალის მზითვიც და საქმროს მიერ საცოლისა და მისი მშობლებისათვის მისართმევი ურვადი და ნიშანიც „დიდ ოჯახში" რჩებოდა.

ზოგიერთი მეცნიერი ბიძაშვილთა ქორწინების გენეზისს პატრიარქალურ ეპოქას უკავშირებს. მათი აზრით, პატრონიმები გაჩნდა ნათესაური კოლექტივების, უფრო სწორედ, დიდი პატრიარქალური ოჯახების დაშლის შედეგად, რაც, თავის მხრივ, იყო ნატურალური მეურნეობის სასაქონლოზე და გვაროვნული საკუთრების კერძოზე გადასვლის შედეგი. ეს პროცესი ჟ. დიუბის აზრით დასავლეთ ევროპაში IX-X სს-ში მოხდა და სწორედ ეს პერიოდი უნდა იყოს ნათესაური კავშირების სტრუქტურაში გარდატეხის მომენტი. ჟ. დიუბი წერს: ადრე ადამიანი იყო მუდმივად ცვალებადი ნათესაური ურთიერთობების სისტემის წევრი. ეს გახლდათ ე. წ. ჰორიზონტალური გარემოცვა, სადაც საქორწინო კავშირებს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც აღმავალი ხაზით ნათესაობას. იმ საზოგადოებაში, სადაც პიროვნების წარმატებას განაპირობებდა მისი პატრონის კეთილი დამოკიდებულება, ამ უკანასკნელის მიერ ნაბოძები ბენეფიციები, რომელთა უკან წართმევა ნებისმიერ დროს შეეძლო, მნიშვნელოვანი იყო მფარველის „სახლში", „ოჯახში" შესვლა, ან შეძლებისდაგვარად მეფის კართან დაახლოება. ამ მიზანს აღწევდნენ უფრო „ახლობლების" წყალობით, ვიდრე სისხლით ნათესავების. მოგვიანებით, როდესაც ადამიანი ხდება არა უბრალოდ ბენეფიციის მიმღები, არამედ მამიდან შვილზე გადაცემული ძალაუფლების და

---

[1] Керимов Г., Шариат и его социальная сущность, М., 1978, გვ. 98, 121.

[2] Бессмертный Ю., Жизнь и смерть в средние века, очерки демографической истории франции, М., 1991, გვ. 32, 36.

მემკვიდრეობის მფლობელი, ჩნდება ვერტიკალური ხაზის ნათესაური კავშირების აუცილებლობა. ამ დროიდან მოყოლებული წინაპართა ხსოვნა სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს თითოეული პიროვნების აზროვნებაში. სწორედ სამემკვიდრეო ქონებაზე დამყარებული ავტონომიების გაჩენის დროიდან ჩნდება ინტერესი წარმომავლობის მიმართ და ოჯახური კავშირები ჯდება პირდაპირი ნათესაობის ვიწრო ჩარჩოებში.[1]

საქართველოშიც ანალოგიური მდგომარეობა უნდა ყოფილიყო. მხოლოდ, ეს პროცესი რამდენიმე საუკუნით ადრე, IV-V სს-ში უნდა დაწყებულიყო.[2] აქაც სამემკვიდრეო ქონების „დიდ ოჯახში" შენარჩუნების მიზნით შუა საუკუნეებში ადგილი ჰქონდა ბიძაშვილთა, თუ სხვა სახის ნათესავთა დაქორწინებას. არც ისაა გამორიცხული, რომ გარკვეული როლი მოგვიანებით სპარსულმა ტრადიციებმაც ითამაშეს.[3] და მართლაც, იქ სადაც ისლამი და შარიატი ბატონობდა, ენდოგამიას შესაბამისი საფუძველი ჰქონდა.[4] მართლმადიდებლურ სამყაროში კი ნათესავთა ქორწინება, მიუხედავად ხელშემწყობი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებისა, მაინც შედარებით შეზღუდული იყო.

---

[1] Дюби Ж., Структура семьи в средневековой западной европе, М., 1970 (მოხსენება წაკითხული ისტორიულ მეცნიერებათა XIII კონგრესზე მოსკოვში, 1970 წ., 16-23 აგვისტოს.)

[2] ა. ბოგვერაძე, ეკონომიკური და სოციალური ვითარება IV-V სს. აღმოსავლეთ საქართველოში, ადრეფეოდალურ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაბატონება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, საქართველო IV-X სს., რედ. შ. მესხია, თბ., 1973, გვ. 111-118.

[3] Мгеладзе Н., Система кровного родства в Аджарии, историко-этнографическое исследование, Батуми, 1988, გვ. 89-90.

[4] Керимов Г., დასახ. ნაშრ., გვ. 98-121.

## ბ) ასაკი

შუა საუკუნეების საქართველოში არსებობდა ქორწინების დამაბრკოლებელი კიდევ ერთი გარემოება: „უჰასაკობა", ანუ არასრულწლოვანება. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „სრულასაკოვნობა" სამგვარი იყო: 1) სქესობრივი, 2) პოლიტიკური და 3) სამხედრო. სამივე მათგანს სხვადასხვა წლოვანება შეესაბამებოდა.[1] ჩვენთვის საინტერესოა პირველი – სქესობრივი სრულწლოვანება, რომელთანაც დაკავშირებული იყო მექორწილეთა ასაკის ქვედა ზღვარის დადგენა.

იუსტინიანეს სამართლიდან მოყოლებული შუა საუკუნეების მანძილზე მთელ ევროპაში დაქორწინება შეიძლებოდა 12-14 წელს მიღწეული ქალ-ვაჟისა.[2] ხოლო რაც შეეხება დანიშვნას, ეს გაცილებით ადრეულ ასაკში შეიძლებოდა მომხდარიყო. საცოლედ და საქმროდ 7 წლის ასაკის ბავშვების გამოცხადებაც კი შეიძლებოდა.[3] გამონაკლისი არც საქართველო უნდა ყოფილიყო.

ადამიანის სრულწლოვანების დასადგენად ქართულ წერილობით წყაროებში არც ისე ბევრი მასალა მოგვეპოვება. ადრე შუა საუკუნეების აგიოგრაფიული ძეგლებიდან ამ მხრივ შეიძლება გამოვყოთ ცხრა ყრმა კოლაელთა მარტვილობა,[4] რომელშიც 9-10 წლამდე ადამიანები (კოლაელი ყრმები იყვნენ 7-9 წლის, „გინა უმცრო, გინა უფრო") ჩვეულებრივ ყოფაში ბავშვებად არიან აღქმული. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ადრე შუა საუკუნეებში ამ ასაკის ბავშვთა დაქორწინების შემთხვევებს მაინც ჰქონია ადგილი, ვინაიდან 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებაში წერია: „რათა ამიერიდან არღარა ეკურთხეოდინ გ~რგ~ნნი

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, თხზ., ტ. VII, 1984, გვ. 265-266.

[2] Дигесты Юстиниана, кн. 23, т. II, 4; Средневековая европа глазами современников и историков, ч. 2, европейский мир X-XV вв. М., 1994, გვ. 21; Бессмертный Ю. Л., Жизнь и смерть в средние века, очерки демографической истории франции, М., 1991, გვ. 32-39; Средневековая европа глазами современников и историков, ч. 5, Человек в меняющемся мире, М., 1994, გვ. 109; Филлипов И. С., Средиземноморская франция в раннее средневековье, М., 1991; Бенешевич В., Ответы Петра Хартофилакса, конца XI в., "Записки Академии Наук", т. VIII, 14, 1909.

[3] Patlagean E., Pauvrete sociale a Byzance 4e-7e siecles, P., 1977, გვ. 144.

[4] ცხრათა ყრმათა კოლაელთა მარტვილობა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. 1, გვ. 184,15.

ჩჩ~ლთა ქალ-ყრმათა, არამედ უკუეთუ საჭიროდ სადმე იყოს, მშობელთა მათთა დიად დაუწინდნენ იგი ურთიერთას, და რაჟამს ჰასაკად მოვიდნენ ორნივე, მაშინვე იქორწინენ.

და ქალი ათორმეტისა წლისა უმცროჲსა ნუმცა შეყოფილი არს ქორწინებით მეუღლისადა“.[1]

ამგვარად, თორმეტი წლის ქალი უკვე „ჰასაკად მოსულად“ (სქესობრივად მომწიფებულად) ითვლებოდა და ამიერიდან მისი გათხოვება კანონით დასაშვები იყო.

რაც შეეხება ვაჟებს, ამ ძეგლში მათი კონკრეტული დასაქორწინებელი ასაკი აღნიშნული არ არის. როგორც ჩანს, ეს პრობლემა ნაკლებად აქტუალური იყო. იმის გამო, რომ საქმრო საცოლეზე უფროსი უნდა ყოფილიყო, მამაკაცები, ალბათ, როგორც წესი, უკვე დასაშვებ ასაკში ქორწინდებოდნენ. ეს ასაკი იუსტინიანესათვის 14 წელი იყო,[2] ლეონ III ისავრიელისა და კონსტანტინე V-სათვის – 15-16.[3]

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის შემდეგ კარგა ხნის მანძილზე ქართული საკანონმდებლო ძეგლები არაფერს ამბობენ დასაქორწინებელი ასაკის შესახებ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოსახლეობა ძირითადად მისდევდა „უჰასაკობის“ გამო ქორწინების აკრძალვის კანონს. ამ საკითხზე ძეგლისწერის შემდეგ მხოლოდ 1748 წლის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებში გვხვდება ასეთი მუხლი: „ხოლო უკეთუ ენებოს ვისმე ქორწინება წიგნის მკითხველსა მგალობელსა და აღსვლა ხარისხსა მღდელობისასა, პირველ კერძო დიაკონად კურთხევისა მოიყვანოს ცოლად ქალწული, ვითარ ათორმეტისა წლისა, გინა ათსამეტისა და ქორწინებისა ზიარებითა აკურთხოს მღდელმან შეერთხორცვა მათი“.[4]

XVIII ს-ის დასასრულით თარიღდება სრულიად სამეგრელოს სამთავროს მიტროპოლიტის ბესარიონ ჭყონდიდელის ეპისტოლე, სადაც ზოგადად აღნიშნულია მექორწინეთათვის სრულწლოვანების ასაკში ყოფნის აუცილებლობა: „...უკეთუ იყოს მამაკაცი ასაკოვანი და დედაკაცი უასაკო, არა იქმნების მათი შეუღლვლა, რომელსაცა აყენებს კანონი ეკლესიისა, და ეგრეთვე იყოს დედაკაცი ასაკოვანი

---

[1] ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ, მუხ. 67.

[2] Дигесты Юстиниана, кн. 23, т. II, 4.

[3] Сукиасян А. Г., Общественно-политический строй и право Армении в эпоху раннего феодализма, Ереван, 1963, გვ. 465.

[4] კანონი 1748 წლის საეკლესიო კრებისა, მუხ. 22.

და მამაკაცი უასაკო, არცა მათი შეუღვლა შვენის, ვინაიდგან არს ესეცა მცნებისაგან წ~ისა ეკლესიისა გარეშე..."[1]

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნეშიც რუის-ურბნისის კრების მიერ მიღებული კანონი მოქმედებდა. საინტერესოა, ტარდებოდა თუ არა ეს კანონი პრაქტიკაში. ანუ, შუა საუკუნეების ქართულ ისტორიულ ძეგლებში თუ არის 12 წლამდე ქალის გათხოვების ფაქტები.

ამის შესახებ ქართული საისტორიო ძეგლები საკმაოდ მწირ ცნობებს გვაწვდიან. ქართველი მემატიანეები, რომლებიც აღწერენ ამა თუ იმ პიროვნების დაქორწინების ამბებს, ძირითადად, არ აკონკრეტებენ მათ ასაკს. მექორწინეთა ასაკის დასახელების რამდენიმე იშვიათი შემთხვევა გვაქვს ვახუშტი ბატონიშვილთან: ალექსანდრე IV იმერთა მეფემ „შეირთო გიორგი აბაშიძის ასული თამარი ი~(10) წლისა";[2] აგრეთვე, ლევან დადიანის ძე მანუჩარი დააქორწინეს არჩილ მეფის (1661-1699, ვახტანგ V-ის ძე) ასულ დარეჯანზე „გარნა ყრმა და ქალი იყვნენ წლისა ზ~".[3]

უფრო გვიანდელი ცნობაა პლატონ იოსელიანის მიერ მოთხრობილი გიორგი XIII-ის ქორწინების ისტორია: 1767 წ. გიორგი დაქორწინდა 13 წლის ქეთევანზე — ქიზიყის მოურავის პაპუნა ანდრონიკაშვილის ქალზე,[4] ხოლო 1782 წელს, მისი სიკვდილის შემდეგ „შეირთო ცოლად ციციშვილის გიორგის ქალი 14 წლისა მარიამ, მშვენიერებითა ქალთა შორის ბრწყინვალე. მეფისა ირაკლის კურთხევითა დასწერეს ჯვარი... უდაბნოჲსა თფილისში".[5]

როგორც ჩანს, საქართველოში მთელი შუა საუკუნეების მანძილზე 13-14 წლის ქალის ცოლად მოყვანა კანონით დაშვებული იყო. უფრო ადრეულ ასაკში კი მხოლოდ დანიშვნა შეიძლებოდა,[6]

---

[1] ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. III, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, ტფ., 1913-14, გვ. 104.

[2] ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 856.

[3] იქვე, გვ. 841,21.

[4] ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, გვ. 9.

[5] იქვე, გვ. 12.

[6] Dig 23, 14; Proch., 168; Bas., 28, 1, 12; Ecl76 1,1. „ძეგლისწერაში" მუხ. 7; პლ. იოსელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 7; შდრ: დავით ბატონიშვილმა თავის სამართალში სცადა ამ ტრადიციის აღმოფხვრა: „ნურავინ მშობელთაგანი იკადრებს უასაკოთა ძეთა თვისთა ნიშნობად, რომელიცა, ესევითარი საქმე, ნაძღვილისა უგუნურებისა დამნიშვნელ არს და სირცხვილსაცა ქვეშე შემყვან მშობელთა. (სამართალი ბატონიშვილის დავითისა, მუხ. 233).

ვინაიდან „ქალისა ქალწულისა უწინარეს ჰასაკად მოსვლისა განხრწნაჲ... უმძიმესი ცოდვაჲ არს“.[1]

### გ) რელიგია

დაქორწინებისათვის კიდევ ერთი პირობა იყო საცოლესა და საქმროს ერთმორწმუნეობა. წმინდა წერილის მიხედვით დაშვებული იყო ქორწინება ორ ადამიანს შორის, თუ ერთ-ერთი მათგანი არაქრისტიანი იყო: „თუ რომელიმე ძმასა ჰყავს ურწმუნო ცოლი, და ქალი თანახმაა იცხოვროს მასთან, არ უნდა მიატოვოს იგი. და ცოლიც, რომელსაც ჰყავს ურწმუნო ქმარი, და კაცი თანახმაა იცხოვროს მასთან, ნუ მიატოვებს მას. ვინაიდან ურწმუნო ქმარი მორწმუნე ცოლისაგან განიწმინდება, და ურწმუნო ცოლი — მორწმუნე ქმრისაგან“.[2] მიუხედავად ამისა, მსოფლიო საეკლესიო კრებებითა[3] და ბიზანტიური სამართლითაც[4] იკრძალებოდა ქრისტიანის დაქორწინება არაქრისტიანზე.

სამწუხაროდ, ადრე შუა საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლები ჩვენამდე შემორჩენილი არ არის. ამიტომ, თუ რა აზრის იყო ამ საკითხზე ქართული კანონმდებლობა, მხოლოდ ცალკეული პიროვნებების დაოჯახების ფაქტების ანალიზით უნდა დავასკვნათ. გარდა ამისა, აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ ბიზანტიური სამართლის დებულებებიც, რადგანაც ქართული კანონმდებლობა ყოველთვის ამოსავალ წერტილად ბიზანტიურს იღებდა.

ადრე შუა საუკუნეებში წყაროების მონაცემებით არაქართველებზე დაოჯახების ფაქტებიდან ყველაზე მეტად სჭარბობს სპარსელებთან შეუღლების შემთხვევები. მაგალითად, ქართლის ცხოვრების მიხედვით მეფე არჩილი (ვახტანგ გორგასლის ბაბუა) თავისი შვილი მირდატისათვის (ვახტანგ გორგასლის მამა) ცოლად თხოულობს

---

[1] მცირე სჯულის კანონი, გვ. 94.

[2] I კორ. 7, 12-14.

[3] Правила VI вселенского собора, გვ. 43.

[4] VI საუკუნის ბიზანტიური კანონმდებლობით იკრძალებოდა ქორწინება ქრისტიანებსა და იუდეველებს შორის (Cod. Jus. 1, 9, 6). ასევე ეკლოგაც განიხილავდა მხოლოდ ქრისტიანთა შორის შეუღლების წესებს. მის II ტიტლოსს ასევე ეწოდება: ქრისტიანთა დაქორწინების შესახებ.

რანის ერისთავის ბარზაბოდის ქალიშვილ საგდუხტს.[1] ვახტანგ გორგასლის პირველი ცოლიც არაქრისტიანი — „სპარსთა მეფის ასული“ ბალენდუხტი იყო.[2] ვარსქენ პიტიახში მეორე ცოლად აპირებდა სპარსეთის მეფის პეროზის ასულის მოყვანას;[3] უბრალო მოსახლეობაშიც ხდებოდა მსგავსი ფაქტები — ევსტათე მცხეთელმა სპარსეთიდან მცხეთაში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ ცოლად მოიყვანა ქართველი ქალი, მოინათლა ქრისტიანულ რჯულზე და შეეწირა კიდეც მას.[4]

ჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩანს, რომ მირდატისა და ევსტათეს საცოლეები ქორწილის დროს მათგან განსხვავებული რელიგიის მიმდევრები იყვნენ. მხოლოდ ქორწილის შემდეგ მოხდა საგდუხტისა და ევსტათეს მოქცევა ქრისტიანულ რჯულზე. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევებში საცოლისა და საქმროს ერთმორწმუნეობის პირობა დაცული არ ყოფილა. რაც შეეხება ვარსქენ პიტიახშის შემთხვევას, ის წინასწარ მოემზადა და მიიღო მაზდეანობა მანამ, სანამ ქალიშვილის ხელს სთხოვდა პეროზს. მისი გამაზდეანება მხოლოდ მეორე ცოლის მოყვანის სურვილიდან გამომდინარე არ უნდა ყოფილიყო. პირიქით, სჯულის შეცვლასაც და მეორე ცოლის მოყვანის მცდელობასაც ვარსქენის პოლიტიკური მიზნები განაპირობებდა.

ჩვენთვის ძალიან საინტერესოა ვახტანგ გორგასლის პირადი ცხოვრება: მისი პირველი ცოლი იყო „სპარსთა მეფის ასული“ ბალენდუხტი, რომლის სიკვდილის შემდეგაც მოიყვანა „ბერძენთა მეფის“ ლეონ მაკელის ასული ელენე.[5] როგორც ვხედავთ, ვახტანგის ორივე ცოლი განსხვავებული რჯულის მიმდევრები იყვნენ. ეს ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ სამეფოს პოლიტიკური მიზნები პრიორიტეტული იყო თვით ქრისტიანულ დოგმებთან შედარებითაც კი. თუ ვახტანგი ბალენდუხტის ცოლად მოყვანისას არ იყო მაზდეანი, როგორც ამას მ. ლორთქიფანიძე უშვებს,[6] მაშინ ვახ-

---

[1] ჯუანშერი, გვ. 141, 142.

[2] იქვე, გვ. 158, 199.

[3] იაკობ ცურტაველი, წამებაჲ შუშანიკ დედოფლისაჲ.

[4] მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. 1.

[5] ჯუანშერი, გვ. 146, სქ. 2, გვ. 203, სქ. 1, გვ. 178.

[6] მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 57.

ტანგ გორგასლის ქორწილი ქრისტიანული კანონმდებლობის დარღვევით მომხდარა. მეორე მხრივ, შეიძლება ბალენდუხტმა შეიცვალა რჯული, მაგრამ ამის შესახებ წყაროები სდუმან.

ადრე შუა საუკუნეებში ქრისტიანული დოგმების დარღვევით ცოლის მოყვანის სხვა შემთხვევების ჩამოთვლაც შეიძლება და ყველა ეს შემთხვევა მეტყველებს, რომ თუ ამ პერიოდში არსებობდა კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, მსგავსად ბიზანტიურისა, აკრძალული იყო ქრისტიანის დაქორწინება არაქრისტიანზე, ეს აკრძალვა რეალობაში საკმაოდ ხშირად ირღვეოდა. ყოველ შემთხვევაში მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებთან მაინც. ისინი მეუღლის კანდიდატურის შერჩევისას, თუ ეს ალიანსი პოლიტიკური მოსაზრებებით გამართლებული იყო, საეკლესიო აკრძალვებს ნაკლებად ემორჩილებოდნენ.

ზემოთ განხილული მაგალითების ფონზე არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ საპირისპირო ხასიათის შემთხვევებს, როდესაც მეუღლეთა ერთმორწმუნეობის დაცვა იმდენად მნიშვნელოვანი იყო ადამიანისათვის, რომ იგი ეწირებოდა კიდეც ამ პრინციპს. მოვიყვანთ ორ მაგალითს. პირველ რიგში იაკობ ხუცესის მიერ აღწერილ შუშანიკის წამების ამბავს. ამ ტრაგედიის ძირითად მიზეზად ავტორი ვარსქენის გამაზდეანებას მიიჩნევს. შუშანიკი ვერ პატიობს ქმარს ქრისტიანული რელიგიის ღალატს, მიდის ოჯახიდან და იდეოლოგიის შეცვლას მოწამეობრივ სიკვდილს ამჯობინებს. თუმცა მის საქციელში არ შეიძლება უგულებელვყოთ ალბათ არანაკლებად მნიშვნელოვანი მომენტიც — შუშანიკის ქალური ღირსების შელახვა — რჯულშეცვლილი ვარსქენი ხომ მეორე ცოლის მოყვანასაც გეგმავდა. თუ შუშანიკის ქმრისაგან განდგომას ამ კუთხითაც მივუდგებით, თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ეს ფაქტი საქართველოში ქალის მხრივ ოჯახში თავისი უფლების დაცვის ერთ-ერთ პირველ შემთხვევად.

დაახლოებით ანალოგიური სულისკვეთებისაა არჩილ მეფის ქალიშვილის შუშანის საქციელიც, რომლის სილამაზითაც მეტად მოხიბლულა ხაზართა ხაკანი. მან შუშანის ძმას, ჯუანშერს, დის ხელი სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ამის შემდეგ გამოაგზავნა სპასალარი, რომელმაც დაატყვევა ჯუანშერიც და შუშანიც და ხაკანთან წაიყვანა. გზაში ქალმა სიტყვებით: „უმჯობეს არს ჩემთჳს

სიკუდილი, რათა ღირს მყოს მე უფალმან წმიდათა დედათა თანა, ვიდრეღარა შევიგინო წარმართთა მიერ"[1] თავი მოიწამლა.

ამ საკითხის გარშემო ბევრად უფრო საინტერესო და მრავალფეროვან მასალას გვაწვდის განვითარებული შუა საუკუნეების წყაროები. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, სადაც მკაცრად განისაზღვრა: „არცა მართლმადიდებელი მამაკაცი მწვალებელსა, გინა წარმართსა დედაკაცსა, ანუ დედაკაცი მამაკაცსა შეეუღლნენ".[2] როგორც ჩანს, მიუხედავად ტრულის საეკლესიო კრების დადგენილებისა, სამღვდელოებას არაერთმორწმუნეთა შეუღლება არაერთგზის გვირგვინის კურთხევით დაულოცია (ნაწილი ამ შემთხვევებისა ზემოთ უკვე მოვიყვანეთ.) ამიტომ რუის-ურბნისის კრებას საჭიროდ მიუჩნევია ამგვარი ქორწინება ხელმეორედ აეკრძალა.

წყაროები მეტყველებენ, რომ არც ამ აკრძალვამ გამოიღო ნაყოფი და მსგავსი ქორწინების არაერთ მაგალითს გვაწვდიან. სამწუხაროდ, ეს მაგალითები ისევ და ისევ არისტოკრატთა ცხოვრებიდან არის ამოღებული და მთელი საზოგადოების განწყობილებას ვერ გამოხატავს. მაგალითად, მეფე რუსუდანს ქმრად მოუყვანეს რუმის სულთნის, არზრუმის მფლობელის თოღრილ-შაჰის ძე მოღის ედინი.[3] მან უყოყმანოდ შეასრულა საქართველოს მთავრობის მიერ დადებული პირობა, მაჰმადიანობა უარჰყო და ქრისტიანულ რჯულზე მოინათლა. რუსუდანის ქალიშვილი თამარიც რუმის სასულთნოში გათხოვდა სულთან ყიას ედ-დინ ქეი ხუსრევ II-ზე (1236-1246 წწ.);[4] თამარ მეფის მამიდა რუსუდანი (გიორგი III-ის და), რომლის კარზეც აღიზარდა შემდგომ თამარის მეუღლე დავით სოსლანი, ხორასნის სულთნის ცოლყოფილი იყო.[5]

მოგვიანებით, საქართველოში მონღოლების ბატონობის პერიოდშიც, ქართველი მეფეები ხშირად უკავშირებდნენ თავიანთ ბედს მონღოლ ქალებს. მაგალითად, ასე მოიქცნენ დავით ულუ,[6] დემეტრე

---

1 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 249-250.
2 ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებისაჲ, მუხ. 13, გვ. 120.
3 ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 172.
4 იქვე, გვ. 172.
5 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 15.
6 ჟამთააღმწერელი, გვ. 229, 230, 251.

II თავდადებული,[1] ვახტანგ II,[2] დავით VIII;[3] ქართველი ქალიშვილებიც თხოვდებოდნენ უცხოეთში. მაგალითად, ნასავის მიხედვით, ჯალალ ად დინს ხლათის აღების შემდეგ ტყვედ ჩაუვარდა ალმალიკ ალ-აშრაფის ცოლი ტამტა (თამთა). ეს დედოფალი ერთხანს ცოლად ესვა ჯალალ ად დინს. მონღოლების მიერ უკანასკნელის განადგურების შემდეგ, თამთა გამარჯვებულებს ჩაუვარდა ხელში. ის დიდხანს იყო მონღოლეთში და იქიდან საქართველოში დააბრუნეს რუსუდანის თხოვნით. ივ. ჯავახიშვილის აზრით თამთა უნდა ყოფილიყო ივანე ათაბაგის ასული.[4]

ამ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მაგალითებიდან მხოლოდ რუსუდან მეფის მეუღლის და ჯიგდა-ხათუნის შესახებ ვიცით, რომ გაქრისტიანდნენ. დანარჩენ შემთხვევაში მემატიანე არ გვაწვდის ცნობას, თუ როგორ გადაიჭრა ცოლ-ქმრის ერთმორწმუნეობის აუცილებლობის პრინციპი. ყველა ამ შემთხვევაში დაქორწინებამდე საცოლე საქმროსაგან განსხვავებულ რჯულს აღიარებდა. მოხდა თუ არა ქორწილის წინ მათი მოქცევა, ამის შესახებ წყარო სდუმს. ალბათ, უნდა ვიფიქროთ, რომ მაინც მოხდა და ცოლის მიერ ქმრის სარწმუნოების აღიარების აუცილებლობა დაცული იქნა.

მონღოლთა ბატონობამ, რელიგიებისა და იდეოლოგიების აღრევამ ის გამოიწვია, რომ დემეტრე II თავდადებულმა სამი ცოლი მოიყვანა:[5] ტრაპიზონის კეისრის, სოლღარ თათრის და ბექა ჯაყელის ასულები. ასევე ერთდროულად სამი ცოლი ჰყავდა სადუნ მანკაბერდელსაც.[6] ასეთმა საქციელმა, რომელიც ყოველგვარ ქრისტიანულ დოგმებსა და მორალს აშკარად ეწინააღმდეგებოდა, დიდი აღშფოთება გამოიწვია საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსის მხრიდან, მაგრამ იგი ვერაფერს გახდა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში მონღოლთა პოლიტიკური გავლენის შედეგად ქრისტიანული ტრადიციები საკმაოდ შელახული იყო.

საინტერესო იქნებოდა, გვქონოდა ანალოგიური ცნობები ქვეყნის უბრალო მოსახლეობის შესახებ; მაშინ უფრო თვალნათლივ დაიხა-

---

1 ჟამთააღმწერელი, გვ. 286.
2 იქვე, გვ. 297.
3 იქვე, გვ. 297.
4 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თხზ., ტ. 2, თბ., 1983, გვ. 281.
5 ჟამთააღმწერელი, გვ. 282.
6 იქვე, გვ. 276.

ტებოდა სურათი, თუ როგორ ხდებოდა ქართული საზოგადოების მიერ დასაქორწინებლად აუცილებელი ქრისტიანული პრინციპების დაცვა.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ განვითარებული შუა საუკუნეების მანძილზე ეს პრობლემა კვლავ პრობლემად რჩებოდა, რადგანაც პერიოდულად საეკლესიო თუ საერო ხელისუფლება გამოსცემდა ახალ-ახალ კანონებს, რომლითაც კვლავ და კვლავ იკრძალებოდა არამართლმადიდებლებთან დაქორწინება.

ძეგლისწერის შემდეგ XV საუკუნეში ცხრაზმის საკრებულომ ისევ განიხილა ეს საკითხი: „უკუეთუ ქართველმან სომეხს ქალი მისცეს ცოლად და ანუ მოიყვანოს, მონათლოს ანუ გააშვებინოს, საკანონო გ. ძროხა მიართვას“.[1] აქ აკრძალვის მიზეზი, ალბათ, სომხების მონოფიზიტობა იყო და თუნდაც რომ მართლმადიდებელ ქართველს მწვალებელი სომეხი მოენათლა, მაინც ჯარიმა ჰქონდა გადასახდელი — 3 ძროხა.

XV საუკუნის შემდეგ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. მის მეზობლად ორი უძლიერესი და აგრესიული სახელმწიფო ჩამოყალიბდა. სამხრეთ-დასავლეთით ოსმალეთის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთით — ჯერ თეთრბატკნიან (აღ-ყოინლუს) თურქმან მომთაბარეთა ძლიერი გაერთიანება, ხოლო შემდეგ, მის ნანგრევებზე, სეფიანთა ყიზილბაშური სახელმწიფო.

XVI-XIX საუკუნეებში დაშლილი საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი ამ ორი უზარმაზარი ძალის მოგერიება და მათ შორის ლავირება იყო. ამისათვის ხან ერთ-ერთ იმპერიას დაუკავშირდებოდნენ მეორეს წინააღმდეგ და ხან ორივესგან შველას რუსეთსა და კათოლიკურ ევროპაში ეძებდნენ.

საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე იცვლებოდა ქართველი მეფეებისა და მთელი საზოგადოების რელიგიურ-კულტურული ფონიც. ზოგიერთი მეფე თუ მთავარი მტრის დასანახად და დასამშვიდებლად იძულებული იყო მუსლიმანობა მიეღო, ზოგმა კი შეგნებულად შეიცვალა რჯული. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა მთელ

---

[1] სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნი ცხრაზმისხევის კრებულისა და მამასახლისებისა გრიგოლ სამთავნელისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, მუხ. 20.

მოსახლეობაშიც. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ქართულ საზოგადოებაში ქრისტიანული რელიგიის დოგმების დაცვის მნიშვნელობა სულ უფრო სუსტდებოდა. ეს მდგომარეობა ნათლად აისახა იმ პერიოდის ქართულ კულტურაშიც.

ბუნებრივია, რომ ქართული მოსახლეობის ნაწილმა თავისი პირადი ცხოვრება იძულებით თუ ნებაყოფლობით არაქრისტიანული რჯულის წარმომადგენლებს დაუკავშირა. ამ შემთხვევაშიც მათ არჩევანს ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნები განაპირობებდა. ზოგჯერ კი ეს იყო ერთადერთი გამოსავალი მრისხანე ტირანის გულისწყრომის ასაცილებლად, ან თუნდაც შესარბილებლად. ასეთ სიტუაციაში მეტად იჩაგრებოდნენ არისტოკრატი ქალები, რომლებიც იძულებული იყვნენ გათხოვილიყვნენ ირანსა თუ ოსმალეთში და ჰარამხანებში ეცხოვრათ. უამრავი ასეთი ქალის სახელი შემოგვინახა ისტორიამ. ზოგიერთი მათგანი კარგად მოერგო ახალ მდგომარეობას და მეუღლის კარზე საკმაოდ დიდი გავლენაც კი მოიპოვა.

ირანის შაჰებიდან აღსანიშნავია შაჰ თამაზ I (1524-1576 წწ.) და შაჰ აბას I (1587-1629 წწ.), რომელთაგან თითოეულს ოთხი ქართველი ცოლი ჰყავდა. შაჰ-თამაზს მათგან ეყოლა 4 ვაჟი და ერთი ქალიშვილი: ჰეიდარ მირზა სულთან ზადე ხანუმისგან, მუსტაფა-მირზა და ალიმირზა ზაჰრა ბაჯისგან და იმამყული-მირზა ხანფარვან ხანუმისგან. მისი ქალიშვილის ზეინაბ ბეგუმის დედაც ქართველი იყო.[1] ვახუშტის ცნობით ოთარ შალიკაშვილის ასულისგან მას ჰყავდა მუჰამედ მირზა (ხუდაბანდე).[2] მაგრამ ეს არ დასტურდება სპარსული წყაროებით.[3] შეიძლება შალიკაშვილისაგან მას ზემოთნახსენები ქალიშვილი ზეინაბ ბეგუმი შეეძინა.[4]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შაჰ-აბას I-საც ოთხი ქართველი ცოლი ჰყავდა: ანდუყაფარ ამილახვარის და თამარი, ქართლის მეფის

---

[1] კ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ, „კავკასია-ახლო აღმოსავლური კრებული", თბ., 1962, ტ. II, გვ. 174, 175; Шараф-хан Бидлиси, Шараф-наме, М., 1976, ტ. 2, გვ. 229-232; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), თბ., 1990, გვ. 242-250.

[2] ვახუშტი, გვ. 715; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ტ. 2, გვ. 364.

[3] კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 175; დ. კაციტაძე, ქართულ-ირანული ურთიერთობანი, „ცისკარი", 1978, გვ. 137, 139.

[4] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 243.

სიმონ II-ის და ფაჰრიჯან ბეგუმი, თეიმურაზ I-ის და ელენე და ლუარსაბ II-ის და ლელა.[1]

შაჰ-აბასის უფროს ძმას ჰამზა-მირზასაც ორი ცოლი ქართველი ჰყავდა. ისქანდერ მუნშის ცნობით შაჰ-ხოდაბანდემ მოსთხოვა სიმონ ქართლის მეფესა და ალექსანდრე კახეთის მეფეს თავიანთი ქალიშვილები გაეგზავნათ ჰამზა-მირზასათვის. ქართველი მეფეები იძულებული გახდნენ დაეკმაყოფილებინათ შაჰის ეს მოთხოვნა.[2]

უცხოეთში გათხოვილი ქართველი ქალების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამიტომ აქ გვინდა მხოლოდ ის რამდენიმე შემთხვევა გამოვყოთ, რომელიც ნათლად დაგვანახებს, თუ რა შორს უხდებოდათ მათ სამშობლოდან გადახვეწა. ეს მაგალითები წყაროების ხელმიუწვდომლობის გამო ამოვიღეთ მიხ. სვანიძისა და დ. ჯანელიძის ნაშრომებიდან: XIX ს-ის დამდეგს ორტომიანი ვრცელი წიგნი გამოიცა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე XVIII ს-ის მიწურულში ტრიპოლიტანიაში გათხოვილი ულამაზესი ქართველი ქალის ლეილა ამნანის შესახებ. XVII ს-ის II ნახ-ში ინდოეთის ე. წ. მოგოლი იმპერატორების კარზე ცხოვრობდა ფრანგი აბატი ფრანსუა ბერნიე (1625-1688 წწ.). იგი ამტკიცებს, რომ ინდოეთის პრინცები იზრდებოდნენ ჩერქეზეთიდან, სამეგრელოდან, თურქესტანიდან და ეთიოპიიდან ჩამოყვანილი ქალებისა და საჭურისების წრეში.

ინდოელი მწერალი ბონკინჩონდრო ჩოტოპადხაი (1838-1894 წწ.) თავის რომანში „რაჯ-სინგხ" აღწერს იმპერატორ აურანგზების (1658-1707 წწ.) ცოლის უდიპურის ბიოგრაფიას. იგი, სამეგრელოდან ჯერ კიდევ პატარაობაში წამოყვანილი, უყიდია აურანგზების უფროს ძმას დარას. როდესაც ბავშვი გაიზარდა, დარას შეუყვარდა ის, გაქრისტიანდა და ცოლადაც მოიყვანა. აურანგზებმა ძმას მამა-პაპისეული რელიგიის ღალატში დასდო ბრალი და ამ მოტივით მოკლა. შემდეგ თვითონ გახდა იმპერატორი და უდიპურიც ცოლად მოიყვანა.

1716 წ. ფრანგმა მოგზაურმა ჟან დე ლა როკიმ გამოაქვეყნა ვრცელი წიგნი, სადაც ასახულია ფრანგთა მოგზაურობა იემენში

---

[1] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 250-261; კ. კეკელიძე, ქართველი ქალები შაჰ-აბასის კარზე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, 1957.

[2] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი, ქართული თარგმანით და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 33-36.

1708-1713 წწ. მათ იემენში მეფის სასახლის კარზე უნახავთ ქართველი დედოფლები. დე ლა როკი წერს: „იემენის მეფის ძალმოსილებისა და ბრწყინვალების ერთ-ერთი ნიშანია მრავალი მანდილოსნის ყოფნა მისი სასახლის კარზე... იემენის მეფის საკუთრებაში არის 600-700-მდე ქალი... ჩვენ გვარწმუნებენ, რომ მათი უმრავლესობა ქართველია. საქართველოს ქალები დიდი სილამაზით გამოირჩევიან..."

ევროპელი მისიონერები გვაუწყებენ: სამხრეთ არაბეთის ცნობილმა გამგებელმა მირ მოჰუნამ, რომელსაც სახელი გაუთქვა ჰოლანდიელი კოლონიზატორების წინააღმდეგ გადახდილმა მამაცურმა ბრძოლებმა, ქართველი ქალის სიყვარულის გულისათვის მამას მოუსწრაფა სიცოცხლე; პალესტინის ფაშას ჯეზარსაც (XVIII ს.) მრავალი ქართველი ლამაზმანი ჰყოლია თავის ჰარამხანაში.

ამ და ბევრი სხვა მაგალითით შეგვიძლია შევიქმნათ წარმოდგენა, თუ რა რთული მდგომარეობა იყო გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში საცოლისა და საქმროს მიერ მართლმადიდებლური რწმენის აღიარების აუცილებლობის დაცვის საქმეში. და რაც უფრო რთულდებოდა ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, მით უფრო მძიმდებოდა ეს პრობლემაც. ამიტომ, სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ XVIII საუკუნეში ქართველ კანონმდებლებს განგაში აეტეხათ ამ მიმართულებით. ვახტანგ VI-მ, „სრულიად არაგვის საერისთაოს მპყრობელმან" ვახტანგ ერეკლეს ძემ და ანტონ კათოლიკოსმა თავიანთ სამართლის ძეგლებში კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი ქართველთა დაქორწინების დროს ერთმორწმუნეობის პრინციპის დაცვის აუცილებლობას.

ანტონ კათოლიკოსი 1748 წლის საეკლესიო კრების კანონების შესავალში აღნიშნავდა, რომ „ვინადგან პირველ ამათსა წარმართნი მეფენი ფლობდეს ქართველთა, რანთა, კახთა და ყოვლობითად ერსა ღმრთისასა და ქრისტეს ცხოვართა არა ავლენდეს წრფელად მწვანვილოვანსა, არამედ აძოვებდეს ეკალთა და კუროსთავთა ზედა; და მათ მიზეზთა მიერ ნათლად სჯა და სჯულს-ხედვა მიფარულ იყო და უმეცრებითა წერილისათა განრყუნილ იყო და დაკნინებულ კანუნი და წესი ეკლესიისაჲ"[1]. ყოველივე ამის გამო მან თავის სამწყსოს დაუდგინა, რომ „ამიერიდგან არღარა ექორწინოს მართლმადიდებელი კაცი მწვალებელსა, გინა სხვა სარწმუნოებიანსა დედაკაცსა,

---

[1] კანონნი 1748 წლის საეკლესიო კრებისა, გვ. 798.

გინა მართლმადიდებელი დედაკაცი მწვალებელს მამაკაცს, რამეთუ არა ჯერ-არს ერთისა ბაკსა შინა სლვა ცხვრისა და მგლისაჲ".[1]

ცოტა უფრო ადრე ვახტანგ VI-მაც თავისი სამართლის კრებულით აკრძალა ქორწინება მართლმადიდებელ ქრისტიანებსა და არაქრისტიანებს შორის.[2] ასეთი ქორწინება გაუქმებული უნდა ყოფილიყო. გაქრისტიანებული მწვალებლის ცოლად მოყვანა კი დაშვებული იყო. სამართალი მართლმადიდებელისა და მწვალებლის შეუღლების უფლებას იძლეოდა, თუ მათი შვილები მართლმადიდებლ:ურ რჯულს მიიღებდნენ,[3] მაგრამ კატეგორიულად იკრძალებოდა ებრაელებთან და მაჰმადიანებთან დაქორწინება.[4]

1782 წ. ვახტანგ ბატონიშვილმა გადაწერა თავისი ძმის ლევან ერეკლეს ძის „განჩინება" და ახალი მუხლებიც დაუმატა. მან ქრისტიან კაცს (იგულისხმებოდა მთიული) აუკრძალა ოსისთვის ქალის მიცემა; ხოლო ვინც ასეთ საქციელს ჩაიდენდა, იმას „ჩვენ მუხანათსავით მოვიკითხავთ და დიდათაც გარდავაქდევინებთ"-ო, წერდა კანონმდებელი. იქვე ნათქვამი იყო: „და თუ ოსმა ქალი მოგცესთ, ის კი ითხოვეთ; მაგრამ უნდა კი მონათლოთ, მოუნათლაობა არ იქნება".[5]

საინტერესოა, რით შეიძლება აიხსნას ქრისტიანი კაცისა და ქალის ასეთი განსხვავებული მდგომარეობა: მამაკაცს შეუძლია ოსი ქალის მოყვანა ამ უკანასკნელის მონათვლის (გაქრისტიანების) პირობით, ქალს კი ყოველგვარი პირობის გარეშე, კატეგორიულად ეკრძალებოდა ოსზე გათხოვება. ამის ერთადერთი ახსნა, ალბათ, ის არის, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, თუ საცოლე და საქმრო სხვადასხვა რჯულის იყო, წესად იყო მიღებული, რომ ქალს შეეცვალა სარწმუნოება კაცის სასარგებლოდ. სწორედ ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული ამ კანონის შემოღება.

ამგვარად, წყაროების გაანალიზების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი — მართლმადიდებელი ქართველის მიერ მეუღლედ აუცილებლად მართლმადიდებლის მოყვანა — ასე თუ ისე მოქმედებდა ქვეყ-

---

1 კანონნი 1748 წლის საეკლესიო კრებისა, მუხ. 24.

2 ბერძნული სამართალი, ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული, მუხ. 73.

3 იქვე, მუხ. 74.

4 იქვე, მუხ. 75.

5 განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, მუხ. 3.

ნის პოლიტიკური ძლიერების პერიოდში. XIII ს-დან მოყოლებული კი, მას შემდეგ რაც საქართველოს აქტიურად შემოუტიეს არაქრისტიანულმა ხალხებმა და ქვეყნებმა, ამ პრინციპზე სხვა რელიგიურ-იდეოლოგიურ დოგმებთან ერთად საზოგადოება სულ უფრო ხშირად ხუჭავდა თვალს. ეს პროცესი ლოგიკური გახლდათ, რადგან ამ დროს ქვეყნისა და მოსახლეობის მთავარი მიზანი იყო ფიზიკური გადარჩენა. ამის მისაღწევად კი, როცა აუცილებელი იყო, იდეოლოგიური პრინციპები მეორე პლანზე გადადიოდა. ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი არ ყოფილა. მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ისეთ ქრისტიანულ ქვეყნებშიც, როგორიც იყო, მაგალითად, გერმანია. იქ, მას შემდეგ, რაც ოცდაათწლიანი ომის შედეგად, მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, კრაისტაგმა 1650 წლის 14 თებერვალს ნიურნბერგში გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც უქმდებოდა მონოგამიის მოთხოვნა და უახლოესი 10 წლის მანძილზე ყველა მამაკაცს ეძლეოდა უფლება ცოლად მოეყვანა ერთდროულად ორი ქალი.[1] მსგავსი რამ მოხდა რუსეთშიც, 1721 წ. პეტრე I-ის ბრძანებულებით რუს ქალებს უფლება მიეცათ ცოლად გაყოლოდნენ შვედ ტყვეებს, ისე რომ ამ უკანასკნელთ რჯული არ შეეცვალათ. მხოლოდ ერთი პირობა იყო განსაზღვრული: ქმრები არ აიძულებდნენ ცოლებს მართლმადიდებლობაზე უარის თქმას და შვილებსაც მართლმადიდებლად მონათლავდნენ.[2]

კანონის სახით მსგავსი გადაწყვეტილება საქართველოში არ მიუღიათ, ყოველ შემთხვევაში ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში მსგავსი გადაწყვეტილება დაფიქსირებული არ არის. მაგრამ პრაქტიკაში ასეთი რამ, როგორც უკვე დავინახეთ აქაც ხშირად ხდებოდა.

---

[1] Вильгельм Райх, Сексуальная революция, перевод с немецкого В. А. Брун-Цехового, под редакцией В.Н. Наталенко, Санкт-Петербург-Москва, 1997, გვ. 184.

[2] Цатурова, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

## დ) გვარიშვილობა

შუა საუკუნეების კანონმდებლობა სხვადასხვა ფორმებით ეწინააღმდეგებოდა განსხვავებული წოდების წარმომადგენლებს შორის დაქორწინებასაც; თუმცა ეს საკითხი მაინც და მაინც აქტუალურად არ განიხილებოდა, რადგანაც წოდებრივი განსხვავება და გვარიშვილობა იმდენად იყო განმტკიცებული საზოგადოებაში, რომ არც იყო საჭირო მისი რაიმე განსაკუთრებული კანონმდებლობით აკრძალვა. სოციალური პირობები და განსხვავება ისედაც დაუძლეველ ბარიერს წარმოადგენდა და ქორწინება დაბალ და მაღალ წოდებათა შორის, ალბათ, შეუძლებელი ან ძალზე იშვიათი იყო: ქართლოსის ჩამომავლებს „ზნენი აქუნდათ... ერთისა ცოლისა ქმრობა, რამეთუ მოიყვანიან თჳთ-თჳსთა თანასწორთა: მთავარნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა და უმცირესნი უმცირესთა“.[1]

ქართველი მეფეები და დიდებულები თავის „სახლს“ განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და პატივს ანიჭებდნენ და საოცარი რუდუნებით უფრთხილდებოდნენ მის ღირსებას. ამიტომ ბექას სამართლის წიგნი, მართალია, უშუალოდ არ კრძალავს სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთა შორის ქორწინებას, მაგრამ აღიარებს დასაქორწინებელთა შორის წოდებრივი შესაბამისობის პრინციპს და წერს: თუ ვინმემ თავისზე „უსაბატიოესი“, ე. ი. თავისზე უფრო მაღალი წრის, ქალი შეირთოს ცოლად, მაშინ ცოლის „დაგდების“ შემთხვევაში ქალი თავის „გვარსა ზედა“ ვერ მოითხოვს სისხლის დაურვებას. მას მხოლოდ ქმრის გვარის მიხედვით დააკმაყოფილებენ. „თუ კაცმან გუარად უკეთესი ცოლი დააგდოს, ეგეთსა მეტი სისხლი არა მართებს“.[2] როგორც ვხედავთ, ცოლი, თუნდაც რომ იგი „გუარად უკეთესი“ იყოს, მაინც ქმარზე უფრო „უსაბატიოესად“ ვერ ჩაითვლება. ცოლს არ შეიძლება ქმარზე მეტი „სისხლი“ სდიოდეს.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, თავისზე მაღალი წოდების ქალის ცოლად შერთვის შემთხვევაში კაცს ე. წ. „საკანონო“ უნდა გადაეხადა. ეს წესი არ ჩანს სამართლის ძეგლებში, მაგრამ ნათლად დასტურდება რამდენიმე სიგელის მიხედვით. მაგალითად, 1465 წლის 23 აპრილს არაგვის ერისთავი ვამეყ შაბურისძე მცხეთის კათალი-

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 15,5.

[2] ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, მუხ. 30.

კოსს სწირავს მამულებს „საკანონოდ“ იმის გამო, რომ მეფე გიორგი VIII-მ მის შვილს თავისი ქალი მიათხოვა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ეს სიგელი სერომ და ვამეყ შაბურის ძეებმა და მათმა შვილებმა მისცეს მცხეთის კათალიკოზს მარკოზის „მის ჟამისა შედეგად, ოდეს ჩუენად ულირსად დიდად და საპატიოდ შეგვიწყალეს პატრონმან მეფეთა მეფემან გიორგიმ და მათი ასული ჩუენისა შვილისათვის გვიბოძეს და მოგუცეს. დიდი გამოსაწერავი სასჯულო და საკანონო საქმე იყო... და შემოვსწირეთ კითხვითა... მეფეთა მეფისა გიორგისათა ჩუენი მკვიდრი მამული...“[1]

ანალოგიური სიგელი აქვს გამოცემული სარგის კაკაბაძესაც: 1559 წ. გოგიბასშვილები მცხეთის სვეტიცხოველს წირავენ „საკანონოს“: „... მას ჟამსა როდეს ღ~თივ გჳირგჳინოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმან ლეონ შეგჳიწყალა და მათი ქალი გჳიბოძა ბატონი ქეთეონ ჩუენის ძმისა ვახუშტისთჳის დიდად უხუედრი და საკანონო იყო. მიუდექით კარსა შევეხუეწენით და დაუურვეთ ჩუენად სადღეგრძელოდ და ცოდვათა ჩუენთა შესანდობლად მიჭიხელს ოცდა ათი კუამლი გლეხი...“[2]

„საკანონოს“ გადახდა ყოველთვის არ კმაროდა და როგორც წყაროებიდან ჩანს, განსხვავებული სოციალური წარმოშობა ხშირად მიზეზი ხდებოდა ქორწილის ჩაშლისა. ამას მოწმობს ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული სიგელი, რომელშიც მეფე ალექსანდრე V პაპუნა ჩიჩუას აძლევს მტკიცე საფიცარს: „ასე და ამა პირსა ზედან, რომ კურთხეულმა მამაშენმა დაგვმოყვრა და შენთვის ქსნის ერისთავის ქალი გვთხოვა. სოფლისა სიმუხთლისაგან მოხდა და მამაშენი მიიცვალა. მერმე მოხდა საქმე და ის ქსნის ერისთავი ქალი მომცრო შეიქნა, და მართალია ძმისწული იყო, მარა უფრო საკუთრად მოყვარეთ და გულითადად მოგეკიდეთ, და ჩვენი და მოგეცით“.[3]

როგორც ამ სიგელიდან ჩანს, პაპუნა ჩიჩუას შანშე ქსნის ერისთავის ქალი უნდა შეერთო. მაგრამ ამ დროისათვის შანშემ ერისთაობა დაკარგა. ფრაზა — „მერმე მოხდა საქმე და ის ერისთავის ქალი მომცრო შეიქნა“-ო, როგორც ე. თაყაიშვილი მიუთითებს,[4]

---

[1] ქრონიკები და მასალა..., წ. II, გვ., 285.

[2] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. 2, ტფ., 1919, გვ. 44.

[3] ე. თაყაიშვილი, ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა, IV, სიგელი ჩიჩუასი, გაზ. „ივერია“, 1891, ოქტომბერი 24, № 225, გვ. 1.

[4] იქვე, გვ. 2.

სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს. რაკი მამამ ერისთავობის პატივი დაკარგა, ჩიჩუასათვის მისი ქალიც „მომცრო შეიქნა“.

თუ შერეული ქორწინება მაინც შედგებოდა და განსხვავებული საზოგადოებრივი წარმოშობის წყვილი მაინც დაქორწინდებოდა, ქალი ავტომატურად იძენდა ქმრის წოდებასა და ღირსებას. ამ წესს ბექა მანდატურთუხუცესის შემდეგ ვახტანგ VI-მ თავის სამართლის წიგნში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი: „თუ კაცმან მისგან უდიდებულესის კაცის ქალი დააგდოს, რასაც გვარისა ის კაცი იყოს, იმტოლა მთელი სისხლი მისცეს, მეტი არ ეთხოების“.[1]

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დაბალი სოციალური წარმოშობის თავისუფალ მამაკაცს ცოლად მოყავს ყმა ქალი და მის საზოგადოებრივ სტატუსს იღებს: ბეროა უბატონო გლეხი იყო. „მას ჟამსა, როდესაც სამცხიდამ ქართლს გარდმოვედით და დედ-მამა დამეხოცა, დავრჩი მარტო, აქა-იქ ვიარებოდი“ – წერს იგი 1668 წ. ნასყიდობის წიგნში.

უმიწაწყლო გლეხს არსებობა გაძნელებია. „ვერ დავრჩი“ – მიმართავს შემდეგ ბეროა მამიჯანა ტერზაქარაშვილს – „მოვედი თქუენთან და გეყმენ... თქუენი ნასყიდი მოახლე შევირთევ და ეს ნასყიდობის წიგნიც მოგეცი, რომე სადამდის ცოცხალი ვიყო და პირში სული მედგას, თქუენს თავს სხვა ბატონი არა ვირჩიო და არც სადმე წავიდე. თუ ეშმაკმან მაცდინოს და წავიდე სადმე, ვე-რავინ შემომეცალოს ჩემს თავს... გყუანდეს და გიბედნიეროს ღ-მან ჩემი თავი, როგორც მრავალს ალალს ნასყიდს მართებდეს. ქელგე-წიფებოდეს ჩემი თავი თქუენ და ჩემი შვილი თქუენ შვილსა“.[2]

ამ დოკუმენტს ზოგიერთი მეცნიერი ასეთ კომენტარს უკეთებს: მხოლოდ მაშინ, როდესაც ყმა ქალს შეირთავდა დაბალი წარ-მოშობის თავისუფალი მამაკაცი, იგი ცოლის საზოგადოებრივ სტა-ტუსს იღებდა. ასეთი ქმარი იმავე ბატონის ყმა ხდებოდა, რომელსაც მისი მეუღლე ეკუთვნოდა.[3] ჩვენი აზრით კი, ბეროა ეყმა მამიჯანა ტერზაქარაშვილს თავისი სურვილით, იმის გამო, რომ დარჩა მარტო, „აქა-იქ იარებოდა“, ვერაფერს ხელი ვერ მოკიდა, და არა იმიტომ, რომ კანონი ამას მოითხოვდა. ფაქტია, რომ კანონი ქალს ქმრის სტატუსის მიღებას აიძულებდა.

---

[1] სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, მუხ. 73.

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 45, № 63.

[3] იქვე, გვ. 46.

სოციალური მდგომარეობით შესაფერისი მეუღლის პოვნა აუცილებელი იყო არა მხოლოდ პირადი, არამედ საზოგადოებრივი ამბიციების დასაკმაყოფილებლადაც. ეს, რა თქმა უნდა, ეხებოდა მმართველ წრეს.[1] წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება „უგვარო" მეუღლისადმი საზოგადოებას ბოიკოტი გამოეცხადებინა, მსგავსად ლუარსაბ II-ის მიერ გიორგი სააკაძის დის ცოლად მოყვანის შემთხვევისა: „მოურავი კაცი დიდად კარგი არისო, მაგრამ ჩუენზედ დიდად უმციროი არისო და უმრწემესი გუარითაო. ჩუენ იმათ ცოლნი და შუილნი და თავნი ყმად რად მივცეთო".[2]

საერთოდ, საქართველოს მეფეები თავიანთ საგვარეულოს დიდ და მაღალ მეფეთა ჩამომავლად თვლიდნენ. ამიტომ, არა თუ ადგილობრივი, ყოველი უცხოელი, მეფური ჩამომავლობის, ბატონიშვილიც კი თავის სახლის ღირსად არ მიაჩნდათ. როცა, მაგალითად, ათაბაგ ყიზილარსლანის შვილმა, არანისა და გურგანის მფლობელმა, ამირმირანმა თამარ მეფეს შემოუთვალა: „ასული თქუენი ნათელი" და „ბრწყინვალება შარავანდთმკრთობელობისა თქუენისა" დასვით დედოფლად და „პატრონად ყოვლისა სპარსეთისა"-ო, თამარმა თავისი შვილის საკადრისად და ღირსად არ სცნო იგი და „არა-მაღირსმან სიძობისამან, უბრძანეს იმედი შუელისა", მაინც ბრძოლაში დახმარება აღუთქვესო.[3] ამაზე ადრე, როცა არზრუმის მფლობელმა სალდუხისძემ მუტაფრანიდმა თამარის ცოლად შერთვა მოიწადინა და ამისთვის საქართველოში მობრძანდა, „ღირსად ცნობილი არ იყო... დაამკუეს ქედმაღლობა ტრფიალისა მისისა" და ცოლად ის მისცეს, რომელიც მის გვარიშვილობას შეშვენოდა, ე. ი. თამარის მამის უკანონო და „ერთი ხაჭთაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შვილად მეფისა".[4]

ქართველ მეფეებს ცოლად მოყავდათ თავისი „სახელმწიფო სახლის" ღირსი და შესაფერისი უფლის ასულნი. ქალიშვილებსაც მხოლოდ თავისსავე სწორს მიათხოვებდნენ ხოლმე. მაგ. ბაგრატ IV-ის დედა „ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა".[5] მისმა შვილმა კი ბერძენთა მეფის რო-

---

[1] შეელიძე დ., პოლიტიკური შეუღლებანი ძველ საქართველოში, თბ., 2001.

[2] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 2, თბ., 1959, გვ. 389.

[3] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 63-64.

[4] იქვე, გვ. 43-44.

[5] ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, გვ. 386.

მანოზის ასული ელენე მოიყვანა ცოლად,[1] ხოლო როცა დაქვრივდა, მეორე ცოლად ოვსთა მეფის ასული ბორენა შეირთო.[2] დავით აღმაშენებელმაც თავისი ერთი ქალი, თამარი, შირვანშაჰს მიათხოვა, მეორე, კატაი — საბერძნეთში გაათხოვა „რათა ვითარცა ორნი მნათობნი — ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს — ცისკროვან ჰყოფდნენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი".[3]

ყოველივე ამის ფონზე ლაშა-გიორგის სასიყვარულო ისტორია თავიდანვე განწირული იყო და გასაკვირი არ არის, რომ მეფეს არ მისცეს მისთვის შეუფერებელი ქალის ცოლად მოყვანის საშუალება.

რა თქმა უნდა, ასეთი ამბიციურობის უფლებას მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა იძლეოდა. გვიანი შუა საუკუნეების ქართველ მეფეთა მოთხოვნილებები შედარებით შესუსტდა, მაგრამ თანასწორის ძიება და ცოლად შერთვა მაინც აუცილებელი იყო და შეძლებისდაგვარად ხორციელდებოდა.

---

[1] მატიანე ქართლისა, იქვე, გვ. 294.

[2] იქვე, გვ. 295.

[3] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 334.

# გათხოვება მოტაცების გზით

შუა საუკუნეების ნებისმიერ საზოგადოებას და მათ შორის ქართულსაც, ახასიათებს ქალის ნებით ან იძულებით დაქორწინება. ქართული ნარატიული წყაროები გვიჩვენებს, რომ სიყვარულით გათხოვების ფაქტები რაოდენობრივად დიდად ჩამოუვარდებოდა იძულებით, ანდა რაციონალური მოსაზრებით გათხოვების ფაქტებს. სამწუხაროდ, არსებული წყაროები ძირითადად სოციალურად ზედა ფენის წარმომადგენლების შესახებ გვაწვდის მასალებს და ნაკლებად მოგვეპოვება ინფორმაცია მწარმოებელი კლასის დაოჯახების შესახებ. ნაწილობრივ ამ სიცარიელეს ავსებს სამართლის ძეგლები, რომლებიც არა მარტო ელიტარული საზოგადოების უფლება-მოვალეობებს არეგულირებდა, არამედ დაბალი სოციალური ფენებისაც. ამ მასალების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ საქართველოში ქალის იძულებით გათხოვების ორი გზა არსებობდა: საქმროს მიერ მისი ყიდვის და მოტაცების. ორივე ამ გზის შემთხვევები დამოწმებულია საისტორიო წყაროებში.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ქალის მოტაცების გზით ქორწინება ყველაზე ადრეულ და უნივერსალურ ფორმას წარმოადგენდა და იგი ქართული საზოგადოებისათვისაც იყო დამახასიათებელი.[1] მეორე ნაწილის თვალსაზრისით კი მოტაცება იყო უკიდურესი ზომა და მისი ჩათვლა ქორწინების უნივერსალურ ფორმად შუა საუკუნეებში არ შეიძლება. მათი აზრით, მოტაცება იყო ერთგვარი პროტესტის გამოხატულება არსებული საქორწინო ურთიერთობის წინააღმდეგ.[2]

ჩვენი მიზანია ქართული ნარატიული წყაროებისა და სამართლის ძეგლების სწორედ ამ კუთხით შესწავლა. ამისათვის კი, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ „თავისუფალი“ — გაუთხოვარი ქალის,

---

[1] Ковалевский М., Первобытное право, вып. I, М., 1886; Зом Р., Институции, Учебник истории и системы Римского гражданского права, пер. с немецкого Г. А. Барковского, СПБ., 1908; ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრ.; ლ. მელიქიშვილი, ტრადიციული საქორწილო წეს-ჩვეულებების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია, თბ., 1986.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, გვ. 260-263; გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევი, გვ. 122-130.

დანიშნული და გათხოვილი ქალის მოტაცების შემთხვევები. მათ წინააღმდეგ მიმართული დამსჯელი ღონისძიებები, რა თქმა უნდა, განსხვავებული იქნებოდა.

ყველაზე მეტი მასალა მოგვეპოვება ქმრიანი ქალის მოტაცების შესახებ. შუა საუკუნეების კანონმდებლობაც ამ შემთხვევაში მეტ სიმკაცრეს იჩენს. ეს გასაგებიცაა: „გვირგვინ-ნაკურთხი“ ქალის მოტაცება აღქმულია არა როგორც მისი გათხოვება, არამედ როგორც უკვე არსებული კანონიერი ქორწინების დარღვევა. ამიტომ ამ დანაშაულის ჩამდენი მეტად უნდა დაისაჯოს.

წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ქალის მოტაცება ორგვარი ყოფილა: ნებაყოფლობითი და ძალისმიერი. ბექა მანდატურთუხუცესი თავის სამართლის წიგნში აღწერს ორივე შემთხვევას. ძალმომრეობითი ის ყოფილა, რომელიც „დიაცისა უმეცრად და უნდომლად“ უნდა მოხდეს და „ძალთა ლაშქართა უხლებლად ვერ უზამს“,[1] ხოლო ნებაყოფლობითი მოტაცება გულისხმობდა დიაცის „მისით ნებითა და წადილითა“ გაყოლას.[2]

ჯერ კიდევ VI მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებით აიკრძალა ქალზე ძალადობა — მისი ცოლად მოყვანა მოტაცების გზით. აქ არ არის დაკონკრეტებული გათხოვილი ქალის მოტაცებაა აკრძალული, თუ გაუთხოვარის. კანონმდებელი ზოგადად ქალის მოტაცებაზე საუბრობს და მკაცრ სასჯელს ადებს როგორც მომტაცებელს, ასევე მისთვის ხელის შემწყობთ: „უკეთუ მოწესენი იყვნენ, აღიხილნენ პატივისა მისგან, უკეთუ ერის კაცნი იყვნენ, განიდევნენ ეკკლესიისაგან“.[3] ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი კი უკვე ხაზგასმით გათხოვილი ქალის მოტაცებას კრძალავს და დამნაშავეს სრული სისხლის გადახდით სჯის.[4]

ამ დანაშაულის შესახებ მსჯელობს ბექა მანდატურთუხუცესიც, რომელიც საკმაოდ დაწვრილებით გამოყოფს და აღწერს ქალის ძალით თუ ნებით მოტაცების შემთხვევებს და სასჯელსაც განსხვავებულს აწესებს: ქალის თანხმობით მოტაცების შემთხვევაში „რასაცა გვარისა იყოს, მისითა წესითა სისხლი ორნაწილი დაუურვოს ქმარსა“,[5] ხოლო

---

[1] ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, მუხ. 47.

[2] იქვე, მუხ. 46.

[3] Правила VI вселенского собора, გვ. 52.

[4] სამართალი ბაგრატ კურაპალატისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, მუხ. 135.

[5] ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, მუხ. 46.

ძალით წაყვანისას დაურვებას (სისხლის საფასურს) ემატება სასჯელი თავდასხმისათვის.[1] ერთ-ერთ მუხლში ბექა თანხასაც აწესებს: თუ დიდებულმა ან აზნაურმა დიდებულსა ან აზნაურსა ცოლი „წაგუაროს“, თორმეტი ათასი თეთრი უნდა გადაიხადოს.[2] შედარებისათვის საინტერესოა, რომ დაახლოებით ამ პერიოდში დავით ნარინის მეუღლე ყიდულობს სოფელ ეკვახჭორს ამავე თანხად — თორმეტი ათას თეთრად.[3] ეს მონაცემები, ალბათ, ჩვენზე მეტად შუა საუკუნეების საქართველოს ეკონომიკის მკვლევართათვის არის ყურადსაღები, ვინაიდან აქედან კარგად ჩანს მიწის გაუფასურების ტენდენცია.

XIV ს-დან მოყოლებული ცოლის „წაგვრისათვის“, როგორც საკანონმდებლო ძეგლები ცხადყოფენ, სასჯელი ნელ-ნელა კლებულობს. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდებაში ცოლის მოტაცებისათვის დამნაშავე უკვე ნახევარი სისხლის ფასს იხდის, ხოლო დაზარალებულს ეპატიება ერთი წლის განმავლობაში თავისი შეურაცხმყოფელის დარბევა და „მტერობა“: „და ერთს წელიწადს უკან რაც ემტერების, იგიც მიეფერების...“.[4] ასეთი ხერხით შეურაცხყოფილი მამაკაცის ვნებების დაცხრომის შესაძლებლობა სხვა სამართლის ძეგლებში არ ჩანს. ეს ალბათ, მთიანი რეგიონის თავისებურებებიდან და იქ არსებული ვენდეტის ურყევი ტრადიციიდან მომდინარეობდა.

სხვისი ცოლის მოტაცებისათვის სისხლის საფასურის ნახევარის გადახდა არის შენარჩუნებული XV ს-ის დასავლეთ საქართველოშიც. დ. ფურცელაძეს გამოქვეყნებული აქვს 1477 წლის სასისხლო სიგელი ბოძებული მეფე დავითის მიერ მაღრაძეებისადმი.[5] მის მიხედვით, ამ ოჯახის ნებისმიერი წევრის ცოლის მოტაცებისათვის დამნაშავე გადაიხდის სისხლის ფასის ნახევარს. მართალია, ეს სიგელი ნატყუარი უნდა იყოს, რადგანაც 1477 წ. არც დასავლეთ და არც აღმოსავლეთ საქართველოში მეფე დავითი არ ჩანს, მაგრამ ამ საკითხის კვლევა ეხლა ჩვენთვის საინტერესო არ არის. ნატყუარიც რომ იყოს, ჩვენ ეს დოკუმენტი გვაინტერესებს იმ კუთხით, თუ რა ანაზღაურებას მოითხოვს თუნდაც ყალბი სიგელის

---

[1] ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, მუხ. 47.

[2] იქვე, მუხ. 27.

[3] ქრონიკები და მასალა..., წგ. 2.

[4] ძეგლისდება გიორგი ბრწყინვალისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, მუხ. 22.

[5] Д. Пурцеладзе, Грузинские дворянские грамоты, Тиф., 1881, გვ. 36.

ავტორი თავისი ოჯახის წევრის ცოლის მოტაცების შემთხვევაში. ხოლო იმას, რომ ეს მოთხოვნა რეალურ ვითარებას ასახავს, მოწმობს ამავე პერიოდში — 1478 წელს ბაგრატ VI-ის მიერ გაცემული სიგელი გებალიძეებისადმი. აქაც, წინა საბუთის მსგავსად, ოჯახის რომელიმე წევრის ცოლის მომტაცებელს ავალდებულებენ ქმარყოფილისათვის სისხლის ფასის ნახევრის გადახდას.[1]

უფრო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო ამ პერიოდში, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველო, რადგანაც აქ ანალოგიური დანაშაულისათვის გადასახადი ნატურით — ძროხებით იანგარიშება: „უკეთუ ქმრიანი დედაკაცი მოიტაცოს, დ. ძროხა მიართვას".[2]

მდგომარეობა არ გამოსწორებულა არც გვიან შუა საუკუნეებში. პირიქით, კიდევ უფრო გართულდა. ეს გასაგებიცაა: საქართველოს პოლიტიკური დაქსაქსულობა, ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების არქონა, აღრეული რელიგიურ-კულტურულ-იდეოლოგიური ფონი, დაუმორჩილებლობის სინდრომი და ეკონომიკური სიდუხჭირე, ბუნებრივია, მორალურ-ეთიკური ნორმების დაქვეითებას და ფასეულობათა გადაფასებას გამოიწვევდა. ეს ქაოსი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. გამონაკლისი არც საოჯახო ინსტიტუტი აღმოჩნდა. გვიანდელი შუა საუკუნეების საისტორიო წყაროები სავსეა უქმრო და ქმრიანი ქალების მოტაცებისა და ძალად გათხოვების ფაქტებით.

ასეთ სიტუაციაში საერო სასულიერო ხელისუფლება კვლავ ყურადღებით ეკიდება ოჯახის მთლიანობის შენარჩუნების პრობლემას და მკაცრი დამსჯელი ღონისძიებებით ცდილობს აღკვეთოს სხვისი ცოლის მოტაცების შემთხვევები. ჩვენს ხელთ არსებობს სიმონ I-ის სისხლის განჩინების სიგელი მაღალაძეებისადმი, შედგენილი 1592 წელს;[3] აგრეთვე, სასულიერო საკანონმდებლო ძეგლები — ბიჭვინტის იადგარი[4] და კანონიკური სამართალი,[5] რომლებიც ცდილობდნენ სხვადასხვა გადასახადებისა და ღვთიური რისხვის შიშით შეაჩერონ ქალის მოტაცების მსურველები, მაგრამ მიზანს

---

1 Д. Пурцеладзе, Грузинские дворянские грамоты, გვ. 39.

სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნი..., მუხ. 14.

3 სისხლის განჩინების სიგელი სიმონ I-ისა მაღალაძეებისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, გვ. 205.

4 ბიჭვინტის იადგარი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, გვ. 176.

5 კანონიკური სამართალი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, მუხ. 165.

ვერ აღწევენ: ვახუშტი ბატონიშვილთან დაცულია არაერთი ცნობა ფეოდალების მიერ სხვისთვის მოტაცებულ ცოლებზე დაქორწინების შესახებ. მაგ. ბაგრატ მეფე ართმევს დადიანს ცოლს და თვითონ ირთავს,[1] ლევან დადიანის ძემ გიორგიმ გაუშვა თავისი კანონიერი ცოლი — როსტომ გურიელის ასული და თავისი ბიძის — ბათულიასგან მოტაცებული ცოლი შეირთო.[2] ამ პრობლემით დაინტერესებულა შაჰ აბასიც: გიორგი სააკაძესთან საუბარში მას გიორგისათვის უკითხავს, თუ რა ღონეს მიმართავს ცოლმოტაცებული კაცი, რაზედაც ასეთი პასუხი მიუღია: „ეგე ვითარი კაცი წარმგურელსა ცოლისასა აღუოხრებს მამულსა თუ სადამე ძალ-უძს მორევნაჲ და წარმოჴსტყუჩნავს ყოველსავე მისსა და მოჰკლავსცა".[3]

ამ და მრავალი სხვა შემთხვევების გამო ვახტანგ VI-ც იძულებული გამხდარა კიდევ ერთხელ აეკრძალა ქალების ქმრებისათვის მოტაცება და დანაშაულის ჩამდენთათვის მკაცრი სასჯელი განაჩინა: თუ ქალი თავისი ნებით გაყვებოდა, „იმ დედაკაცის ქმარი რასაც გვარისა იყოს, მისის სისხლის ორიწილი გარდაიხადოს, და რაც პირველისა ქმრისა გაეტანოს, ისიც უკლებლივ მისცეს".[4] ხოლო ქალის ძალად მოტაცების შემთხვევაში „იმ ქმარყოფილს წამყვანმან ორი წილი სისხლი მისცეს, რომ შეიქმნების ყველაყა ერთი მთელი სისხლი, კიდევ მთელის სისხლის ორი წილი".[5]

ქმრიანი ქალის მოტაცების საკმაოდ მრავალრიცხოვანი შემთხვევებისაგან განსხვავებით, ბევრად ნაკლები მასალა მოგვეპოვება უქმრო ან დანიშნული ქალების მოტაცების შესახებ. ამ უკანასკნელთაგან კი თავის მხრივ უფრო ნაკლებ დანაშაულად ითვლებოდა გაუთხოვარი ქალის მოტაცება, ალბათ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში არც ოჯახის დანგრევასა და არც ნიშნობის დარღვევას არ ჰქონდა ადგილი; ამიტომ ხელისუფლება შედარებით იოლად უყურებდა ამ დანაშაულს.

ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული ივ. ჯავახიშვილს. მისი აზრით, მართალია ქართული

---

1 ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 837.

2 ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 815.

3 მ. საბინინი, წამება წმიდა მთავარ-მოწამისა ქეთევან დედოფლისა, საქართველოს სამოთხე, სპბ., 1882, გვ. 591.

4 სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, მუხ. 84.

5 იქვე, მუხ. 85.

ქორწილის ხალხურ ჩვეულებებში წაგვრისა და მოტაცების ანარეკლი მკაფიოდ მოჩანს, მაგრამ თვით წაგვრისა და მოტაცების წესი დიდი ხანია საქართველოში მოსპობილი იყო. ამის დამამტკიცებელ საბუთად მეცნიერი მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ შუა საუკუნეებში შედგენილ სამართლის არც ერთ ძეგლში არ არის დამოწმებული გაუთხოვარი ქალის მოტაცების ამკრძალავი მუხლები.[1] მაგრამ არსებობს სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნი, სადაც მე-13 მუხლად შემდეგი კანონია დადგენილი: „უკუეთუ უქმრო დედაკაცი მოიტაცოს ვინმე ცოლად, ბ. ძროხა მიართვას“.[2]

ივ. ჯავახიშვილის მსჯელობას თუ გავიზიარებთ, მაშინ გამოვა, რომ უქმრო ქალის მოტაცების გზით ცოლად მოყვანის წესი მხოლოდ მე-15 საუკუნეში არსებობდა, არც მანამდე და არც მერე, ამიტომ, იქნებ, უკეთესი იქნებოდა, რომ მდგომარეობა ასე წარმოგვედგინა: ცოლის შერთვის ამ ხერხს შუა საუკუნეების საქართველოში უნივერსალური სახე შეიძლება მართლაც არ ჰქონია; მაგრამ მსგავსი ფაქტები ჩვენი აზრით მაინც ხდებოდა. ამას მოწმობს სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნი; ხოლო ის, რომ სხვა საკანონმდებლო ძეგლები ამ ტრადიციას ნაკლებად ეხება, შეიძლება შემდეგნაირადაც აიხსნას: ქალწულის მოტაცებას გათხოვების მნიშვნელობა ჰქონდა და ამ შემთხვევაში შუა საუკუნეებში მოღვაწე კანონმდებლის მსოფლმხედველობით ქალის უფლებების დარღვევა არ ხდებოდა.

ასევე ცოტა მასალა მოგვეპოვება დანიშნული ქალის მოტაცების შესახებ. დანიშვნა, ანუ ჯვრის გაცვლა, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ცოლქმრულ ურთიერთობას. იგი იურიდიულ ძალას მოკლებული იყო და ამიტომ დანიშნული ქალის მოტაცება არ ითვლებოდა სისხლის სამართლის სერიოზულ დანაშაულად. ამ პრობლემას სჯულმდებელთაგან ეხებიან მხოლოდ ბექა მანდატურთუხუცესი და გიორგი ბრწყინვალე. მაგრამ მათაც განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ დამნაშავის მიმართ. ბექა მხოლოდ ჰკიცხავს მას და საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტას ქადაგებს — „სამდურავისა კიდე არას ემართლების, მაგრამ სამდურავი ერთობ იქნების. თუ ულირს, სჯობს, ორთავე მოყვარენი კაცნი შემოასხნენ შუა და ქალისა ქმარმან მისაცემელითა რათმე გული დაუმქოს, და ზავავი მოშალოს

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, გვ. 260-263.
[2] სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნი, მუხ. 13.

შეაკაცმან“.[1] გიორგი ბრწყინვალე კი ქალის გვარის მიხედვით სისხლის მეექვსედის გადახდას აკისრებს მომტაცებელს.[2]

შუა საუკუნეების ქართულ სამართლის წიგნებში აღნიშნულია დასჯის ფორმები სეფე-ქალის მოტაცების შემთხვევაშიც. მაგრამ სანამ მათ განვიხილავდეთ, საინტერესოა თვით „სეფე-ქალის“ ვინაობის გარკვევა. ნიკო ურბნელი სულხან-საბა ორბელიანის განმარტებაზე დაყრდნობით ფიქრობდა, რომ ამ ტერმინში დიდებულის გასათხოვარი ქალი იგულისხმებოდა.[3] ივ. ჯავახიშვილმა კი, თვით კანონების გაანალიზებით დაამტკიცა, რომ სეფე-ქალი იყო დიდებულის მოახლე, მსახური ქალი.[4] „თუ კაცმან კაცს სეფე-ქალი წაგვაროს, ორი მსახურის სისხლი დაუურვოს“,[5] – წერს ბექა მანდატურთუხუცესი. ცხადია, სეფექალი რომ დიდებულის ქალიშვილი ყოფილიყო, მაშინ საზღაურად მსახურის სისხლი კი არ იქნებოდა დაწესებული, არამედ დიდებულის, მისი გვარისა და ღირსების მიხედვით.

სეფე-ქალი მსახურად ჩანს როსტომ მეფის (1590-1605 წწ.) სიგელშიც გუგუნბერიძეებისადმი: „ვინც სეფექალი გიცეს ათასი თეთრი დაგიუროს, თუ მოგიკლას მისის გვარის სეფექალი მოიკითხე. ასრე სისხლი დაგიუროს“.[6] ანალოგიურ აზრს გამოთქვამენ ი. დოლიძე[7] და გ. ნადარეიშვილიც[8] აღბუღას სამართლის მუხლებზე დაყრდნობით. მასში ნათქვამია: „თუ ვისმე კაცი შეეწყნაროს და თავი დაუწეროს, და მან სეფექალსა ზედან სიძობით შეიწყნაროს, ანუ გლეხსა და ანუ გლეხისა ასულსა, წასვლას არას ემართლების“.[9] ამ მუხლში ის აზრია გატარებული, რომ თუ გლეხი ან მსახური რომელიმე მებატონესთან მივიდოდა და თავის თავს ყმად დაუწესდა, ხოლო შემდეგ „თავდაწერილი“ თავის ბატონს მოახლეს, „სეფე-ქალს“, ან გლეხის ასულს საცოლედ სთხოვდა და მებატონე

---

[1] ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, მუხ. 39.
[2] ძეგლისდება გიორგი ბრწყინვალისა, მუხ. 24.
[3] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრ., გვ. 139-140.
[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტ., წ. 2, გვ. 261-262.
[5] ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, მუხ. 24.
[6] გუგუნბერიძეთა სასისხლო სიგელი, წგნ: საქართველოს არქივი, წ. 2, ტფ., 1927.
[7] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 89-90.
[8] გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევი, გვ. 122-130.
[9] აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, მუხ. 72.

ამ თხოვნას შეუსრულებდა, მას წასვლა აღარ შეეძლო. აქედან ცხადია, რომ სეფექალი მოახლეს ნიშნავდა და არა დიდებულის ქალს. ნათელია, რომ არც ერთი დიდებული არ იკადრებდა სიძედ აეყვანა თავისი ყმა გლეხი ან მსახური.[1]

ამგვარად გამოდის, რომ სამართალი დიდებულის მოახლის მოტაცებას ისევე მკაცრად სჯიდა, როგორც ცოლის მოტაცებას. თუმცა, ამის ძირითადი მიზეზი არ უნდა ყოფილიყო საოჯახო ურთიერთობების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა. სეფექალი ბატონის მოახლე იყო, მას ემსახურებოდა, ამიტომ ბატონი დაინტერესებული იყო, რომ იგი ცოლად თავისი ყმისათვის მიეთხოვებინა, რომ ქალი ბატონის სამსახურში დარჩენილიყო. ამიტომ, როდესაც მებატონე მსახურ ქალზე დაქორწინებისათვის ანუ „ზედან სიძობით“ შეწყნარებისათვის კაცს უარს ეუბნებოდა, მაშინ ცოლქმრული ურთიერთობის დამყარების მხოლოდ ერთი საშუალება რჩებოდა — სეფექალის მოტაცება. აქ უკვე ამუშავდებოდა ბატონყმური ურთიერთობების დამცველი მექანიზმი, რომელსაც ეს დანაშაული ცოლის მოტაცების დონეზე ჰყავდა აყვანილი და მის ჩამდენს იგივე პასუხისმგებლობას აკისრებდა: „ორკეცი სისხლი“.

---

[1] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 90.

## ქალის ქონებრივი მდგომარეობა

შუა საუკუნეების საქართველოში დამოწმებული ქალის პირადი ქონების აღმნიშვნელი ტერმინებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია „მზითვი“ და „სათავნო“. ქართველ ეთნოგრაფებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა მათი არსის განსაზღვრასთან დაკავშირებით. რ. ხარაძის მტკიცებით, სათავნო არის მზითვის ინსტიტუტის ადრეული ფორმა — ქალის ქონება, რომელიც გამოყოფილია სასახლოდან და წარმოადგენს ქალის ქონებრივი დამოუკიდებლობის ობიექტს ოჯახში. მისი აზრით, სათავნო შეესაბამება საოჯახო თემს, ხოლო მზითვი დამახასიათებელია ინდივიდუალური ოჯახისათვის.[1] ი. ჭყონია ფიქრობს, რომ მზითვი წარმოადგენდა ქალის პირადი მოხმარების საგნებსა და საოჯახო ნივთებს, სათავნო კი იყო ქალის კაპიტალი (ძროხა, ფული, მამული და სხვ.). მისი აზრით, სათავნო გვიანდელი მოვლენაა და უპასუხებს ინდივიდუალური ოჯახის ბუნებას.[2] ვ. ითონიშვილი ხევის ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ მზითვი იხმარებოდა ქალის პირადი მოხმარების საგნების მნიშვნელობით, ხოლო სათავნოს წარმოადგენდა პირუტყვი.[3] ნ. მაჩაბელი კი ქართლსა და კახეთში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ასკვნის, რომ საქართველოს ამ კუთხეებში მზითვი მეტწილად იხმარებოდა ქალის მიერ მამის ოჯახიდან წაღებული ყველანაირი ქონების აღსანიშნავად. მზითვი შეიძლება ყოფილიყო ქალის პირადი და საოჯახო მოხმარების ნივთები და მომგებიანი ქონებაც პირუტყვის, ფულის, მამულის თუ დუქნის სახით.[4]

ეს ავტორები თავიანთი მოსაზრების დასამტკიცებლად ძირითადად ეთნოგრაფიულ მასალებს იყენებენ. რაც შეეხება წერილობით წყაროებს, მათი ამ კუთხით შესწავლა სცადა ივ. ჯავახიშვილმა და დაასკვნა, რომ მზითვი არის ქალის როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება; რომ ტერმინ მზითვში გაერთიანებულია ქალის

---

[1] Р. Харадзе., Грузинская семейная община, т. II, Тб., 1961.

[2] ჯ. რუხაძე, ან. ლეკიაშვილი, ი. ჭყონია, სოფელი აკურა, კრებული, თბ., 1964, გვ. 76.

[3] ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 232; მისივე, მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ., 1970, გვ. 119-121.

[4] ნ. მაჩაბელი, ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან (მზითვის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში), თბ., 1976, გვ. 16-17.

ყველანაირი ქონება.[1] და მართლაც, ბექას სამართალში აღნიშნულია, რომ მზითვის შემადგენლობაში შეიძლება შესულიყო პირადი მოხმარების საგნები, პირუტყვი და „სამამულო მზითევი“.[2] ასევე დავით ბატონიშვილის სამართლის პროექტშიც ნათლად ჩანს, რომ ქალს შეიძლება „მოჰყვეს მზითვად მამული, ანუ თეთრი და ნივთი“.[3] მზითვის შემადგენლობაში პირუტყვის არსებობა დასტურდება ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულში შესული სომხური სამართლითაც. აქ აღნიშნულია: „ვისაც ცოლს მიჰყუეს ზითევი, ყმა ანუ ცხვარი, ანუ აქლემი, ან ჭარი და ფური, ან სხვა რაგინდარა...“[4] ივ. ჯავახიშვილს ეთანხმება კ. კეკელიძეც. ის აღნიშნავს, რომ VIII-IX სს-ში მშობლები უმზადებდნენ ქალს მზითვს, რომელშიც ყველანაირი ქონება შედიოდა, თვით მამულიც კი.[5]

ჩუბინაშვილის განმარტებით მზითვი არის „გასათხოვარი ქალის მისაცემი ქონება სამშობლოს სახლიდან“.[6] ხოლო სულხან-საბასთან კი – „სძლის მონაყოლი საქონელი“.[7]

რაც შეეხება სათავნოს, ეთნოგრაფიული მასალებით დადგინდა, რომ ქართლსა და კახეთში ის ძირითადად იხმარებოდა სარგებლით გასესხებული ფულის მნიშვნელობით. ზოგჯერ სათავნოს უწოდებდნენ ქალის საქონელსაც. საისტორიო წყაროებში კი ამ ტერმინის არსის მოძიებისას პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „სათავნო“ წარმოშობილია „თავნიდან“, ეს უკანასკნელი კი „თავი“-დან და ეს ორი ტერმინი ჯერ კიდევ XI ს-ში ერთმანეთის სინონიმად იხმარებოდა.[8] მაგალითად, აღბუღას სამართალში აღნიშნულია: „...ნუცა ვახშის ვახში იკსენების, თავი მასვე ოდენ იმატებდეს, რა გინდა ხანი დაეყოს“.[9] სულხან-საბასთან კი „სარგებლის“ განმარტებისას

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, გვ. 271.
ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, მუხ. 46.
[3] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, მუხ. 3.
[4] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, მუხ. 81.
[5] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1941, გვ. 14.
[6] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 222.
[7] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ, თბ., 1991.
[8] ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, გვ. 760.
[9] აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი, ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, მუხ. 94.

ნათქვამია: „სარგებელი — თავნის მონაგარი“,[1] ხოლო მაშინ, როცა იძლევა ტერმინი „თავნების“ განმარტებას, აღნიშნავს: თავნება — გამრავლება,[2] „თავი“-ს განმარტებისას კი ნათქვამია: „თავად ითქმის ყოველი პირუტყვი უკანასკნელი ზედა“.[3] ყოველივე აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სულხან-საბას მიხედვით თავნი იხმარება სარგებლით გაცემული ძირითადი თანხის აღმნიშვნელად, რომელიც ბრუნვაში იყო მოქცეული.

თავნი ანალოგიური მნიშვნელობით გვხვდება ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ სამართალშიც.[4] საინტერესოა ის ფაქტიც, რომ XIII ს-ის I ნახ-ში დაწერილ ვაჰანის ქვაბთა განგებაში ღვინის სარგებლით გასესხებასთან დაკავშირებით უკვე გამოყენებულია ეს ტერმინი: „არავის ძმათაგანსა ჴელეწიფების... თავნობად ანუ მოფარდულობად ღჳნისა, გინა რაჲსაცა სხჳსაჲ“.[5]

ყოველივე ამის საფუძველზე, სწორედ გვეჩვენება ნ. მაჩაბლის ვერსია, რომ თავდაპირველად „სათავნო“ ერქვა იმ პირუტყვს, რომელიც მომრავლების მიზნით ინახებოდა ოჯახში. მზითვში საქონლის მიცემის წესის შემოღების შემდეგ, მამის ოჯახში ქალს ჯერ კიდევ ბავშვობაში ეძლეოდა ხბო, ძროხა ან დედალი ცხვარი იმ დანიშნულებით, რომ მას თავისი თავნი განემრავლებინა — ეთავნებინა. ამიტომ სავარაუდებელია, რომ თავისი დანიშნულების გამო „სათავნო“ საქონელს უნდა რქმეოდა. ვინაიდან ქალის საქონელი ყოველთვის გამოყოფილი იყო „სასახლო“ ქონებიდან ჯერ კიდევ მამის ოჯახში, ამიტომ, იმის აღსანიშნავად, რომ ის სასახლო კი არ არის, არამედ ქალის კუთვნილ პირუტყვს წარმოადგენს, საჭირო გახდა რაღაც განმასხვავებელი ტერმინის ხმარება. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, გამოყენებული იქნა მისი დანიშნულების მიხედვით გაჩენილი სიტყვა — სათავნო. მან ასეთი სახელწოდება აღნიშნული მიზნით ქმრის ოჯახშიც შეინარჩუნა და თანდათან ქალის ქონების აღმნიშვნელ ტერმინად ქცევის ტენდენცია შეიძინა. მევახშეობის განვითარების შემდეგ კი

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993, გვ. 49.

[2] იქვე, I, გვ. 296.

[3] იქვე, I, გვ. 295.

[4] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბერძნული, მუხ. 102, სამართალი სომხური, მუხ. 133, 139, 144, 232, სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, მუხ. 132.

[5] განგებაჲ ვაჰანის ქუაბთაჲ, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 141.

ტერმინი სათავნო გამოყენებული იქნა აგრეთვე სარგებლით გაცემული თანხის აღსანიშნავად.[1]

ეხლა კი დავუბრუნდეთ ისევ მზითვს — ქმრის ოჯახში ქალის საკუთრებას და ვნახოთ, თუ როდიდან ჩანს ის ქართულ საისტორიო წყაროებში და რა ტრანსფორმაციას განიცდის შუა საუკუნეების მანძილზე.

მზითვის როლი საქართველოს საოჯახო ყოფაში და მისი კავშირი ქალის ქონებრივ მდგომარეობასთან ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში, როგორც უკვე ვნახეთ კარგადაა შესწავლილი.[2] ეთნოგრაფიული მასალა საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის მასზე.

რაც შეეხება წერილობით წყაროებს, უძველესი ცნობები ქრისტიანულ საქართველოში ქორწინების შესაძლებელი წესების შესახებ დაცულია იაკობ ხუცესის თხზულებაში „შუშანიკის წამება“. ნაწარმოებში ასახულ პერიოდში ქრისტიანობა აღმოსავლეთ საქართველოში

---

[1] ნ. მაჩაბელი, დასახ. ნაშრ., გვ. 29-30.

[2] ნ. მაჩაბელი, დასახ. ნაშრ.; მისივე, ქართველი ხალხის საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან (ქალის გამზითვება), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVIII, თბ., 1975; Р. Харадзе, Грузинская семейная община; ი. ჭყონია, საოჯახო ყოფა და კულტურა, კრებული „სოფელი აკურა“, თბ., 1964; ვ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთიელთა საოჯახო ყოფა, თბ., 1969; ჯ. სოხლუღაშვილი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1964; ლ. მელიქიშვილი, ქონებრივი ურთიერთობის ზოგიერთი ფორმის შესახებ მთიულეთში — სათავნო, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, III, 1971; ს. ბარნაველი, გასათხოვარი ქალის მზითევი XVIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI-B, ტფ., 1941; მისივე, ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X-B, ტფ., 1940; მისივე, დადიანის ასულის მარიამის მზითვის წიგნი, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIII-B, თბ., 1962; ვ. ითონიშვილი, ოჯახის გაყრის წესი და ქონების განაწილების პრინციპი წოვა-თუშებში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976; ნ. მაჩაბელი, ქართლის საოჯახო ურთიერთობის ისტორიისათვის, მზითვის შემადგენელი ელემენტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVI-XVII, თბ., 1972; ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1940; ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; В. Бардавелидзе, Древнейшие формы землевладения в свете грузинских этнографических материалов, VII международный конгресс антропологических и этнографических наук, М., 1969.

უკვე გავრცელებული და აღიარებული რელიგიაა, თუმცა არაა გამორიცხული წარმართული წესების ჯერ კიდევ არსებობა.

მართალია, ეს ძეგლი საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის მეტად საინტერესო თხზულებაა და ბევრ მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს ადრექრისტიანული პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ, მაგრამ მზითვის ინსტიტუტთან დაკავშირებით იგი ძალზე ფრთხილად უნდა განვიხილოთ. არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ შუშანიკი იყო სომეხი დიდებულის ოჯახიდან და მისი საქართველოში გათხოვება, შესაძლებელია, სომხური წესების მიხედვით მომხდარიყო.

როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, V ს-ის საქართველოში საქმროსაგან საცოლისათვის სამკაულის მირთმევა სავალდებულოდ ითვლებოდა, ყოველ შემთხვევაში, მაღალი წოდების ხალხში მაინც (ვარსქენი, ქვემო ქართლის პიტიახში, ხომ ნამდვილად დაიცავდა ქართულ ტრადიციებს, თუნდაც რომ საცოლე უცხოელი ყოფილიყო). მაგრამ მიჰქონდა თუ არა რაიმე საცოლეს ოჯახში მზითვის სახით, ეს ნაწარმოებიდან არ ჩანს. ამ საკითხის გასარკვევად გ. ნადარეიშვილი იმოწმებს იუსტინიანეს 21-ე ნოველას, რომლის თანახმადაც იმდროინდელ სომხეთში მზითვის ინსტიტუტი ნაკლებად იყო განვითარებული და ფიქრობს, რომ შუშანიკს მზითვი არ ჰქონია.[1]

მართალია „შუშანიკის წამების" წაკითხვის შემდეგ ყველაზე ლოგიკურად სწორედ ეს დასკვნა გვეჩვენება, მაგრამ რას გვაძლევს ის საქართველოს ისტორიის მკვლევარებს? ფაქტიურად არაფერს, ვინაიდან შუშანიკის სომხური წარმომავლობის გათვალისწინებით, ჩვენ გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ მის მიერ მზითვის არქონა მეტყველებს V საუკუნის ქართლში მზითვის ინსტიტუტის არ არსებობაზე. ამის დასადგენად სხვა წყაროების მოშველიებაა საჭირო წმინდა ქართული სინამდვილიდან.

V საუკუნის ქართლში წეს-ჩვეულებები უნდა ყოფილიყო ადგილობრივი ან სპარსული და რომაულ-ბიზანტიური კულტურების გავლენით შექმნილი. პირველ რიგში ვნახოთ, არსებობდა თუ არა მზითვი ამ ორი მეზობელი ქვეყნის ტრადიციებში და რა გავლენა შეიძლება მოეხდინა მას ქართლის სინამდვილეზე.

V-VI საუკუნეების ბიზანტიის პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული ცხოვრების ნორმები ყველაზე კარგად ასახულია

---

[1] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, გვ. 63.

იუსტინიანეს კოდიფიკაციაში, რომელსაც მოგვიანებით, XII საუკუნეში "Corpus Juris Civilis"-ი ეწოდა. იგი 528-534 წლებშია შედგენილი და ოთხ ნაწილს შეიცავს: ინსტიტუციები, დიგესტები ანუ პანდექტები, კოდექსი და ნოველები. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა დიგესტები (ამონაწერები 40 გამოჩენილი რომაელი იურისტის 1500-ზე მეტი წიგნიდან) და ნოველები (იუსტინიანეს და შემდგომი იმპერატორების განკარგულებები). დიგესტებიდან ჩანს, რომ იუსტინიანეს მეფობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე რომში ქალის გათხოვებისათვის აუცილებელი იყო მზითვის ქონა: „სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ქალებს ჰქონდეთ მზითვი, რომელიც დაეხმარება მათ გათხოვებაში" – მოყავს მას II საუკუნის ცნობილი იურისტის პავლე იულიუსის სიტყვები.[1] მისივე ნოველებიდან კი ვიგებთ, რომ ბიზანტიაში მზითვი VI საუკუნეშიც არსებობდა, და თანაც განსაზღვრულია, რომ ოჯახში ცოლის ქონება (მზითვი) საქმროს მიერ საცოლისათვის ქორწილის წინ მირთმეული საჩუქრის თანაბარი უნდა ყოფილიყო[2] (ეს თანაფარდობა შეიცვალა შემდგომი იმპერატორების მმართველობის პერიოდში).

ანალოგიური მდგომარეობა იყო სპარსეთშიც, განსხვავდებოდა მხოლოდ მზითვის ოდენობა. სპარსული წყაროების მიხედვით, რომაული კანონების საწინააღმდეგოდ, სასანიდებთან მიღებული იყო, რომ თუ ცოლი მოიტანდა 100 დინარს, ქმარს მოჰქონდა 50. ხანდახან ქმარს მოჰქონდა ცოლზე მეტი, ხან – სულაც არაფერი, ხან კი ცოლს არ მოჰქონდა არაფერი.[3] „სავარაუდოა, რომ ეს წესები ვრცელდებოდა სომხეთზეც, როგორც ირანული კულტურის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილზე", წერს ადონცი.[4] იმას რომ სომხეთში საცოლეს არ ჰქონდა მზითვი და ქმარი, ფაქტიურად, ჰყიდულობდა მას, აღიარებს გ. ხალატიანციც.[5]

---

[1] Дигесты Юстиниана, кн. 23, т. 3,2, გვ. 376.

[2] Nov. Jus. 97[539]. Липшиц Е., Законодательство и юриспруденция в Византии в IX-X вв., историко-юридические этюды, под редакцией В.И. Рутенбурга, Л., 1981, გვ. 56.

[3] Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, Ереван, 1971, გვ. 190; სირიულ-რომაული სამართლის ვერსია, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, მუხ. 45.

[4] Адонц Н., დასახ. ნაშრ., გვ. 190.

[5] Халатянц Г. А., Очерки и истории Армении в связи с общим ходом событий в передней азии, М., 1910, გვ. 328-329.

დასაშვებია, რომ ადრე შუა საუკუნეების საქართველოშიც ასე იყო. ანუ მზითვის გატანება ქალიშვილისათვის, უბრალოდ, აუცილებელი არ იყო და ეს საკითხი წყდებოდა ოჯახების უფროსების მოლაპარაკების გზით. მითუმეტეს, რომ 542 წ. გამოსულ იუსტინიანეს ნოველაში, რომელშიც იგი ბრძანებს, რომ მაღალი წოდების ადამიანებისათვის აუცილებელია ქორწინების ხელშეკრულების (მისი ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი კი მზითვის განსაზღვრა იყო) დადება, იგი წერს: ამ კანონის დაცვა არ ეთხოვებათ იმპერიის მორჩილ ბარბაროსებს, თუნდაც ისინი აღნიშნული წოდების წარმომადგენლები იყვნენ... მათ შეუძლიათ დაქორწინდნენ სურვილისამებრ მზითვიანი ხელშეკრულებით, ან უმისოდ, ორივე მხარის თანხმობით.[1]

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ შუშანიკს მართლა არ ჰქონია მზითვი; მაგრამ არა იმიტომ, რომ იმ პერიოდის ქართლში მზითვის ინსტიტუტი არ არსებობდა, არამედ იმიტომ, რომ ვარსქენისა და მამიკონიანების ოჯახების მოლაპარაკების შედეგად ასე გადაწყდა. თანაც, იუსტინიანე, რომელიც ბიზანტიის მოსახლეობისათვის მზითვით ქორწინების მომხრე იყო, „ბარბაროსებს" არ მისცემდა უმზითვოდ გათხოვების უფლებას, მათთან რომ ამის ძლიერი ტრადიცია არ ყოფილიყო.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია ამ პერიოდის სხვა საისტორიო წყარო, რომელიც ან ერთ მოსაზრებას დაუჭერდა მხარს და ან მეორეს. ვერც ქართლის ცხოვრების ის თხზულებები, რომლებიც ანტიკური პერიოდისა თუ ადრეული შუა საუკუნეების ისტორიას აღწერენ, ვერ გვაძლევენ პასუხს ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე. მაგალითად, ლეონტი მროველთან ქართველ მეფეთა მიერ ქალიშვილების გათხოვებისას მზითვის გატანების ფაქტი დამოწმებული არ არის. მხოლოდ და მხოლოდ ორჯერ არის ნახსენები სიძისათვის რაიმე ტერიტორიის ბოძება. მაგრამ ორჯერვე ეს საჩუქარი არის არა მზითვი, რომელიც მხოლოდ ქალის საკუთრება უნდა იყოს, არამედ სიძის საქართველოში ჩამოყვანისას (ჩასიძებისას) მისთვის საგამგებლო მიწების ბოძება. მაგალითად, საურმაგს არ ჰყავდა ვაჟი მემკვიდრე, მხოლოდ ორი ქალიშვილი. ამიტომ მან „მოიყვანა სპარსეთით შვილი ნებროთისი, ნათესავითგან ცოლისა მისისა, დედის დისწული, და დაიჭირა შვილად, რომელსა ერქუა სახელად მირვან. და მისცა

[1] Адонц Н., დასახ. ნაშრ., გვ. 187.

ასული თჳსი ცოლად, ქალაქი გაჩიანი და საერისთაო სამშვილდისა. და ერთი ასული მისცა ძესა ქუჯისსა, მამის დისწულსა თჳსსა".[1] როგორც ჩანს, გაჩიანისა და სამშვილდის საერისთაოს ტერიტორიები მირვანმა მიიღო არა როგორც ცოლის მზითვი, არამედ როგორც მომავალმა ტახტის მემკვიდრემ. სხვა შემთხვევაში საურმაგი მეორე ქალიშვილსაც მისცემდა რაიმე ქონებას მზითვში.

დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა მოგვიანებით მირიანის (ქართლის გამაქრისტიანებლის) მეფობის დროს. მან „მოიყვანა სპარსეთით თჳსი მისი, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ. და მან მოიტანა თანა სპა დიდი. და მისცა მას ფეროზს მირიან ასული თჳსი ცოლად და მისცა ქუეყანა ხუნანითგან ბარდავამდე, მტკუარსა ორივე კერძო და დაადგინა იგი ერისთავად მუნ".[2] აქაც, როგორც ვხედავთ, ჩასიძებას აქვს ადგილი. ხოლო რაც შეეხება ფეროზის საგამგებლო ტერიტორიას, იგი მირიანის სიკვდილის შემდეგ პოლიტიკური მიზნებით იქნა გამოყენებული: ქართლის მეფე ბაქარი, რომლის ტახტიდან ჩამოგდება და მისი ძმის შვილის გამეფება სურდათ სომხებს „დაემოყურა და გაუცვალა ქუეყანა დისიძესა მისსა ფეროზს, რომელსა აქუნდა რანი ბარდავამდის მიცემული მირიანისგან, და მისცა მის წილ სამშჳლდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა. მაშინღა ნათელ-იღო ფეროზ და ერმან მისმან და მოირთეს ძალი ხუასროთაგან და ეწყუნეს სომეხთა ჯავახეთს: სძლიეს და აოტნეს სომეხნი".[3] ეს ტერიტორია რომ ქალისათვის მზითვის სახით ყოფილიყო მიცემული, ასეთი გაცვლის საგანი ვერ გახდებოდა, ვინაიდან მზითვი ქალის ან მისი შვილის საკუთრებად ითვლებოდა; რაც ნათლად ჩანს შუა საუკუნეების ყველა სამართლის ძეგლსა თუ ამ პერიოდის ავტორთა თხზულებებში.

ქართლის ცხოვრებაში ტერმინი „ზითვი" პირველად გვხვდება მეფე არჩილის ძის დაოჯახებასთან დაკავშირებით: არჩილმა „წარგზავნა მოციქული ბარზაბოდისსა, და ითხოვა ასული მისი ცოლად ძისა თჳსსა. ხოლო ბარზაბოდ განიხარა სიხარულითა დიდითა... და მოსცა მან ასული ზითვითა დიდითა".[4] ჯუანშერის მოღვაწეობის პერიოდი რომ საბოლოოდ დადგენილი იყოს (ნაწილი ისტორიკოსე-

---

[1] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, გვ. 27.
[2] იქვე, გვ. 68-69.
[3] ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, გვ. 130-131.
[4] ჯუანშერი, გვ. 142.

ბისა მას VIII-IX სს. ავტორად მიიჩნევს, ნაწილი — XI-XII სს.). ეს ციტატა საინტერესო მასალას მოგვცემდა ჯუანშერის თხზულების წარმოშობის პერიოდის გასარკვევად [illegible] ჯერ კიდევ ღიად რჩება, ეს საკითხიც [illegible]. ზუსტად დათარიღებული ძეგლებიდან, რომლებშიც სიტყვა „მზითვი" გვხვდება, ჯერ-ჯერობით ყველაზე ძველია IX საუკუნის „დაბადების" ქართული თარგმანი.

ჯუანშერის თხზულებაში კი აღსანიშნავია კიდევ ერთი რამ. ავტორი მზითვს ასახელებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სპარსელი ქალი თხოვდება საქართველოში: ბარზაბოდის ასული მიჰყვება არჩილის ძეს, ხოსროს ასული ბალენდუხტი — ვახტანგს და „სპარსთა მეფემან... მოსცა სომხითი და ყოველნი მეფენი კავკასიანნი ზითვად".[1] ხოლო, რაც შეეხება ვახტანგის დების გათხოვების ამბავს, რომელიც საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი, მზითვი საერთოდ არ იხსენიება. პირიქით, სიძემ „შემდგომ ქორწილისა მისცა ნიჭი დიდძალი დედასა და დასა ვახტანგისსა".[2] ვახტანგის მიერ მეორე ცოლის — ელენეს, საბერძნეთის მეფის ასულის მოყვანისას „მეფემან მისცა ნიჭი დიდძალი".[3] თუ რა იგულისხმებოდა ამაში, სხვა ადგილიდან ჩანს: სიკვდილის წინ ვახტანგმა თავის მემკვიდრეს, დაჩის, რომელიც პირველი ცოლისაგან ჰყავდა, დაუბარა: „შენ ხარ პირმშო შვილი ჩემი. შენდა მიმიცემია გჳრგჳნი მეფობისა ჩემისა, და ნაწილად ძმათა შენთა (იგულისხმებიან ელენესგან შეძენილი ვაჟები) მიმიცემია ტასისკარითგან და წუნდითგან ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე, საზღვარი აფხაზეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრისწყალსა და კლისურასა შუა. იგი თჳთ ძმათა შენთა დედისა არს, იგი აქუნდეს მათ, და იყვნენ შენდა ერისთავად მორჩილებასა ქუეშე ნათესავისა შენისასა".[4] ეს ტერიტორიები, როგორც ჩანს, ელენეს მზითვად ჰქონდა მოყოლილი, თორემ სხვა შემთხვევაში მის საკუთრებად ვერ ჩაითვლებოდა. ამასვე მოწმობს შემდეგი ფაქტიც: ვახტანგის სიკვდილის შემდეგ დაჩიმ ერთ-ერთ ძმას, მირდატს, „გაუცვალა ქუეყანა, და აღიღო მირდატისაგან ეგრისწყალსა და კლისურასა შუა, მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა, და მისცა ნაცვლად

[1] ჯუანშერი, გვ. 158.
[2] იქვე, გვ. 187.
[3] იქვე, გვ. 198.
[4] იქვე, გვ. 203-204.

ჯავახეთი ფარავნით მტკურამდე“.[1] როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, „დედული“ იმ ქონებას ერქვა, რომელიც შვილებს დედისგან დარჩებოდათ ხოლმე. ამ ქონებას ქალს მამის სახლიდანატანდნენ და „ზითევი“ ეწოდებოდა.[2] ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას კი თავის მხრივ ამტკიცებს შიომღვიმის მონასტრის 1260-1270 წწ. სიგელი: „შენ, ზოსიმეს, დედულსა, ზითვად მოცემულსა ზედა სტეფანეთ მამულისაგან, რომელ სამსახური არაჲ ზედა-აც, მისსა ნაცვლად სტეფანეს ძე გარდაიქდის... ჰაგრე მოცემული არს ესე მიწაჲ ზითვად. ამას მიწასა დედისა შენისა ზითევსა ზედა შენ, ზოსიმე და შენმან განმზრდელმან სახლკარი ააშენეთ და მოკიდებით ვენახი კარგი“.[3] იმას, რომ „მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა“ ნამდვილად ელენეს მზითვი იყო, პირდაპირ წერს ვახუშტი ბატონიშვილიც: ლეონ კეისარმა „ამზითვა... ცოლსა ვახტანგისსა ეგრის მდინარის იქითი“.[4]

თუ IV-V სს. საქართველოში მზითვის ინსტიტუტი ან არ იყო, ან ნაკლებად იყო განვითარებული, VIII-IX სს-ში იგი უდავოდ არსებობდა. როგორც ჩანს, V-VIII საუკუნეებში ქართლის საზოგადოება შედარებით სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. ყოველ შემთხვევაში, VIII-X საუკუნეების საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი პროგრესი. მართლაც, ბასილი ზარზმელის თხზულებაში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელიც IX-X საუკუნეების სამცხის სოციალური ურთიერთობის სურათს გვიხატავს, მოჩანს განვითარებული ფეოდალური საზოგადოება.[5]

ჩვენი პრობლემისათვის საინტერესოა თხზულების კიდევ ერთი ეპიზოდი: გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრეებს — მის დისშვილებსა და უახლოეს ნათესავებს შორის ატყდა მამულისათვის დავა, რომელსაც საბედისწერო შედეგიც მოყვა: „იქმნა უწესოდ ამბოხი, რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დისიძე თჳსი, რამეთუ მძლავრებით ეტყოდა, ვი-

---

[1] ჯუანშერი, გვ. 205.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, გვ. 27.

[3] დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ზოსიმეს ტოხაჲსძისადმი სამწირველოს ბოძების შესახებ, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 165.

[4] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 795-7.

[5] ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975.

თარმედ: ნაწილ უც მამულსა თანა თქუენსა დასა ამას თქუენსა, ვინაჲთგან თქუენცა დედისა მიერ გაქუს, რომლისათჳსცა გამრავლდეს სიტყჳს-გებანი ურთიერთას. და ესრეთ მოკლა დისიძე თჳსი".[1] როგორც ვხედავთ, გიორგი ჩორჩანელის მიერ დატოვებული მამულის ნაწილზე პრეტენზია განუცხადებია სულას, ბეშქენისა და ლაკლაკის (გიორგის დის შვილები) დის ქმარს. იგი ცოლის ძმებსა და მათ დას მამულზე თანაბარი უფლებების მქონე მემკვიდრეებად მიიჩნევს.

ამგვარად, ტრაგედია დატრიალდა მემკვიდრეობაში ქალის უფლებების დადგენის მიზნით. თხზულებაში აღწერილი ამბების მიხედვით, ძნელია ერთაზროვანი პასუხის გაცემა კითხვაზე: ჰქონდა თუ არა ქალს წილი მემკვიდრეობაში? თვითონ გიორგის თავის მემკვიდრეებად მამრობითი სქესის ნათესავები ჰყავდა დასახელებული: ბეშქენი, სულა და ლაკლაკი. ამავე დროს, მათი სიძის არგუმენტი იყო, რომ მათაც დედის მხრიდან ერგოთ მემკვიდრეობა (გიორგი მათი დედის ძმა იყო).

იმისათვის რომ უკეთესად გავერკვეთ ამ საკითხში — ჰქონდა თუ არა VIII ს-ში ქალს სამემკვიდრეო წილის უფლება, უნდა მოვიშველიოთ სხვა წყაროებიც. ესენია ქართლის ცხოვრებაში დაცული „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" ბოლო ნაწილი, რომელშიც VIII ს-ის ამბებია აღწერილი და კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები X ს-ის საქართველოს ისტორიის შესახებ.

ჯუანშერთან მამაკაცი მემკვიდრეების არყოლის გამო მიჰრი უანდერძებს ძმას, არჩილს, თავისი მამულების „საუხუცესო" წილს, „ხოლო კლარჯეთი და შუა მთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა, რათა მუნ შინა იყვნენ ჟამთა ამათ ბოროტთა".[2] ამგვარად, მეფე მიჰრის სიკვდილის შემდეგ ტახტი და მამულების ნახევარი დარჩა მის ძმას, მეორე ნახევარი კი განაწილდა შვიდ ქალიშვილზე. ე. ი. VIII საუკუნეში მიჰრის ქალიშვილებს მართალია ნაკლები, მაგრამ რაღაც წილი მაინც შეხვდათ მამის ქონებიდან. თანაც, ეს წილი მიიღეს გათხოვებისას, ალბათ, მზითვის სახით.

რაც შეეხება კონსტანტინე პორფიროგენეტთან დაცულ ცნობებს, გვინდა მოვიყვანოთ ერთი ეპიზოდი, სადაც აღწერილია ბრძოლა მემკვიდრეობისათვის: ...ხოლო როდესაც გურგენ მაგისტროსის მიწა-

---

[1] ბასილი ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. 1, გვ. 340.

[2] ჯუანშერი, გვ. 240.

წყალს ინაწილებდნენ იარაღის საშუალებით აშოტ კურაპალატი, აფხაზეთის მთავარი გიორგი მაგისტროსი და ბაგრატ მაგისტროსი, ზემოხსენებული კურაპალატის ძმა, ისინი მორიგდნენ და თითოეულმა წაიღო თავისი სამკვიდროს მეზობელი ქვეყანა. ადრანუჯი ახლოს მდებარეობდა ზემოხსენებული დავითის ძის სუმბატისათვის. მაშინ შეიპყრეს გურგენ მაგისტროსის მეუღლე, ე. ი. აშოტ პატრიკიოსის, კისკასის, ქალიშვილი და უთხრეს: „შენ ქალი ხარ და არ შეგიძლია გეპყრას ციხე". მაშინ სუმბატმა ციხის მაგიერ მისცა ქალს სხვა მიწები და ხელთ იგდო ეს ციხე ადრანუჯი.[1]

ამ ეპიზოდის მიხედვით X საუკუნეში ქალს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს მამის მემკვიდრეობაში. მაგრამ, თუ პრეტენდენტი გაუჩნდა, მას შეიძლება შეეცილონ მაგ. ციხის მფლობელობაში იმ მოტივით, რომ ქალს არ შეუძლია ეპყრას ციხე.

მაშასადამე, ადრე შუა საუკუნეების წყაროების მიხედვით მზითვის ინსტიტუტის ჩამოყალიბება-განვითარებაში შეიძლება შემდეგი ეტაპები გამოვყოთ: 1. V სს. – მზითვის ინსტიტუტი საქართველოში, ალბათ, არ არსებობს; 2. VI-VII სს. – გარდამავალი პერიოდი, როდესაც ხდება ამ ინსტიტუტის ფორმირება; და 3. VIII-X სს. – მზითვის ინსტიტუტის ადრეული სახე, როდესაც ქალებს გათხოვებისას ოჯახის ქონებიდან წილი ეძლევათ; მაგრამ ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის, თუ რისი ფლობა შეუძლიათ მათ და რისი არა. ამის გამო, თუ ქალის მზითვის რომელიმე შემადგენელ კომპონენტს მამაკაცი პრეტენდენტები გაუჩნდებოდა, ეს ორთაბრძოლა, ძირითადად, ქალის დამარცხებით მთავრდებოდა.

კონსტანტინე პორფიროგენეტთან და გიორგი მერჩულესთან დაცული ცნობების გარდა ამასვე მოწმობს ჟამთააღმწერელიც: როდესაც მოხდა კონფლიქტი ლაშა-გიორგისა და რუსუდანის ძეებს შორის გამეფებასთან დაკავშირებით, დავით „ულუს" მომხრეთა არგუმენტი იყო, რომ „ნარინი" ქალის შვილია და ამიტომ არ უნდა გამეფდეს. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდამდე საქართველოს სამეფო ტახტზე უკვე ორჯერ იჯდა ქალი, დავის ატეხვის შემთხვევაში „ქალობის" არგუმენტი მაინც ამოტივტივდა. ეს მიზეზი, ალბათ, ჩვეულებითი სამართლის ნორმებიდან იყო მოშველიებული.

---

[1] გეორგიკა, ტ IV, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952, გვ. 274-277.

აქვეა აღსანიშნავი, რომ თავდაპირველად ქალებს მზითვში, ალბათ, მოძრავ ქონებას ატანდნენ. მხოლოდ მოგვიანებით უნდა შემოსულიყო უძრავი ქონებით ქალის გამზითვების ტრადიცია. მაგრამ როდის შემოდის ეს წესად, ამის დადგენა ძნელია; ყოველ შემთხვევაში, როგორც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან" ჩანს, VIII-IX საუკუნეებში უძრავი ქონება მზითვში უკვე ფიგურირებს. მას, როგორც ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია, ქრისტიანობის ეპოქაში გაჩენილ „მონაგებთან" ერთად „დედული" უნდა რქმეოდა.[1]

კლასიკური გაგებით მზითვი რომ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის პროდუქტია, ჯერ მარტო მისი შინაარსიდან ჩანს — ეს არის ქალის ნაწილი საოჯახო ქონებაში. ამიტომ, გვაროვნული წყობილების დროს, როდესაც საკუთრების მფლობელი კერძო პირი ანუ ცალკე სახლი კი არ არის, არამედ მთელი საგვარეულოა, მზითვი, იგივე „დედული", რა თქმა უნდა ვერ იარსებებდა. იგი უნდა გაჩენილიყო მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაირღვა გვაროვნული წყობილება, სახლობამ დამოუკიდებელი არსებობის უფლება მოიპოვა და კერძო საცოლქმრო საკუთრებაც ჩამოყალიბდა. საინტერესოა, თუ როდის დაიწყო ეს პროცესი, ანუ როდის ხდება მიწის კერძო საკუთრებაში გადასვლა? ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ასეთია: აღმოსავლეთ საქართველოში პირველ საუკუნეებში ქრისტეს შემდგომ მიწის კერძო საკუთრება არ არსებობდა. მთელი უძრავი ქონება საგვარეულოს ერთობლივსა და დაუნაწილებელ საკუთრებას შეადგენდა. ამ ქონების გამგედ გვარის უფროსი წევრი, მამასახლისი იყო. ხოლო უკვე V საუკუნეში, როგორც „შუშანიკის წამებიდან" ჩანს, ძმებს ცალ-ცალკე უცხოვრიათ, ე. ი. ამ დროს საგვარეულო მიწათმფლობელობა შერყეული და დარღვეული უნდა იყოს. VIII-IX სს-ში კი კერძო საკუთრება უკვე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა და უძრავ-მოძრავ ქონებას შეიცავდა.[2]

მართლაც, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, წარმართული ტაძრების ქონების ლიკვიდაციას და მათი მიწების სამეფო ფონდში გადასვლას უნდა დაეჩქარებინა ფეოდალური საკუთრების ფორმების ჩამოყალიბების პროცესი. დაიწყო ამ მიწების ინტენსიური გაცემა სამხედრო-მსახურეულ წოდებაზე პირობით

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, გვ. 271.
[2] იქვე, გვ. 270.

მფლობელობაში. ნელ-ნელა ცენტრალურ ხელისუფლებასა და წარჩინებულთა შორის დამოკიდებულების საფუძვლად უმთავრესად მიწა იქცა. მიღებული მიწა არ იყო ფეოდალის სრული საკუთრება, ის მას პირობით, დროებით ეძლეოდა. მაგრამ ეს უკანასკნელი, ხშირ შემთხვევაში, ფაქტიურად, მის მემკვიდრეობით საკუთრებაში გადადიოდა.[1] „აგარაკი" და „მამული" იყო კერძო მიწათმფლობელობის ორი კერძო კატეგორია, რომელიც IV-V სს-ში უკვე ფეოდალური საადგილმამულო საკუთრების ძირითად ობიექტებს აღნიშნავდა.[2]

წყისეს ქვა-ჯვრის წარწერა, რომელსაც აკაკი შანიძე 616-619 წწ. ათარიღებს, გვაუწყებს: „ესე ჯუარი ქრისტესი მე, კონსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან ალჰუმართე, სახელსა მცხეთისა ჯუარისასა, ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა... სალოცველად ჩუენდა, ცოლისა და შვილთა".[3] ეს არის მიწის ნასყიდობის ერთ-ერთი უძველესი ძეგლი საქართველოში. ხოლო თავისთავად ცხადია, რომ მიწის ნასყიდობის ინსტიტუტი ვერ შემუშავდებოდა მიწაზე საკუთრების პრინციპის ფართოდ გავრცელების, ანდა, წვრილი თუ მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარების გარეშე.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ კლასიკური მზითვის ჩამოყალიბება, რომელიც მოძრავ ქონებასთან ერთად უძრავსაც — მიწას მოიცავდა, დაიწყო V-VI საუკუნეებში, მას შემდეგ, რაც ჩნდება მიწაზე კერძო საკუთრება და ორ-სამ საუკუნეში უკვე ჩვეული მოვლენაა.

ის რომ IX საუკუნეში ქალს ნამდვილად ჰქონდა მშობლების უძრავ-მოძრავი ქონების დაპატრონების ან წილის მიღების უფლება, ჩანს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ერთი ეპიზოდიდანაც: „ზენონ შვილი იყო საჩინოჲსა ვისიმე კაცისაჲ სამცხეს... და ვითარცა აღესრულნეს მშობელნი მისნი, მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა, რომელიც იყო სახლსა შინა მის თანა. და ზენონ გულს-ეტყოდა, რაჲთამცა მამული და დედული მონაგები დასა

---

[1] ა. ბოგვერაძე. ეკონომიკური და სოციალური ვითარება IV-V სს. აღმოსავლეთ საქართველოში, ადრეფეოდალურ სოც-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაბატონება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, საქართველო IV-X სს., რედ. შ. მესხია, თბ., 1973, გვ. 111-118.

[2] ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, 1, თბ., 1949, გვ. 282.

[3] აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის ქრესტომათია, ტფ., 1935, გვ. 25.

თჳსსა დაუტევა ნებისაებრ მისისა".[1] როგორც ამ ნაწყვეტიდან ჩანს, ქალი ხდება მთელი საოჯახო ქონების პატრონი. ცხადია, გათხოვების შემთხვევაში ზენონის და ამ ქონებას თან წაიღებდა. ეს კი მისცემდა საშუალებას, რომ ახალ ოჯახში მისი სტატუსი და უფლებები უფრო მყარი და მაღალი ყოფილიყო სხვა, ნაკლებმზითვიან ქალებთან შედარებით. ე.ი. მზითვი ოჯახში ქალის უფლებების ერთგვარი გარანტი იყო. რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო მისი წილი ოჯახის საერთო ქონებაში, მით უფრო მეტი „ხმა" ექნებოდა მის პატრონს და პირიქით.

ოჯახის ქონებაში მზითვის მაღალი ხვედრითი წილის გამო ქალის მიერ თავისი უფლებების გამოყენების მცდელობა ჩანს XII ს-ის ბიზანტიელი პოეტის თეოდორე პროდრომის ერთ-ერთი მიმდევრის მიერ დახატულ სცენაში: პროდრომის ცოლი საყვედურობს მეუღლეს, რომ თორმეტი წლის ცოლ-ქმრობის მანძილზე ამ უკანასკნელს არც ერთი ბეჭედი, სამაჯური თუ რაიმე სამკაული არ უჩუქებია მისთვის; რომ ის იძულებულია ძველმანებში იაროს, ხიტონსაც კი თვითონ იკერავს. ქუჩაში გამოსასვლელად ტანსაცმელი არა აქვს. აბანოში სიარულიც სცხვენია — იმდენად ღარიბულად აცვია. ქმარს კი, რომელიც ძველმანებში გამოწყობილ მათხოვარს ჰგავს, მოსამსახურესავით ემსახურება. იყო დრო, როდესაც მას (ქმარს) თივაზე ეძინა, თვითონ (ქალს) კი — ბუმბულზე. ქმარი ეხლაც მის ხარჯზე ცხოვრობს: აჭმევს ცოლი — კიდევ კარგი, რომ ბლომად მზითვი მოყვა, ქმარი კი მთელი დღე უსაქმურად ზის და ელოდება სადილს. „არ შეგეძლო ოჯახის შენახვა, არ უნდა მოგეყვანა ცოლი, ხოლო რახან მაინც მოიყვანე, გაჩუმდი და დამიჯერე".[2]

ეს სცენა, ალბათ, მარტო ბიზანტიური ოჯახისათვის არ იქნებოდა დამახასიათებელი. მსგავსი რამ საქართველოშიც შეიძლებოდა მომხდარიყო. ამას მოწმობს უფრო გვიანდელი პერიოდის, 1454-1463 წლებით დათარიღებული საბუთი: „პირველისა ცოლთანა, მოგვითხრობს გამრეკელ-ჯავახიშვილი, შუიდნი შვილნი შედგეს... და მათ სიკუდილობა გამოევლო და გულსურაბ უშვილო იყო და

---

[1] გიორგი მერჩულე, ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. 1, გვ. 263.

[2] Поляковская М.А., Чекалова А.А., Византия; быт и нравы, изд. Уральского Университета, 1989, გვ. 157; Культура Византии, Вторая половина VII-XII вв., отв. Редакторы Удальцова З.В., Литаврин Г. Г., М., 1989, გვ. 594.

მისთვის შევირთე. ასრე ვთქუი, ვითა: ჩემნი შვილნი ასრე უყუარდებიან, ვითამც მისნი შვილნი არიან და, თუ შვილთა მშობელსა დედაკაცსა შევირთავ, ჩემნი პირველნი შვილნი და უკანანი ველარ შეეწყობიან და მისთვის შევირთე გულსურაბ. ოთხს წელიწადს დია კარგა მომეპყრო, როგორც ცოლქმრობისა წესი არის. მას უკანით მომიძულვა მე და დედა-მამანი, ჩემნი შვილნი და აღარა მაამა რა. ციხეს ვმუშაობდი და ნამუშავები სადგომს ჩამოვე; მარხვა დღე იყო და ცოტაოდენი შემწვარი კალმახა მომივიდა. დავსხედით ჭამად და ორი კალმახა გულსურაბს მივართვი და ორი კალმახა ჩემთა შვილთა. გულსურაბ ამაზედა ესე თქუა, ვითა: ესე ორი კალმახა ვის ეკადრებისო? ადგა ჭამიდალმა გამომწყრალი და დამაგდო. ტყეშიგან ქოხნი აიგნა და ოცსა დღესა მუნ იყო. მივიდა დედაჩემი და შეეხუწა, ვითა ნუც ჩემსა შვილსა უზამ და ნუც შენსა თავსა. არც მას დაუჯერა. მივე მე და ჩემნი შვილნი და კიდევ შევეხუეწენით და არც არა ჩუენ დაგვიჯერა მალე. მეოცესა დღესა მოვიყვანეთ".[1]

განვითარებულ შუა საუკუნეებში მზითვი უკვე სამართლის ძეგლებშიც გვხვდება. როგორც ჩანს, X-XI საუკუნეებში მზითვის ინსტიტუტი იმდენად მყარი და სრულყოფილი გახდა, რომ საჭირო შეიქმნა მისი მფლობელობის და მემკვიდრეობაში გადაცემის კანონით განსაზღვრა. ჩვენთვის ცნობილ ჯერ-ჯერობით უძველეს ქართულ სამართლის ძეგლში „ბაგრატ კურაპალატის სამართალი"[2] ეხება რა ქალის დატოვებას ავადმყოფობის ნიადაგზე, კანონმდებელი წერს: „თუ ცოლი დასნეულდეს, ქმარი ცოლსა გუარსა არას ემართლების, მისთვის რომე მისა სახლსა შიგან დამართენია. თუ გაეყაროს, შეფიცოს ნაბნითა, რომე სიძულვილითა არა გაყროდეს და ნახევარი სისხლი დაუურვოს და დედაკაცი ზითევს ნუ ითხოვს თუ შვილი დარჩეს".[3]

ამ პერიოდიდან მოყოლებული ქალებს ქონებრივი ურთიერთობის სფეროში ვხედავთ როგორც სრულუფლებიან სუბიექტებს. XI

---

[1] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1, ტფ., 1937, გვ. 47.

[2] სამართლის შემდგენელის ვინაობა და შედგენის დრო საბოლოოდ გარკვეული არ არის. სხვადასხვა ავტორების აზრით, ბაგრატ კურაპალატი უნდა იყოს: ბაგრატ I კურაპალატი ან ბაგრატ III (975-1014). (ივ. ჯავახიშვილი), ალექსანდრე I დიდის (1412-1442) ძმა ბაგრატი (ს. კაკაბაძე), ბაგრატ III ან ბაგრატ IV (ი. დოლიძე), ბაგრატ I (ა. კიკვიძე).

[3] სამართალი ბაგრატ კურაპალატისა, მუხ. 140.

საუკუნის ძეგლი, ნიკორწმინდის დაწერილი, ორჯერ იხსენიებს ქალს, რომელიც თავის ქონებას ასხვისებს: „ოკრიბას ჯუარისას ვიყიდე ნასრაჲსა ასულისაგან გლეხი, რომელი მიეცა მისდა წირქუალელის ძესა, მამამთილსა მისსა, ჴელწერით უკუე და მისთჳს მივეც ფასად ცხენი: ა: დრაჰკანი დუკატი: ზ: და ფური: ბ: და მოწამე არიან კაცნი".[1] ე. ი. ქალი ყიდის გლეხს, რომელიც მისთვის მამამთილს მიუცია ხელწერილით. მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელის შეწირულების დაწერილში რკონის მონასტრისადმი (1259 წ.) ვკითხულობთ: „და ვიყიდე ხოვლე ხოჯა სალამის ცოლისა და შვილისაგან ნახევარი".[2]

ქალი რომ თავის მოუდევარ ქონებას მონასტერს სწირავდა, ამის შესახებ მრავალ დოკუმენტს მოუღწევია ჩვენამდე მომდევნო საუკუნეებიდანაც.[3] ხოლო გვიან შუა საუკუნეების „საჩივრის ნუსხის" სახელით ცნობილ საბუთებში მრავლადაა მასალა მამაკაცების საჩივრებისა ქალების მიმართ. მათი უმრავლესობა თანხაზეა, დანარჩენი კი თამასუქზე, ცხენის ფასზე, ღილის ფასზე, სახლზე, ვერცხლის თასზე, ხორბალზე, მარგალიტზე, მამულზე, ყმაზე და სხვ. უხვადაა მასალა აგრეთვე ქალის საჩივრებისა მამაკაცთა მიმართ. ვხვდებით ქალის საჩივრებს ქალის მიმართ თანხაზე, გირაოზე, ხორბალზე და ოქროზე. ე. ი. ამ დროისათვის (XVIII ს.) ძალაში აღარ არის ვახტანგ VI სამართლის 216-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია: „თუ დედაკაცი დედაკაცისაგან ჩიოდეს, მდივანში ხელი არა აქვს, მოთემემ უნდა გაურიგოს". ამ პერიოდისათვის ქალი სრულუფლებიანი მხარეა უკვე სასამართლო პროცესზეც კი.[4]

ქალის საკუთრების უდიდეს ნაწილს მზითვი შეადგენდა, რომელიც მისი მშობლების შესაძლებლობის მიხედვით მოიცავდა უძრავ-მოძრავ ქონებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მზითვში უძრავი ქონება ფიგურირებს VIII-IX საუკუნეებიდან და ამ დროიდან მოყოლებული სულ უფრო ხშირად გვხვდება. მაგალითად, ჟამთააღმწერელთან დაცულია

[1] ნ. ბერძენიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი", მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 37.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, გვ. 58.

[3] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, XI-XVIII სს., თბ., 1962, გვ. 190, 92, 99, 173; თ. ჟორდანია, ქრონიკები და მასალა..., წ. 2, გვ. 170.

[4] თ. ენუქიძე, მასალები ქართლის სამეფოს სამდივანბეგო სასამართლოს ისტორიისათვის, წგნ: XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964.

ცნობა, რომ რუსუდანის ქალიშვილს თამარს მზითვში აწყვერი გაატანეს.[1] მიწა, როგორც მზითვი დადასტურებულია აღმაშენებლის მიერ არიშიანთადმი ბოძებულ წყალობის წიგნში,[2] შიომღვიმის მონასტრის XIII ს-ის სიგელში,[3] გრიგოლ ბაკურიანის ტიპიკონში. ეს უკანასკნელი საინტერესოა კიდევ იმით, რომ მასში დაცული ინფორმაციით, ქალის გამზითვება ოჯახს აჩანაგებს და ძმებს ქონების გარეშე ტოვებს: „რამეთუ ნეტარი მამაჲ ჩუენი ვინაჲთგან ადრე მიიცვალა და ჩუენ მცირენი დაგჳტევნა და ჰასაკად ვერ მოწიფულნი, ამისთჳს ყოველი მონაგები და საქმარი მამისა ჩუენისაჲ დედამან ჩუენმან დედობრივსა ჭირვეულობასა მიხედვით სხუათა მათ შუილთა თჳსთა დათა ჩვენთა ზითვად მისცა და ჩუენ შიშუელნი დაგჳტევნა ყოვლისაგან მამულისა და დედულისაგანცა საქმარისა“.[4]

მზითვი ქალის საკუთრებად ითვლებოდა. თვით სახელმწიფო ხელისუფლებაც თავს იკავებდა ქალის ამ უფლების შელახვისაგან. ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 29-ე მუხლის მიხედვით, ქმარს უფლება აქვს ცოლს გაეყაროს, მაგრამ მზითვს ამ შემთხვევაში ვერ წაართმევს: „თუ კაცმან ცოლი დააგდოს, ნახევარი სისხლი მისცეს და მისი ზითევი მთლიანად. თუ ბოზობისათვის დააგდოს, მისი ზითევი მაშინ მისცეს. თუ დიაცი ბოზია, ზითევიც ბოზია“.[5] აქვეა განსაზღვრული მზითვის ობიექტებიც. მოძრავი ქონება, რომელიც ქალს მზითვის სახით ჰქონდა მშობლების სახლიდან წამოღებული, მისი უპირობო, სრული საკუთრება იყო. რაც შეეხება უძრავ ქონებას, აქ წესი განსხვავებული იყო: თუ ცოლი ქმარს „მისი ნებითა და წადილით“ დატოვებდა და ხელახლა გათხოვდებოდა, ყოფილი ქმრის ოჯახში მზითვად მიტანილი უძრავი ქონება ქალის მშობლების განკარგულებაში გადადიოდა და მათზე იყო დამოკიდებული მისი ბედი.[6] მაშასადამე, მშობლებთან მიმართებით, „სამამულო მზითევი“ არცთუ სავსებით უპირობო საკუთრება იყო იმ შემთხვევაში, თუ ქალი რაიმე საოჯახო ხასიათის დანაშაულს ჩაიდენდა.

---

1 ჟამთააღმწერელი, გვ. 172.

2 ი. ცინცაძე, დავით მეფის სიგელი, საქ. არქივი, 1927, II, გვ. 16

3 დაწერილი შიომღვიმის კრებულისა... გვ. 165.

4 პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, თავი 18, პარ. 8, ა.კ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია, თბ., 1971, გვ. 101.

5 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, მუხ. 29.

6 იქვე, მუხ. 46.

მოვლენათა ნორმალური მსვლელობის დროს კი ქალი სრული მესაკუთრე იყო უძრავი ქონების სახით მიღებული მზითვისა.

როგორც ჩანს, ასეთი დამოკიდებულება „სამამულო მზითვის" მიმართ გრძელდებოდა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, ვინაიდან ვახტანგ VI სამართლის წიგნის 84-ე მუხლიც იგივეს იმეორებს: „თუ კაცმან ცოლი წაგვაროს კაცსა, ასე რომ დედაკაცი მისი ნებით გაყვეს... თუ რამ სამამულე მზითევი დარჩომოდეს, თუ პირველს ქმართან შვილი დარჩომოდეს, მისი არის და თუ არა, ...ის მამული იმ ქალის სამშობლოსი არის".[1]

ქალის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ოჯახში საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ალბუღას სამართლის წიგნის 81-ე მუხლი, სადაც ნათქვამია: „თუ დედაკაცი მოკუდეს უშვილოდ, ზითევი მისსა სამშობლოსა მართებს დაუკლებლად".[2] მსგავსი რამ წერია ჯერ კიდევ VI ს-ის იუსტინიანეს დიგესტებში: „გარდაცვლილი ქალიშვილის მამას გაეწიოს დახმარება იმით, რომ დაუბრუნდეს ადრე გაცემული მზითვი, რათა მან არ იგრძნოს ერთდროულად შვილისა და ფულის დაკარგვა".[3]

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, განვითარებულ შუა საუკუნეების საქართველოში მეუღლეთა ქონება ერთმანეთის განკერძოებით არსებობს. ვინაიდან, ცოლ-ქმრის ქონება რომ გათქვეფილიყო ერთიმეორეში, შეუძლებელია, რომ იგი ისევ თავისი პირვანდელი სახით, მაგ. ქვრივს „დაუკლებლად" თან გაჰყოლოდა,[4] ან უშვილოდ გარდაცვლილი ქალის მშობლებს ასევე „დაუკლებლად" თან წაეღოთ.[5] ამასვე მოწმობენ შუა საუკუნეების სამართლის ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ ცოლ-ქმარს შორის ჩუქების ფაქტებს.[6]

მეუღლეთა ქონებრივი განკერძოებულობა შუა საუკუნეების სინამდვილეში რიგი ქვეყნებისათვის უცხო არ ყოფილა. მაგალითად, ამავე პერიოდის ჩეხეთის სამართალი პრინციპში ცნობს ცოლის

---

[1] სამართალი ვახტანგ VI, მუხ. 84.

[2] სამართალი ალბუღასი, მუხ. 81.

[3] Дигесты Юстиниана, кн., 23, т. 3,6, გვ. 377.

[4] ალბუღა ამირსპასალარის სამართალი, მუხ. 81.

[5] იქვე, მუხ. 81.

[6] საქართველოს ჩვეულებითი სჯული, მუხ. 52, 15; ვახტანგ VI-ის სომხური სამართლის მუხლები 61, 63, 65; იოანე ბაგრატიონის სჯულდება, მუხ. 30; სამართალი ბატონიშვილის დავითისა, მუხ. 76; ბერძნული სამართალი, მუხ. 184.

ქონებრივ განკერძოებულობას.[1] ანალოგიური მდგომარეობაა საფრანგეთის სამხრეთ ნაწილსა[2] და რუსეთშიც.[3] რაც შეეხება პოლონეთს, ინგლისს და საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილს, აქ, პირიქით, ქმრის გარეშე ცოლი საკუთარ ქონებას (მზითვს) ვერ განკარგავდა.[4]

ყოველივე ამის ფონზე მეტად უცნაურად გამოიყურება გიორგი ფრანძესისა და არქანჯელო ლამბერტის ცნობები შუა საუკუნეების საქართველოში მზითვის ინსტიტუტის შესახებ. ფრანძესი (XV ს.) — ბიზანტიის უკანასკნელი კეისრის — კონსტანტინეს ელჩი საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის ასულის ხელის სათხოვნელად იყო ჩამოსული. გიორგის მისთვის განუცხადებია: „რაკი ჩვენი ქვეყნის ზნე-ჩვეულებებისამებრ საქმროს მოაქვს ქონება საცოლისათვის და არა საცოლეს, ამიტომ მე ჩემს ასულს მზითვს არ გამოვატან. მაგრამ, იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ქორწინების გულით მოწადინებული ვარ, თანახმა ვარ ჩემს ასულს კონსტანტინეპოლში გასტუმრების დროს თან საჩუქრის სახით ერთდროულად 56000 ოქროს ფული გავატანო და ამას გარდა 3 000 ოქროს ფული ყოველწლიურად სარგოდ ვაძლიო ხოლმე. მას, ამასთანავე, ნებას მივცემ, ყველა თავისი ძვირფასი თვლები და ქვანი პატიოსანნი, ავეჯეულობა და ყველა თავისი ძვირფასი ტანისამოსი თან წაიღოს".[5] თვით ამ საქმის შუამავალს — კეისრის დესპანს ის შეპირებია, რომ როდესაც მომავალ გაზაფხულზე მისი ასულის კეისრისათვის საცოლოდ წასაყვანად მოვიდოდა, საჩუქრად საუკეთესო ღირსების ოთხ საპალნე აბრეშუმს, თითოს 500 ფლურად ღირებულს მისცემდა.[6]

XVII საუკუნეში არქანჯელო ლამბერტიც სამეგრელოს აღწერილობაში აღნიშნავს: „ჩვენს ევროპაში, როდესაც ცოლს ირთავენ, უმთავრეს საგნად აქვთ მზითვის მიღება, ამიტომ, ხშირად ხდება

---

[1] История государства и права зарубежных стран, т. 1, редакторы А. А. Комарова, В. В. Малькевич, М., 1963, გვ. 484-485.

[2] იქვე, გვ. 319.

[3] Алексеев К., Отношения супругов по имуществу в России и польше, Чтения в имп. Общ. Истории и древностей российских при Моск. Университете, N 2, 1869, გვ. 12-13.

[4] История государства и права зарубежных стран, გვ. 400, 464-465, 319-320.

[5] გეორგიკა, ტ. VIII, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970, გვ. 63-67.

[6] იქვე, გვ. 63-67.

ხოლმე, რომ ყურადღებას არ აქცევენ არც ტანის უშნოობას, არც ხნიერებას და არც დაბალ შთამომავლობას, როცა მეორეს მხრით არის კარგი და მდიდრული მზითვი... კოლხიდაში ასე როდია. აქ ქალს არავითარი მზითვი თავის ქმრისათვის არ მიაქვს... სამაგიეროდ სასიძომ უნდა მოუტანოს ქალის მშობლებს დიდი საჩუქარი და მდიდრული ძღვენი... ეს ვალდებულებაა სასიძოს, რომ მშობლებს უნდა მოუტანოს იმდენი საჩუქარი, თითქოს სასძლო მონა არისო და მის ფასს იხდის. ჩვეულებრივ, საჩუქრად მოჰყავთ ხოლმე ძროხები და ხარები, ან ყმები, ან სხვა ამისთანები".[1]

ძველი ქართული ზნე-ჩვეულებები თავდაპირველად მართლაც ვაჟს ავალებდა, რომ საცოლისათვის საჩუქარი მიეტანა. ამის შესახებ პირდაპირ წერია ერეკლე მეფის ძის, ვახტანგ ბატონიშვილის „ისტორიებრი აღწერაში": „მესძლობისა და ქორწინებისა წესი იყო ესრედ: ოდეს დაამტკიცებდნენ ვინმე ვისასმე სასძლოდ თვისად მოყვანად, წარუგზავნიდიან ქალსა მას შეძლებისამებრ ნიშნად სამკაულთა ძვირფასთა... და მიტანისა ჟამსა დასდებდიან ოქროსა ანუ ვერცხლისა სინსა ზედა სამკაულსა სასძლოსა და ეგრეთ მიართვიან ქალსა მას".[2] სწორედ ეს წესი უნდა იყოს ხაზგასმული გიორგი მეფის სიტყვებში და არა ის, რომ XV საუკუნის საქართველოში მზითვის მიცემა წესად არ ჰქონიათ ქართველებს. მზითვი თუ არა, აბა რა იყო ის 56 000 ოქროს ფული, ძვირფასი თვლები, ტანსაცმელი და ავეჯი, რომელსაც მეფე კეისარს შეპირდა. ასევე არქანჯელო ლამბერტიც ბოლომდე მაინც ვერ უარყოფს, რომ სამეგრელოში ქალს გათხოვებისას ქმრის ოჯახში „საჩუქრები" მიჰქონდა: „როცა ქალს გაგზავნიან ქმრის სახლში, მშობლები მოვალედ სთვლიან თავის თავს ცარიელი არ გაუშვან და გაატანონ რაც შეუძლიათ. ჩვეულებრივ, გაატანებენ მშვენიერ ლოგინს, რამდენიმე ზანდუკით სხვადასხვა ტანისამოსს და საცვალს, ორს ან სამს მოსამსახურე გოგოს, ცხენებს მისთვის და მოსამსახურეებისათვის ერთ დიდ ქვაბს და ვერცხლის თასს".[3] ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ყოველივე ზემოხსენებულს (მოძრავ ქონებას) მაშინდელ სამეგრელოში ქალს ატანდნენ „უეჭველია მზითვის

[1] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 82.

[2] ისტორიებრი აღწერა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ, გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ, ტფილისი, 1914, გვ. 11.

[3] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

მსგავსად".[1] და მართლაც, ლამბერტი, ალბათ, მომსწრე გახდა შეულლების ისეთი შემთხვევისა, როდესაც საქმროს მიერ საცოლის სახლში მიტანილი საჩუქარი სჭარბობდა საცოლის მზითვს. თორემ, ამ პერიოდის ქართული წყაროები არ იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ XVII საუკუნეში საქართველოში მზითვის ინსტიტუტი არ არსებობდა; პირიქით, შუა საუკუნეების სამართლის ძეგლები თუ სხვა დოკუმენტები მეტყველებენ მზითვის საკმაოდ ძლიერი ინსტიტუტის არსებობაზე.

გვიანი შუა საუკუნეები მეტად მდიდარია ჩვენთვის საინტერესო მასალით. ეს დოკუმენტები გამოცემული აქვთ დ. ფურცელაძეს,[2] ე. თაყაიშვილს,[3] ნ. ბერძენიშვილს,[4] თ. ჟორდანიას,[5] აგრეთვე დაცულია ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის[6] და ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში.[7] გარდა ამისა, ამ საკითხს ეხება თითქმის ყველა კანონმდებელი თავიანთ სამართლის ძეგლებსა თუ საკანონმდებლო აქტებში.[8]

ამ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XV-XVIII სს-ში ქალის წილი ოჯახის საერთო ქონებაში კიდევ უფრო

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, გვ. 149.

[2] Д. Пурцеладзе, Грузинские крестянские грамоты, გვ. 56; მისივე, Грузинские дворянские грамоты, გვ. 12; მისივე, Грузинские церковные гуджары; გვ. 16, 21, 59, 60, 53.

[3] საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 85; იქვე, ტ. 2, გვ. 25, 70-71, 59-60, 96, 180, 187, 371-74, 466; იქვე, ტ. 3, გვ. 442.

[4] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. 2, საბ: 29, 60, 100, 127, 148, 157, 161, 168, 213, 356, 327, 324, 311, 301; მასალები საქ. ეკონ. ისტორიისათვის, წ. 3, საბ: 110, 113, 139, 155, 195, 264; მისივე, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX), თბ., 1953, საბ: 411.

[5] თ. ჟორდანია, ქრონიკები და მასალა... წ. II, გვ. 170.

[6] ცსია, ფონდი № 1451, დავთ. № 1, საბ. № 43; ფონდი 1450, დავთ. 13, საბ. № 97; ფ. 1450, დ. 2, საბ. 150, ფ. 1450, დ. 10, საბ. 157; ფ. 1450; დ. 23, საბ. 19; ფ. 1450; დ. 2, საბ. 15; ფ. 1450, დ. 2, საბ. 150; ფ. 1450, დ. 17, საბ. 150.

[7] ხელნაწერთა ინსტიტუტის Hd ფონდი, საბ. № 11435, დოკ. 1757 წლის 2 მარტისა.

[8] სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, მუხ. 67, 68, 84-85, 105, 107, 145, 208, 224, 261; სირიულ-რომაული სამართალი, მუხ. 12, 33, 45-49, 51, 52, 59, 61, 63, 64, 68, 71, 73, 74, 77, 82, 84, 86-89, 91, 135; სამართალი ბერძნული, მუხ. 185, 215, 216, 279, 280, 286, 294; მხითარ გოშის სამართალი, მუხ. 156, 159, 161, 252, 334; ისტორიებრი აღწერა, გვ. 11; სამართალი ბატონიშვილის დავითისა, მუხ. 64.

მეტად იკვეთება და სულ უფრო იზრდება მეუღლეთა ქონებრივი განკერძოებულობა. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ქმარი ცოლს უწერს პირობის წიგნს მისთვის მამულების ჩუქებასთან დაკავშირებით: „წიგნი მოგეც მე, ბარათაშვილმა, ბატონმა ოთარმა თქვენ, ჩემსა თანამეცხედრეს, ბატონს მარიამს, ასრე რომ ჩემი ნასყიდი მამულები იყო... და მე თქვენთვის მიმიცემია. არას ჯორციელ კაცს ჴელი არ ქონდეს და ვერც ვინ ეს წიგნი მოგიშალოს."[1] აგრეთვე, ვალის ანაზღაურების წიგნს: „ეგ წიგნი მოგეც მე, აბაშიძემ გიორგიმ, შენ, ჩემს მეუღლეს, ქიზიყის მოურავის ქალს ანნას, ასე რომ შენი მზითევი დავხარჯე:

ქ. ჯაჭვი ბრტყელი ოქროსი————————ა

ქ. თახა სომხური——————————————ა

...................

გამოვიდა რამდენიმე წელი და ვერ მოგეც შენი ვალი. მთხოვდი და მაწუხებდი, შენ დედ-მამას ცრემლით შესტიროდი, ისინი იასაულად დამიყენე, ბატონთან რევაზ მოურავი ჩივილს მიპირებდა. სხვა ღონე არა მქონდა რა, ეს ჩემი ნასყიდი შენის თეთრით გვერდის — უბანი მომიცია, ტუკაძის და ქურდაძის და მახჩიშვილის მამული მოგეც. არ მე და არც ჩემს შვილებს საქმე არა ჰქონდეს".[2]

ამგვარი მაგალითები არა ერთი და ორი გვხვდება.[3] მათი გაანალიზებით ასეთი სურათი წარმოგვესახება: გათხოვებისას ქალს აუცილებლად ატანდნენ მზითვად რაიმე ქონებას. მისი სიდიდე დამოკიდებული იყო მშობლების შესაძლებლობაზე.[4] მზითვში შეიძლებოდა

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. 2, გვ. 426.

[2] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. 2, საბ. 168, გვ. 111.

[3] სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, მუხ. 67, 68, 84, 85, 105, 107, 208, 224, 261; საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებული სჯულნი, მუხ. 15, 47; განწესება ნიკოლოზ ალავერდელისა ქვრივ-ობოლთა მამულის ბეითალმანობის ამოკვეთის შესახებ. 1749 წ., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, მუხ. 4, 7; განჩინება ვახტანგ VI-ისა ენალა მელიქის შვილების აბანოს საქმეზე. 1717-1719, ქართ. სამ. ძეგლები, ტ. 4, გვ. 285; განჩინება ამსარქისანთ მამუკოას შვილების გაყრის საქმეზე. 1729 წ., ქართ. სამ. ძეგლები, ტ. 4, გვ. 322; განჩინება ოთარ გერმანოზიშვილისა და ზაალ ყორღანაშვილის ყმა-მამულის საქმეზე, 1749, ქართ. სამ. ძეგლები, ტ. 4, გვ. 379; განჩინება ჭონი გიორგის ცოლის მარიამის ქონების საქმეზე. 1757 წ., ქართ. სამ. ძეგლები, ტ. 4, გვ. 459.

[4] განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თჳსთადმი სამეფოჲსათჳს საქართველოჲსა. 1791, ქართ. სამ. ძეგლები, ტ. 2, მუხ. 25.

შესულიყო როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ქონებაც. თუ კაცი ისე მოკვდებოდა, რომ გაუთხოვარი ქალიშვილი რჩებოდა, მას გაამზითვებდნენ ძმა, ბიძა, ან ბიძაშვილები; მაშინაც კი, თუ მამამისს არაფერი დაუტოვებია.[1]

ოჯახის გაყრისას თუ უფროს ძმას გაუთხოვარი ქალიშვილები ჰყავდა, ერთ ქალს ოჯახის საერთო ქონებიდან გამოუყოფდნენ მზითვს.[2] თუ გასაყრელ ძმებს და ჰყავდათ გაუთხოვარი, მასაც ეკუთვნოდა წილი სამზითვოს სახით.[3] თუ რომელიმე ძმის ცოლის მზითვი საოჯახო მიზნით იყო დახარჯული, გაყრისას ამას ითვალისწინებდნენ და შესაბამისი რაოდენობის ქონებას აძლევდნენ.[4] დედას ან დედინაცვალსაც თავის მზითვს სრულყოფილად უბრუნებდნენ, თუ მას თავისი ქალიშვილის სამზითვოდ არ ჰქონდა დახარჯული.[5] გაყრის დროს სამზითვოს ძმები ბუშ დასაც კი გამოუყოფდნენ ყმა ქალის ოდენობის მსგავსად.[6]

ცოლ-ქმრის განქორწინების შემთხვევაშიც ცოლს თავისი მზითვი თან მიჰქონდა.[7]

მიღებული იყო, რომ მზითვს დედა ქალიშვილს გადასცემდა. თუ ქალიშვილი არ ჰყავდა, ვაჟიშვილებს რჩებოდათ და „დედული" „მამულად" გადაიქცეოდა.[8] ხოლო თუ ქალი უშვილოდ მოკვდებოდა,

---

[1] საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებული სჯულნი, მუხ. 30; განჩინება ვახტანგ VI-ისა ფარსადან ციციშვილისა და მისი რძლის საქონლის გაყოფის საქმეზე. 1716-1724, ქართ. სამ. ძეგლები, ტ. 4, გვ. 303; ნიკოლოზ ალავერდელის უწყება. Д. Пурцеладзе, Груз. Церковные гуджары, გვ. 16.

[2] ჩვეულებითი სჯული, მუხ. 44; გასამყრელო წიგნი ტერ-ასატურანთ სრაპიონის შვილებისა. 1751, ქართ. სამ. ძეგლები, ტ. 4, გვ. 400.

[3] განჩინება მეითრისშვილ ქაიხოსროსა და ლომინასშვილების ვალის საქმეზე. 1754, ქართ. სამ. ძეგლები, ტ. 4, გვ. 424.

[4] სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, მუხ. 105; საქ. ჩვეულებითი სჯული, მუხ. 47.

[5] სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა, მუხ. 52.

[6] იქვე, მუხ. 110.

[7] იქვე, მუხ. 67, 72, 84.

[8] იქვე, მუხ. 257; საქართველოს ჩვეულებითი სჯული, მუხ. 52; განჩინება ამსარქისანთ მამუკას შვილების გაყრის საქმეზე. 1729, ქართ. სამ. ძეგლები, ტ. 4, გვ. 322; განჩინება ზაალ აშიკალასბაშის და გიორგი ქიბურწაშვილის მამულის საქმეზე. 1763, ქართ. სამ. ძეგლები, ტ. 4, გვ. 492.

მაშინ მის მზითვს „სამშობლო“ იბრუნებდა.[1]

მზითვი ხელუხლებელი ქონება იყო. ქალის თანხმობის გარეშე არავის შეეძლო მისი მოხმარება. მაშინაც კი, თუ გარდაცვლილ კაცს ვალები რჩებოდა და მის ქალიშვილს მშობლების სახლიდან გათხოვებისას მარტო მზითვი ჰქონდა წაღებული, მოვალეები მას ხმას ვერ სცემდნენ.[2] ვალის გადახდის დროს კი ქალის მზითვს ხელს ვერავინ ახლებდა.[3] ხელს მაშინაც ვერ ახლებდნენ, თუ დედაკაცი ქმრის არყოფნის დროს საოჯახო საჭიროებისათვის ვალს აიღებდა – ქმრის ქონებიდან უნდა გადახდილიყო. თუ ისე მოხდებოდა, რომ რაიმე საჭიროების გამო ქალის მზითვი საოჯახო მიზნებით დაიხარჯებოდა და ქალი მას უკან ითხოვდა – მზითვი უკლებლივ უბრუნდებოდა.[4]

***

მზითვის გარდა ქალის პირად ქონებას შეადგენდა ქმრისაგან და მისი ნათესავებისაგან ქორწილამდე მიღებული საჩუქრები: ნიშანი, საქორწილო, სანიჭარი, პირის სანახავი და პირის ასახადი. ყველა ეს ტერმინი არაერთგზისაა დამოწმებული ქართულ სამართლის ძეგლებსა თუ ნარატიულ წყაროებში.

ნიშნობის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი იყო ნიშანი, ანუ საჩუქარი საქმროსაგან საცოლეს. მისი მიცემის ტრადიცია ქორწინების წესებიდან ერთ-ერთი უძველესი უნდა იყოს, რომელსაც, სანამ მზითვის ინსტიტუტი ჩამოყალიბდებოდა, ქალის ყიდვის ფორმა ჰქონია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალის დანიშვნა თითქმის ქორწინებასთან იყო გათანაბრებული და ეს ტრადიცია სათავეს ჯერ კიდევ ძველი აღქმიდან იღებს. მასში ვკითხულობთ: თუ კაცზე დანიშნულ ყმაწვილ ქალს, ქალწულს, ქალაქში ვინმე შეხვდა და დაწვა მასთან, გაიყვანონ ორივენი ამ ქალაქის კარიბჭესთან და

---

[1] სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისი, მუხ. 229; საქართველოს ჩვეულებითი სჯული, მუხ. 53.

[2] სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისი, მუხ. 145.

[3] საქართველოს ჩვეულებითი სჯული, მუხ. 15.

[4] განჩინება ოთარ გერმანოზიშვილისა და ზაალ ყორღანაშვილის ყმამამულის საქმეზე. 1749, ქართ. სამ. ძეგლები, ტ. 4, გვ. 378; არზა ფირიანთ სულხანას-შვილის გოგიას ქვრივის ანასი კათალიკოზ ანტონ II-ისადმი. 1785, მასალები საქ. ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. 3, საბ. 155.

ჩაქოლონ სასიკვდილოდ — ყმაწვილი ქალი იმის გამო, რომ ხმა არ გაიღო ქალაქში, კაცი კი იმის გამო, რომ ძალა იხმარა მოყვასის ცოლზე.[1] თუ ამ დამსჯელ ღონისძიებებს შევადარებთ გათხოვილი ქალის მრუშობისათვის გამოტანილ განაჩენთან — თუ კაცს გათხოვილ ქალთან მწოლარეს წაუსწრეს, ორივენი უნდა მოიკლას,[2] — ნათელი ხდება, რომ ძველი აღთქმა ნიშნობას და ქორწინებას ძალიან უახლოებდა ერთიმეორეს და ერთნაირადაც იცავდა. იგივეს აღიარებდა VI მსოფლიო კრების დადგენილებაც[3] და ბიზანტიური საერო კანონმდებლობაც.[4]

ქართული კანონმდებლობაც ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ნიშნობა ურღვევი ხელშეკრულება ყოფილიყო. ამიტომ დანიშნული ქალის „დაგდებაზე" სხვადასხვა დროს დაწესებული სასჯელები თითქმის უთანაბრდებოდა ცოლის მიტოვებისათვის დადგენილ სასჯელს. მაგ., ექ. თაყაიშვილს და ი. დოლიძეს გამოცემული აქვთ 1620 წლით დათარიღებული დიდი მოურავის გიორგი სააკაძის და ქაიხოსრო ჯავახიშვილის მიერ აღძრული სარჩელი: სააკაძე ჩიოდა, რომ ქაიხოსრო ჯავახიშვილს თავისი შვილისათვის გიორგის ქალიშვილი უთხოვია და დაენიშნა კიდეც. ცოტა ხნის შემდეგ კი ამ ნიშნობაზე უარი უთქვამს. სასამართლომ იმსჯელა და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: იმის გამო რომ არც ერთი მოწმე არ გამოჩნდა ამ ფაქტის დამადასტურებლად, ან უარსაყოფად, ქაიხოსრომ უნდა დაიფიცოს, რომ ქალი არ დაუნიშნია. თუ ვერ დაიფიცა „რაც მოურავის სახლის ქალის სისხლი ყოფილიყოს, ის ქაიხოსრო გარდაიხადოს".[5]

დავუბრუნდეთ ისევ ნიშანსა და სხვა საქორწილო საჩუქრებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ მირთმევას მზითვის ინსტიტუტის გაჩენამდე ქალის ყიდვის ფორმა ჰქონია. უფრო სწორად, მაშინ მზითვი იმდენად სუსტად იყო განვითარებული, რომ ურვათი[6] მას

---

[1] მეორე რჯული, XXII, 23, 24.

[2] იქვე, XXII, 22.

[3] მუხ. 98-ის თანახმად სხვისი საცოლის ცოლად მოყვანა აკრძალული იყო.

[4] ეკლოგა, XVII, 32; პროხირონი, XXXIX, 68.

[5] საქართველოს სიძველენი, ტ. 2, გვ. 57-58; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 4, გვ. 59; იხ. აგრეთვე ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963.

[6] ურვათი — საქმროს მიერ საცოლის მშობლებისათვის მიტანილი სასყიდელი, ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 564.

თავისი ღირებულებით ბევრად სჭარბობდა.[1] ასე უნდა ყოფილიყო ადრე შუა საუკუნეებშიც, რაზეც ვარსქენსა და შუშანიკს შორის არსებული პირადი ურთიერთობა მიუთითებს.

იმპერატორ იუსტინიანეს ნოველების მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ VI საუკუნის დასაწყისში სომხეთში ქალი მემკვიდრეობით უფლებებს მოკლებული იყო და გათხოვებისას მშობლებისგან მზითვსაც არ ღებულობდა. აქ არსებობდა საცოლის ყიდვის ჩვეულება. იუსტინიანეს სპეციალური ნოველის გამოცემაც კი დასჭირდა სომხებში ხსენებული ჩვეულების აღმოფხვრის მიზნით.[2] 536 წელს იმპერატორი იუსტინიანე თავისი 21-ე ნოველით სომხეთის პროკონსულს აკაკის უბრძანებდა სომხური ჩვეულებითი სამართლის ბერძნულ კანონებთან შესაბამისობაში მოყვანას: „ჩვენი მიზანია, რომ ამ კანონით გამოვასწოროთ დეფექტი მათ (სომხების) ცხოვრებაში. სომხების უკულტურო ტრადიციების მიხედვით მშობლების ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება აქვთ მხოლოდ კაცებს, და არავითარ შემთხვევაში ქალებს. აგრეთვე გვინდა აღმოვფხვრათ უმზითვოდ გათხოვებისა და საქმროს მიერ საცოლის ყიდვის ჩვეულება – დიდი უკულტურობის ეს ნიშნები დღემდე შემორჩენილია მათთან".[3]

საცოლის ყიდვის ჩვეულებრივი ფორმაა ურვადით (ყალიმით) ქორწინება. რამდენადაც მთის საქართველოს სინამდვილეში ეს მოვლენა უცხო არ იყო,[4] უნდა ვიფიქროთ, რომ წარმართობის დროს იგი ბარის საქართველოშიაც იყო ცნობილი.[5] VI საუკუნისათვის კი იგი არ შეიძლება ძირფესვიანად აღმოფხვრილი ყოფილიყო არც საქართველოში და არც სომხეთში. გ. ნადარეიშვილმა შეისწავლა შუა საუკუნეების სომხური საქორწილო სიმღერები და დაასკვნა, რომ სომხეთში მზითვის, როგორც ახალი სამართლებრივი ინსტიტუტის, გამარჯვება ურვადზე იუსტინიანეს ეპოქაზე გაცილებით მოგვიანებით მოხდა.[6]

---

[1] ნ. ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. 2, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1913, განყ. 4, გვ. 19-20; რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, გვ. 82-106.

[2] Адонц Н., დასახ. ნაშრ., გვ. 194-195; Манандян, Новеллы Юстиниана о порядке наследования у армян, Изв. Акад. Наук. Арм. ССР., Общественные науки., 1952, N 5, გვ. 61-71.

[3] Nov. Jus. № 21, 1.

[4] ნ. ჩიმაკაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 19-20; რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 82-106.

[5] გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევი, გვ. 56.

[6] იქვე, გვ. 56.

როგორც ჩანს, საცოლის ყიდვით ქორწინების წესი არის უნივერსალური ხასიათის მოვლენა იმ აზრით, რომ თავისი განვითარების გზაზე, როგორც აუცილებელი საფეხური, გაიარეს როგორც თანამედროვე (ახალმა), ასევე ძველმა (ისტორიულმა) ხალხებმა.[1] მართალია, საცოლის ყიდვით ქორწინების ჩვეულება იაკობ ხუცესის თხზულებაში პირდაპირ არ ჩანს, მაგრამ ნაწარმოების საერთო რეალიების მიხედვით საგულისხმოა. უნდა ვიფიქროთ, რომ შუშანიკისათვის ვარსქენ პიტიახშს ურვადი ექნებოდა გადახდილი მისი მშობლებისათვის. მეუღლეთა შორის პირადი ურთიერთობის ხასიათიც ამაზე მიუთითებს: ვარსქენი ცოლს ამწყვდევს, ბორკილებს ადებს და სხვ.[2] მისი სიტყვებიდანაც: „ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს. იპოოს ვინმე,რომელმან განკაფოს იგი“,[3] ჩანს, რომ ვარსქენს თავის დროზე ცოლისათვის არაერთი სამკაული მიურთმევია. ყოველივე ეს შუშანიკს შეეძლო ჰქონოდა მანამ, სანამ ცოლობას სწევდა, ხოლო როდესაც საცოლქმრო კავშირი დაირღვეოდა, ქმარს შეეძლო ის ჩამოერთვა და მეორე ცოლისათვის ეჩუქებინა: „მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“.[4]

ეს საქორწილო წესი (ქმრისაგან ცოლისათვის საჩუქრების მირთმევა) მომდევნო ხანებშიც არსებობდა. და თუ შუშანიკის ეპოქაში ეს წესი უფლებას აძლევდა ქმარს, ჰქონოდა დესპოტური ძალაუფლება ცოლსა და ოჯახზე, მზითვის ინსტიტუტის გაჩენასთან ერთად, ანუ მას შემდეგ, რაც ოჯახის საერთო ქონებაში ქალის მოტანილი წილიც გამოიკვეთა, ეს ძალაუფლება სუსტდება. აქ უკვე საჩუქრის ორმხრივ გაცვლასთან გვაქვს საქმე, რამაც ქალის სტატუსი ოჯახში ნაწილობრივ გაამყარა.[5]

---

[1] Косвен М., Брак-покупка, Красная Новь, 1925, кн. 12, გვ. 195.

[2] შდრ. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 64-ე მუხ.: „კაცი რომ ცოლს სტანჯვიდეს და უპატიურად ეპყრობოდეს, და ურიგოს უშვრებოდეს, მეფემ ის კაცი დააბას, დატუქსოს და ავად მოეპყრას და კათალიკოზმაც ასრე უყოს“.

[3] იაკობ ცურტაველი, წამებაჲ შუშანიკ დედოფლისაჲ, გვ. 25,3.

[4] იაკობ ცურტაველი, VII-40; კონკრეტულად რა სახის სამკაული შეიძლება მიერთმია V ს-ის ქართლში ვარსქენ პიტიახშს ცოლისათვის იხ. ნ. აფხაზავა, ადრე შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურა, თბ., 1979.

[5] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სირიულ-რომაული სამართლის ვერსია, მუხ. 46, 47, 49, 57, 58, 82; სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, მუხ. 224; ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბერძნული, მუხ. 390, 391, 392; საქ. ჩვეულებითი სჯული, მუხ. 15, 49, 52.

„ქორწილისა პირველი ნიჭი" – ასე ეწოდებოდა განვითარებულ შუა საუკუნეებში ქონებას, რომელიც შედიოდა ოჯახურ კაპიტალში ქმრის მხრიდან იმავე მიზნით, რაც ჰქონდა მზითვს, ე. ი. საერთო ოჯახური ცხოვრების ხარჯების შესამსუბუქებლად.[1] იუსტინიანეს კანონის თანახმად ამ ნაჩუქრობის თანხა მზითვის თანხის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ქმრის სიკვდილის ან მისი მიზეზით განშორების შემთხვევაში ცოლს ისეთივე უფლება ჰქონდა ამ ნაჩუქრობაზე, როგორიც ქმარს მზითვზე ცოლის სიკვდილისა ან მისი მიზეზით გაყრის შემთხვევაში. მაგრამ დანიშნულთა დაშორებისას ამ წინასაქორწილო საჩუქრის განაწილების წესში VIII ს-ის ბიზანტიაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ქალის კაცთან შედარებით ჩაგრული მდგომარეობა: „თუ საჩუქრის მიმცემმა გადაწყვიტა შეთანხმების დარღვევა, ის კარგავს ამ უკვე მიცემულ საჩუქარს; ხოლო თუ ქალის მხარეა დაშორების მიზეზი, ის იხდის ორმაგ ფასს, ან აბრუნებს საჩუქარს და ამატებს იგივე ღირებულების თანხას".[2]

განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში საქმროსაგან საცოლისათვის საჩუქრების მირთმევის ტრადიცია კვლავ არსებობს, მაგრამ მას ცოლის „ყიდვის" ხასიათი აღარ აქვს. ეს არის მხოლოდ ტრადიცია, რომელიც, ალბათ, მეტად მომგებიანი იყო ქალისა და მისი ოჯახისათვის. როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორედ ამ ტრადიციას უსვამენ ხაზს არქანჯელო ლამბერტიც[3] და გიორგი VIII-ც[4], როდესაც ქალების გათხოვებაზე საუბრობენ.

განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში ქმრისაგან ცოლისათვის მირთმეული საჩუქრის სხვადასხვა სახელწოდებებია დაცული: „სანიჭარი", „პირის სანახავი", „პირის ასახადი", „საქორწილო" და სხვა. ისინი დამოწმებულია როგორც სამართლის, ასევე ნარატიულ ძეგლებსა და იურიდიულ დოკუმენტებში.

ვნახოთ, თუ როგორაა ასახული ეს ინსტიტუტები სამართლის ძეგლებში. მზითვი და საქორწილო საჩუქარი, როგორც ქალის პირადი კუთვნილებისა და მისი ქონებრივი დამოუკიდებლობის გარანტი, ცნობილია ჯერ კიდევ ძველ აღმოსავლეთის ხალხთა სამართლის წიგნებში: შუამდინარეთის უძველესი კანონმდებლობის – ეშნუნის

---

[1] დიდი სჯულის კანონი, გვ. 191.
[2] Эклога, т. 1, 2.
[3] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრ., გვ. 82.
[4] გეორგიკა, ტ. VIII, გვ. 63-67.

მეფის ბილალამის კანონებში (მუხ. 17, 18, 25-26), ისინი მეფის ლიფიტ-იშთარის კანონებში (მუხ. 29-32), ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებში (მუხ. 138-139, 150, 159-164, 166) და აგრეთვე შუა ასირიისა (III, 30, 31, 41, 43) და ხეთების კანონებში (I, 28-30, 34, 36). ყველა ესენი ითვალისწინებენ მზითვის, საქორწილო გამოსასყიდისა და საქორწილო საჩუქრის ინსტიტუტებს.

აღნიშნული ინსტიტუტები დაკანონებული იყო რომისა და ბიზანტიის სამართალშიც, შუა საუკუნეების ევროპისა და რუსეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობაშიც.

საქორწილო საჩუქარი ქართულ სამართალშიც უძველესი დროიდანაა ცნობილი. საკანონმდებლო ძეგლებიდან საქორწილო საჩუქარი გათვალისწინებულია ბექას სამართალში: „ქორწილისა სანიჭარი ვალია კაცისაგან კაცსა ზედა“.[1] ამ სამართლის ძეგლის მიხედვით „ქორწილისა სანიჭარი“ საქორწილო საჩუქარია, რომელსაც ქალისა და ვაჟის მშობლები და ნათესავები მიუძღვნიდნენ სარძლოსა და სასიძოს. „ქორწილისა სანიჭარი“ ქორწინების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, მისი მიცემა სავალდებულო იყო. იგი შეიძლებოდა სხვადასხვა სახის ყოფილიყო: სამკაული, ქორწილის ხარჯებში შეწევნა და სხვა. საქორწილო საჩუქარი ქალის საკუთრებას შეადგენდა და მისი ქონებრივი დამოუკიდებლობის გარანტი იყო.

„ქორწილისა სანიჭარი“ შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაში „საქორწილოს“ სახით გვხვდება.[2] ამ უკანასკნელის შესახებ ცნობებს გვაწვდის პაპუნა ორბელიანი: აზატ ხანს ცოლად უბოძეს თეიმურაზის დისწული. „გამოეგზავნა აზატ-ხანს ქალის წასაყვანად მირზა-შეფა თავრიზელი... ამას მოყვა ათი-თხუთმეტი ავლნის უფროსნი კაცნი, ასისთავნი და ათასისთავნი. ამათთვის გამოეტანებინა მცირე ჯარი, მოერთმევინა საქორწილოდ თვალ-მარგალიტთა მიერ შეთხზულნი იარაღნი ოქროსანი ქალისათვის და აგრევე ბატონებისათვის ლარი ტურფანი, კიდებულნი ჯორთა და აქლემთანი და დედოფალ-

---

[1] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, მუხ. 34.

[2] სამართალი ვახტანგ VI-ისა, მუხ. 224; განჩინება დომენტისა და ზაქარია თურმანიძის ვალის საქმეზე (1682), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 148; იქვე, განჩინება გერმანოზიშვილების გაყრის საქმეზე (1688-1703), გვ. 205; იქვე, გასამყრელო წიგნი აშხარბეგისშვილებისა (1749 წ.), გვ. 381; იქვე, განჩინება ბებურ და ომან ბებურიანთა გაყრის საქმეზე (1771 წ.), გვ. 623.

თათვის, უფლისწულთათვის თეთრნი და ოქრონი... ამზადეს ქალი მარიამ ბეგუმ და გაისტუმრეს".[1]

რაც შეეხება „პირის სანახავსა" და „პირის ასახადს" მათი შინაარსობრივი დატვირთვა ანალოგიურია. დ. ჩუბინაშვილი განმარტავს: „პირის სანახავი – საჩუქარი საქმროსაგან, როდესაც სასძლო ქალი პირბადეს აიხდის".[2] იოანე ბაგრატიონის „სჯულდების" გამომცემელს, ივანე სურგულაძესაც „პირის სანახავი" ანალოგიურად აქვს განმარტებული: „საჩუქარი საქმროსაგან საცოლეს".[3] წიგნის რეცენზენტმა გ. ნადარეიშვილმა ეს განმარტება არაზუსტად მიიჩნია და აღნიშნა: არა ჩანს, რომ „პირის სანახავი უთუოდ საქმროსაგან საცოლისათვის მირთმეული საჩუქარი იყოს. ფეოდალურ საქართველოში პირის სანახავის მიმრთმევად გამოდიოდნენ უმთავრესად მაზლები, დედამთილი და სხვ."[4] ამ აზრის დასადასტურებლად რეცენზენტი იმოწმებს „პირის სანახავის" ზოგიერთ საბუთს:

1) 1796 წ. იესე მდივნისშვილების მიერ თავისი რძლისადმი მიცემულ პირის სანახავის საბუთში ნათქვამია: „ღ-თის ძალითა და შეწევნით ჩვენ ერთობრივ იესე მდივნის შვილებმა ზაზამ, გიორგიმ, დიმიტრიმ და მინამ ჩვენის ძმის დავითისათვის ბებურის შვილის გურგენის ქალი ვითხოვეთ ქეთევან და მივმართეთ ჩვენს რძალსა ნიშნათა და პირის სანახავათ ჩვენი სამკვიდრო მამული სეიდაბათის ბაღი და ამ ბაღს გარდა ოქროსაშვილი ბეჟანა." 2) XIX საუკუნის დასაწყისის საბუთის მიხედვით კნეინა ბარბარე ფალავანდიშვილისა თავის რძალს სოფიოს პირის სანახავად აძლევს „ურია ელიკაშვილს და ტატა კრიხელს უმამულოთ თავის საცხოვრებლით", მეორე რძალს კი პირის სანახავად აძლევს" ...გლეხ ბაბალაშვილს, დათუა კრიხელს თავის ცოლ-შვილით, საცხოვრებლით...".[5] რეცენზენტის აზრით, პირის სანახავს არა მარტო ქმარი, არამედ ქმრის მშობლები და უახლოესი ნათესავები აძლევდნენ საპატარძლოს.

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 209.

[2] დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკ. შანიძემ, თბ., 1984, გვ. 1015-1016.

[3] იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, გვ. 93.

[4] ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი", № 6, 1958, გვ. 92.

[5] ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი", № 6, გვ. 93.

უძველესი საბუთი, რომელშიც „პირის სანახავია“ დამოწმებული 1634 წელს მიეკუთვნება. ახლად გათხოვილი დედოფალი მარიამ დადიანის ასული წერს: „ახლა თბილელი და სათბილელო ყმა პირის სანახავად მოგვართვეს“.[1] 1735 წელს პირის სანახავად მირთმევის წიგნში კი ნათქვამია: „ჩვენ, ერისთვის — შვილმა ივანემ მოგეცით ეს წიგნი შენ, ბატონს მილახორს მერაბს; — ასე რომ ბატონმა ჩემმან სიძემ ალიხანმა ჩემს დას პირის სანახავად მოგართვა და წამოსვლის დროს ბატონი მამა ჩემი აქ არა ბრძანდებოდა და შენც დიაღ გულით მოინდომე და მოგეცით ჩვენი ყმა ბენტერის — შვილი გიორგი მეჭურჭლე ცხაოტელი“.[2] პირის სანახავში მიღებულ ყმასა და მამულზეა საუბარი 1811 წლის 1 თებერვალს კნეინა ანა აბაშიძისა და მისი შვილის ქაიხოსროს მიერ ჯვრის მამის ვენედიკტესადმი მიცემულ თამასუქის დოკუმენტში.[3]

ამ ინსტიტუტის შესახებ საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები აქვს მოცემული ისტორიკოს პლატონ იოსელიანს თავის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“: „...მეფემან (ერეკლე II) მიართვა პირის სანახავად ხატი ღვთისმშობლისა, ამბარჯა ძვირფასი თვლებითა, მარგალიტითა და იაგუნდებით მორთული, რომელიცა ჰფასობდა ას თუმანათ. ქარხანა ზეთის სახდელი მტკვრის ხიდის მიღმა, მეტეხისა კლდისა ძირში ავლაბრის მარჯვენით. მასვე დღესა მეფისავე მუნ ყოფნასა მიბრძანდა დედინაცვალი და დედოფალი დარეჯან, და ამანცა პირის სანახავად უბოძა რძალსა თვისსა ძეწკვი ოქროსი და გულსაკიდი ამბარჯა, საკაბე მძიმის ფარჩისა, შალი ინდოეთისა, კრიანესული 70 მარგარიტისა ასხმული და 30 იაგუნდისა თვალი“[4]. თავის მხრივ, გიორგი მეფემაც, როცა მისი ძე დავით ბატონიშვილი დაქორწინდა, მიართვა თავის რძალს პირის სანახავი: „დღესა მესამესა შემდგომად ქორწილისა მეფემან... ნახა რა ძალი თვისი, ამბორს უყო, და აკურთხა და უბოძა პირის სანახავად ქარვასლა სახასო ყმებითა და მამულითა და ოქმისა ბოძებითა, მასვე დღესა მეფისაგან დამტკიცებულითა“.[5]

„პირის სანახავი“ ნახსენებია ჩვეულებითი სჯულის 52-ე მუხლ-

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები და მასალა..., წ. II, №450.

[2] დოკუმენტები საქ. სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 245, №356.

[3] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან, გვიანფეოდალური ხანა, II, გვ. 194.

[4] ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, გვ. 80.

[5] იქვე, გვ. 80.

შიც, სადაც ნათქვამია, რომ „გაყრისას დედას ანუ დედის-ნაცვალს ზითვისა, ნიშნისა, პირის სანახავისა ანუ ქმრისაგან საჩუქრებისა, რაც რომ ექნებოდა, ისინი მათვე მიეცემოდათ“.[1] ანალოგიური შინაარსისაა სჯულის მე-15 მუხლი, რომლის თანახმად ვალის ურჩ გადამხდელს იძულებით ახდევინებდნენ ვალს, მაგრამ ცოლის კუთვნილი საჩუქრისა და პირადი ნივთების აღწერა არ შეიძლებოდა. ცოლს მხოლოდ მზითვი, ნიშანი და პირის სანახავი მიეცემოდა და სხვა ყოველივე მოვალის ქონებად აღითვლებოდა შეკერილისა და მოსახმარებელს ნივთს გარდა.[2] აქ ჩვეულებითი სჯული გადმოგვცემს ქართული საოჯახო სამართლის წესს, რომელიც იცავს ცოლის ქონებრივ უფლებებს, კრძალავს მზითვზე და საქორწილო საჩუქარზე ვალის იძულებით გადახდევინებას.

დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვითაც ქალის საქორწილო საჩუქარი გასაყოფ წილში არ შედის. „პირის ასახადი და პირის სანახავი არს მტკიცე და ჟამსა გაყრისასა სახლისკაცთა თანა არ ჩავარდება წილში. ნება აქვს პატარძალსა გაყიდვაცა მისი, ჩუქებაცა, და რომელთა შვილსა სურდეს, დაუტეოს. და უკეთუ მოკვდეს დედაკაცი იგი უშვილოდ და პირის სანახავი იგი იყოს მთლად, მაშინ მონათესავეთა ქალისათა არა აქვს სამართალი, რომ იჩივლონ, და იქმნებიან არა კმაყოფილ სამართლისაგან“.[3]

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვითაც მზითვი და ნიშანი ქალის საკუთრებას შეადგენს: „ან ვაჟი მოკვდეს ან ქალი, თუ რამ გასაცვეთი მისვლია და სიცოცხლეში გაუცვეთია, ვერას შეუა. მას გარდა სულ უნდა მიეცეს ნიშნის პატრონსა“.[4] ხოლო თუ კაცი მოკვდა, შემდეგ შვილი, და ცოცხალი მხოლოდ დედა დარჩა, „მამულთან ხელი არა აქვს, ბატონისა არის. იმ დედაკაცმა თავისი ზითევი და ნიშანი წაიღოს“.[5]

„პირის სანახავს“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იცნობს იოანე ბაგრატიონის „სჯულდების“ პროექტიც. მასში წერია: „ხოლო სამეფოს სახლიდამ რაც ნივთი პირის სანახავად, ნიშნად, ანუ თავის ქმარს უჩუქებია სამკაული, ესენი ისევ სამეფოს სახლში უნდა მივიდეს, რადგან უშვილოდ დარჩენილა, თავის ნათესავებს აქედან

---

[1] საქართველოს ჩვეულებითი სჯული, მუხ. 52.
[2] იქვე, მუხ. 15.
[3] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, მუხ. C 18.
[4] ვახტანგ VI-ის სამართალი, მუხ. 223.
[5] იქვე, მუხ. 23.

ვერას უზიარებს“.[1] ეს ადგილი ეხება მეფის გარდაცვლილ რძალს, რომელიც უშვილოდ დარჩა. ამიტომ, პროექტის მიხედვით პირის სანახავი, ნიშანი და სხვა საჩუქარი „ისევ სამეფო სახლში უნდა მივიდეს“.

დავით ბატონიშვილის სამართლის პროექტის ზემოთ ნახსენები მუხლი პირის სანახავთან ერთად იხსენიებს „პირის ასახადს“. საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის თხზულებაში „ისტორიებრი აღწერა“ ასეთი საჩუქრის დედოფლისადმი მირთმევის ჩვეულება შემდეგნაირადაა აღწერილი: „შ~დ ადგებოდეს ეჯიბი მეფისა ორისა შიშვლისა ქლმითა და მდივანმან ანუ მწიგნობარმან ვინმე წარუკითხის ნუსხა ქალსა მას ქმრისა თვისისაგან მიცემულთა სოფელთა ნუსხა პირბადის ასახდელად. შ~დ მივიდეს ეჯიბი, დაუჩოქოს კრმლებითა და აჰხადის პირბადე სძალსა მას. შ~დ წარმოდგებოდეს საწუალ მდივანი ანუ მწიგნობარი ვინმე და წარიკითხოს, რასცა ქალს მას გაატანდიან ზითევად. მეორე დღეს განემზადებოდეს სიძე სძლითურთ შინ წარსასულელად, გამოესალმოდიან ქალის მამას და დედას, ძმათა, დათა და ყოველთა მუნებურთა... და მიახლოვდიან სახლსა სიძისასა... მოხსნიდიან სძალსა საცხენოსნოსა სამკაულსა და მოკაზმიდიან სასძლოსა სამკაულითა და დახურიან ისევ პირბადე და დაადგიან გვირგვინი და ეგრეთვე სიძესა დაადგიან გვირგვინი... ხოლო აქა პირბადის ახდაში მიართვიან სძალსა კიდევ ორი ყულუხჩი და იქ ზითვის წიგნის წამკითხავნი გაშლიდიან ფეხთა ქვეშე ფარჩასა ჩინებულსა და მისციან იგი მას... დღესა მეორესა... რა დაღამდის დღე იგი, მოკაზმიდიან ქალსა მას ყოვლისა სასძლოსა სამკაულითა, გარნა არღარა ახადიან პირბადე და დაადგმიან გვირგვინსა ორთავე, სიძესა და სძალსა“.[2]

როგორც ისიდორე დოლიძე შენიშნავს, ვახტანგ ბატონიშვილს ამ ჩვეულების აღწერა ამოღებული აქვს თეიმურაზ მეორის თხზულებიდან „დღისა და ღამის გაბაასება“.[3] ასეთი ჩვეულებით ხდებოდა სარძლოსათვის (დედოფლისათვის) პირის ასახადისა თუ პირის სანახავის საჩუქრების მირთმევა.

---

[1] იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, მუხ. 80.

[2] ისტორიებრი აღწერა, გვ. 15-17.

[3] საქ. ჩვეულებითი სჯული, გვ. 127.

# VI თავი

## ქალის უფლებები განქორწინებისას

ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის განხილვისას საინტერესოა განქორწინების წესების შესწავლაც. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ჩვეულებრივ, ქორწინება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ რომელიმე მეუღლის ფიზიკური სიკვდილის შემდეგ. მაგრამ ქრისტიანული ქვეყნების კანონმდებლობა ცხოვრების პრინციპების კარნახით იძულებული ხდებოდა შეემუშავებინა განქორწინებისათვის საჭირო სხვა საკანონმდებლო მოტივებიც. ეს მოტივები მთელი შუა საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა, და როგორც წესი, მათ რაოდენობრივად ზრდის ტენდენცია ახასიათებდა. ასეთი მდგომარეობა იყო როგორც ბიზანტიაში, ასევე საქართველოში, რადგანაც შუა საუკუნეების ქართულ სამართალზე დიდ გავლენას სწორედ ბიზანტიური სამართალი ახდენდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, IV საუკუნის ბიზანტიურ კანონმდებლობაში უკვე აქტიურად განიხილებოდა ქორწინების შეწყვეტისათვის აუცილებელი პირობები.[1] უფრო დეტალურად კი ამ საკითხზე მსჯელობდნენ მომდევნო IV-VI საუკუნეების იმპერატორები, რომელთა მიზანი იყო მემკვიდრეების ინტერესების და აქედან გამომდინარე ქორწინების დაცვა. ამიტომ მათ გაყრის კანონიერი მიზეზები ძლიერ შეზღუდეს.[2] მაგალითად, თუ რომელიმე მეუღლე ტყვედ ჩავარდებოდა, ქორწინება მაინც შენარჩუნებული იყო. იუსტინიანეს 22-ე ნოველის თანახმად, ასეთ შემთხვევაში მეორედ დაქორწინება დაიშვებოდა მხოლოდ 5 წლის შემდეგ, ისიც, თუ ტყვედ ჩავარდნილის ადგილსამყოფელი ცნობილი არ იყო. იუსტინიანემ აგრეთვე აკრძალა გაყრა ორივე მეუღლის თანხმობისა და მოთხოვნის მოტივით.[3] მაგრამ, ამასთან ერთად მან დაუშვა განქორწინება იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მეუღლე იმპერატორის საწინააღმდეგოდ რაიმე მოქმედებას ჩაიდენდა.[4]

---

[1] Theodosiani libri XVI cum constitutionibus Sirmondianis et leges novellae ad Theodosianum pertinentes, ed. Th. Mommsen et. P. M. Meyer, Berolini, 1905.

[2] Kaser, Das romishe Privatrecht, Bd II, Munchen, 1959.

[3] Nov. Jus. 117,10[542].

[4] იქვე, 22 [535], 117 [542].

VI მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება მისდევს მათეს სახარებას და კრძალავს განქორწინებას მრუშობის გარდა ნებისმიერი სხვა მოტივით: „დედაკაცმან, რ~ლნ დაუტეოს ქმარი თვისი და სხვისა მივიდეს მრუშებისა სასჯელსა ქვეშე არს, ვ~ წმიდა ბასილი იტყვის: „უკეთუ იპოვოს ვ~დ ცოლი წარვიდა ქმრისაგან, დედაკაცი იგი მემრუშე არს, ხ~ ქმარი უბრალო არს და არა დაეყენების ეკლესიისაგან და ზიარებისა, ხ~ დედაკაცი იგი მემრუშეთა სასჯელთა თანამდებ არს.

რ~ლნ დაუტეოს სჯულიერად შერთული მისდა ცოლად და სხუა შეირთოს, მასზედაცა სასჯელი მრუშებისა არს, ვ~ა ბრძანა: რ~ლნ დაუტეოს ცოლი თ~სი გარეშე სიტყვისა სიძვისა და სხუა შეირთოს, იმრუშებს. უკეთუ კულა მოიქცეს სინანულად და უჯეროდ შერთული იგი განიშოროს სინანული მისი ესრეთ იყოს: ერთ წელ შესტიროდის, ორ წელ მსმენელთა თანა იყოს, ორ წელ ქვე დავრდომასა შინა ალასრულოს, ერთსა წელიწადსა ერისა თანა დასდგეს და მეშვიდესა წელსა ღირს იქმნას ზიარებასა, უკეთუ ცრემლითა მხურვალითა და შემუსრვილითა გულითა შეინანოს“.[1]

როგორც ვხედავთ, საეკლესიო კანონმდებლობა გაცილებით მკაცრია იმავე საუკუნის საერო კანონმდებლობასთან შედარებით. იგი მთლიანად სახარების მოძღვრებაზეა დაფუძნებული და აღიარებს განქორწინებას მხოლოდ ცოლის მრუშობის შემთხვევაში: ქმარი ისჯება ცოლის მიტოვებისათვის მრუშობის გარდა ნებისმიერი სხვა მიზეზით, ცოლი კი – ყველა შემთხვევაში. აქ განხილულიც კი არ არის ქმრის მხრიდან მრუშობის ფაქტი.

VIII საუკუნის ბიზანტიური კანონმდებლობა (ეკლოგა) განქორწინების შემდეგ საფუძვლებს ადგენს: 1) ცოლის მრუშობა,[2] 2) ქმრის უძლურება,[3] 3) ერთ-ერთი მეუღლის მცდელობა მეორის სიცოცხლის წინააღმდეგ,[4] 4) ერთ-ერთი მეუღლის კეთრით დაავადება.[5]

ანალოგიური მდგომარეობა უნდა ყოფილიყო საქართველოშიც. ანუ ასე ნელ-ნელა, პრაქტიკული ვითარებიდან გამომდინარე და მისი

[1] Правила VI Вселенского собора, გვ. 50-51.
[2] Эклога, т. II, 14.
[3] იქვე, т. II, 15.
[4] იქვე, т. II, 14, 15.
[5] იქვე, т. II, 14, 15.

გათვალისწინებით უნდა ჩამოყალიბებულიყო განქორწინებისათვის აუცილებელი პირობები.

ცოლ-ქმრის გაყრის შესაძლებლობა ჩანს პირველივე ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში — „შუშანიკის წამება“. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ქმრის მრისხანება შუშანიკისადმი და სასჯელიც სარწმუნოებრივი დევნის შედეგი არ ყოფილა, არამედ გამოწვეული იყო შუშანიკის წასვლით ქმრის ოჯახიდან, რაც ვარსქენს თავისი თავის და სახლობის შერცხვენად მიუჩნევია“.[1]

აქედან გამომდინარე, ყურადღებას იპყრობს თხზულების ერთი ადგილი, რომელიც ეხება შუშანიკის მიერ ვარსქენის მიტოვების შემდგომ პერიოდს: „და მერმე მოციქული მიავლინა პიტიახშმან და ჰრქუა: „ანუ ნებაჲ ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად; უკუეთუ არა მოხჳდე შინა, ჩორდ წარგცე ანუ კარად კარაულითა“.[2]

სიტყვა „კარაული“ ძველ ქართულში ვირს ნიშნავდა,[3] ე. ი. შუშანიკის მარტვილობის ზემოთ მოტანილ ციტატაში ლაპარაკია იმ ჩვეულების შესახებ, რომლის მიხედვითაც ქმარი დამნაშავე ცოლს ვირზე საჯაროდ შესვამდა და ასე გაწბილებულს გაისტუმრებდა სამშობლოში, ან სადმე, ხალხმრავალ ადგილზე.

საერთოდ, შუა საუკუნეების საქართველოში ვირზე შესმა და ასე ტარება მძიმე გამაწბილებელ სასჯელად ითვლებოდა, რომლის მიზეზიც დამნაშავისათვის უფრო მორალური ტრავმის მიყენება იყო, ვიდრე ფიზიკურის. ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით, კოლხებმა ჯორზე შესვეს გუბაზ მეფის მკვლელები, რაც, როგორც ჩანს, უდიდეს და ამავე დროს შიშის მომგვრელ სანახაობას წარმოადგენდა კოლხებისათვის.[4]

საინტერესოა, თუ რა სახის დანაშაულისათვის შეეძლო ქმარს ცოლის ვირზე შესმა და ისე გაგდება. დავით ბატონიშვილს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა მრუშობაში ან მისდამი ხელის შეწყობაში მხილებულ პირს ვირზე

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წ. 1, გვ. 59.

[2] იაკობ ცურტაველი, წამებაჲ შუშანიკ დედოფლისაჲ, გვ. 24,2.

[3] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წ. 1, თბ., 1966, გვ. 351.

[4] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 3, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, ტფ., 1936, გვ. 153.

შესვამდნენ, ტალახით გათხუპნიდნენ და ხალხის თავშესაყრელ ადგილზე ჩამოატარებდნენ. ამასთან ერთად ბატონიშვილი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მის დროს ასეთი რამ საქართველოში უკვე აკრძალული ყოფილა.[1]

როგორც ვხედავთ, ვირზე შესმა და ასე ხალხმრავალ ადგილებში ტარება შეიძლებოდა ხოლმე დიდ დანაშაულში მხილებული ადამიანისა. ასეთი ხასიათის სასჯელი შეიძლება შეეფარდებინათ მრავალი სხვადასხვა მძიმე დანაშაულისათვის, მათ შორის მრუშობისათვისაც. ერთ-ერთი ასეთი დანაშაული V საუკუნეში, ალბათ, ცოლის მხრიდან ქმრისადმი დაუმორჩილებლობა და ოჯახიდან თვითნებურად წასვლა უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ამ მოსაზრებით შეეძლო ვარსქენს თავის ცოლს დამუქრებოდა ვირზე შესმით და ასე ქუჩა-ქუჩა ტარებით.

თხზულებაში დაცულია კიდევ ერთი საინტერესო მომენტი: როდესაც შუშანიკს მოახსენეს ვარსქენის განზრახვის შესახებ, მას ქმრისათვის უთქვამს: „უბადოო და უგულისჴმოო, ხოლო მე თუ კარად ანუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხჳო და ბოროტსა ამას განვერე".[2]

ამასთან დაკავშირებით იაკობ ცურტაველი განაგრძობს: „და გულს ეტყოდა პიტიახში... ვითარმედ: „ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს". და მიერითგან არღარავინ მიავლინა მისა".[3]

როგორც ამ ციტატიდან ჩანს, ვარსქენ პიტიახში შიშობს, რომ თუ იგი შუშანიკს ჩორდს გაგზავნის, მაშინ შეიძლება ეს უკანასკნელი ვინმე მთავართაგანს ცოლად გაყვეს. ვარსქენის მხრიდან ასეთი ზომების მიღების შემდეგ, ალბათ, ვარსქენი და შუშანიკი გაყრილად ჩაითვლებოდნენ. ამის შემდეგ კი შუშანიკს შეეძლო მეორედ გათხოვება.

შემდეგი ჰაგიოგრაფიული ძეგლი, რომელშიც ჩანს განქორწინებისათვის აუცილებელი მოტივი, არის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება". ამ პერიოდიდან მოყოლებული, ქართულ საისტორიო წყაროებში უკვე ნათლად არის გამოკვეთილი ის პირობები, რომლებიც აუცილებელი იყო ქორწინების შეწყვეტისათვის. მათგან ერთ-ერთი მთავარი

---

[1] დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, ა3. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1959, მუხ. 983.
[2] წამებაჲ შუშანიკ დედოფლისაჲ, გვ. 24,5.
[3] იქვე, გვ. 24,5.

და უძველესი იყო მრუშობა. ამ მიზეზით მეუღლეთა განქორწინება დაშვებულია ჯერ კიდევ სახარების მიერ.[1] VI მსოფლიო საეკლესიო კრებაც მისდევს მათეს სახარებას და კრძალავს განქორწინებას მრუშობის გარდა ნებისმიერი სხვა მოტივით.[2] ასევე იქცევა ექვთიმე მთაწმინდელიც: „და კუალად უკუეთუ ცოლი თჳსი განიშოროს, გარეშე სიტყჳსა სიძვისა და სხუაჲ შეირთოს, იმრუშა, ვითარცა წმიდასა სახარებასა წერილ არს".[3]

შუა საუკუნეების ქართული წყაროები საკმაოდ ვრცელ მასალას გვაწვდიან სიძვა-მრუშობის შესახებ. ამ ორ ტერმინს ერთი შეხედვით ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პატარა შინაარსობრივი განსხვავება მათ შორის მაინც ყოფილა: „სიძვისაჲ სამი არს განყოფილებაჲ: ქურივსა თანა დაცემაჲ და მქევალსა და მეძავსა... ხოლო მრუშებად მას ვიტყჳთ, რაჟამს ქმრისა ცოლსა თანა ვინმე დაეცეს; ანუ ცოლოსანი მამაკაცსა მოუწოდოს დედაკაცმან თჳსთანა დაცემად".[4]

როგორც ამ ციტატიდან ჩანს, კაცსა და ქალს შორის უკანონო კავშირი ორგვარი ყოფილა: ერთი, როდესაც ერთ-ერთი პარტნიორი მაინც დაოჯახებულია, და მეორე — როცა ქალი თავისუფალია, კაცი კი „გინათუ ცოლოსანი იყოს, გინათუ უცოლო".[5] დამნაშავენიც შესაბამისად ისჯებიან: მრუშობისათვის 15 წელი, ხოლო სიძვისათვის — 7. სხვა ადგილას კანონმდებელი მეტად აკონკრეტებს დასჯის არსს: „რომელმან იმრუშოს ქმრის ცოლსა თანა, ათხუთმეტ წელ უზიარებელ იყოს წმიდათა საიდუმლოთა: ოთხ წელ შესტიროდის, ხუთ წელ მსმენელთა თანა დაეწესოს, ოთხ წელ დავრდომით აღასრულოს, ორ წელ მორწმუნეთა თანა დადგეს და მერვესა-ღა წელსა შეიწყნარონ ზიარებად".[6]

---

[1] ამ საკითხში წინააღმდეგობაა მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებებს შორის: მარკოზი და ლუკა, ფაქტიურად, კრძალავენ განქორწინებას ნებისმიერ შემთხვევაში (მარკოზი, X, 11-12; ლუკა, XVI, 18), მაშინ როდესაც მათეს სახარების მიხედვით განქორწინება დაშვებულია ცოლის მრუშობის მიზეზით (მათე, V, 31-32; 1, 19), იოანე კი არანაირ კონკრეტულ ცნობას არ გვაწვდის.

[2] Правила VI Вселенского собора, გვ. 50-51.

[3] მცირე სჯულის კანონი, გვ. 100.

[4] იქვე, გვ. 94.

[5] იქვე, გვ. 100.

[6] იქვე, გვ. 80.

მრუშობისათვის უფრო მკაცრი დამსჯელი ღონისძიებების დაკანონება ოჯახის სიწმინდის დაცვის მცდელობიდან უნდა მომდინარეობდეს, და არა მარტო სიწმინდის. მრუშობა ოჯახის ფიზიკურ არსებობას ემუქრებოდა, იგი გაყრის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი იყო. ამიტომ, საერო და სასულიერო ხელისუფლება, რომლებიც მტკიცე და ძლიერი ოჯახის მომხრეები იყვნენ, ყოველმხრივ სდევნიდნენ მისი დანგრევის მცდელობებს.

ერთ-ერთი უძველესი ცნობა საქართველოში ცოლის მრუშობის გამო გაყრის შესაძლებლობის შესახებ დაცულია პეტრე იბერის ცხოვრების ასურულ რედაქციაში: პეტრე იბერის ბიძამ (მამის ძმამ), არსილიოსმა (არჩილმა), შეიტყო, რომ მისმა ცოლმა „სამარცხვინო საქმე ჩაიდინა". პირველად რბილად გაკიცხა ის და მეორედაც რომ წაასწრო, საყვარელს უთხრა; „მიჩუქებია შენთვის სიცოცხლე და სისხლი. აჰა, საგზალი და სამგზავრო ფული! სასწრაფოდ მომშორდი და ამ ქვეყანაში ნუ გაჩერდები"... ცოლს კი უთხრა: „შენ ამ საქციელის გამო არ გაგეყრები, მაგრამ შენს უპატიოსნებას სასაცილოდ ავიგდებ..."[1]

როგორც ვხედავთ, ადრე შუა საუკუნეების საქართველოში ცოლის მრუშობის შემთხვევაში ქმარს შეეძლო ცოლის საყვარელი მოეკლა კიდეც, ცოლს კი გაშორებოდა. ამაზე, როგორც ჩანს, ეკლესიაც და საერო ხელისუფლებაც თანხმობას იძლეოდნენ. გაწბილებულ ქმრებს ეს უფლება მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ჰქონდათ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ცამეტი საუკუნის შემდეგ ვახტანგ VI ფაქტიურად იგივეს იმეორებს: „თუ ბატონმა ყმის ცოლს უაშიყოს, ან ღამით და ან დღისით, და ცოლთან საწოლად დააქჱლოს, და მან კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ მცირე, სისხლი არ გაუჩნდება".[2]

ანალოგიური მდგომარეობა ყოფილა ადრე შუა საუკუნეების ბიზანტიაშიც. აქაც მრუშობის ფაქტზე წასწრების შემთხვევაში ქმარს შეეძლო ცოლიც და მისი საყვარელიც მოეკლა. ასევე შეეძლო სახლიდან გაეგდო ცოლი, მაგრამ როდესაც თვითონ ჩავარდებოდა იგივე მდგომარეობაში — მხოლოდ ჯოხის თორმეტჯერ დარტყმით

---

[1] ცხოვრება პეტრე იბერისა, ასურული რედაქცია, გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1988, გვ. 84.

[2] სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, მუხ. 42.

ისჯებოდა.[1] უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქართველოშიც ასევე განსხვავებულად ისჯებოდა ერთი და იგივე ცოდვის ჩამდენი ქალი და მამაკაცი. უფრო მეტიც, მცირე სჯულის კანონი საერთოდ უარყოფს მეძრუშე ქმრის მიმართ ნებისმიერი დამსჯელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობას.

განქორწინებისათვის საპატიო მიზეზად ცოლის მრუშობის დასახელების შემდეგ, ექვთიმე მთაწმინდელი წერს: „ხოლო მამაკაცი, თუ ცოლოსანი ისიძვიდეს არა ქელ-ეწიფების ცოლსა მისსა განშორებად მისგან, რამეთუ ესრეთ არს ჩუეულებაჲ ამის საქმისაჲ: დალაცათუ ურწმუნოჲ იყოს ქმარი და ცოლი მორწმუნე და ქმარსა მას ჯერ უჩნდეს ყოფაჲ მას თანა, არავე უბრძანებს მოციქული დატევებად ქმრისა მის, რამეთუ: „განიწმიდებისო ქმარი ურწმუნოჲ ცოლისა მის მორწმუნისაგან“.[2]

ამ მოსაზრების სისწორეზე მეტყველებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დაცული ერთი ფაქტიც: აშოტ კურაპალატმა „შესმენითა მეძჯსა ქალისაჲთა, რომლისა თანა იმრუშებდა იგი, უსამართლოდ განიშორა სიცრუვითა სიძვისაჲთა სარწმუნოჲ ცოლი თჳსი და წარგზავნა ქუეყანად აფხაზეთად, ვინაჲცა მოეყვანა იგი“.[3]

ადარნასეს საყვარელს თავისი მეტოქის — ადარნასეს ცოლის თავიდან მოშორების მიზნით მისთვის ჩაუგონებია, თითქოს ცოლი მას ღალატობდეს. ადარნასეს საყვარელმა, თურმე „განთქუა სახელი მისი ვითარცა მეძავისა“.[4] ადარნასემაც ეს ცილისწამება დაიჯერა, ცოლი მოიშორა და მისი ცოლის ვითომდა შემცდენელი ყმაწვილი სასტიკად დასაჯა — მოკლა და ამით „სისხლი უბრალოჲსა ჭაბუკისაჲ დასთხია“.[5]

საყურადღებოა ცნობა იმის შესახებ, რომ ადარნასე კურაპალატმა ცოლი გაგზავნა თავის სამშობლო — აფხაზეთში, საიდანაც თავის დროზე მოიყვანა იგი. ამგვარად, ამ წყვილის დაშორება მოხდა მრუშობაში ქალის უსამართლოდ დადანაშაულების გამო, მაშინ როცა მრუშობის აშკარა ფაქტი ადარნასეს მხრიდან სახეზე იყო.

---

[1] Литаврин Г.Г., Как жили Византийцы, М., 1974, გვ. 125, 136-138.
[2] მცირე სჯულის კანონი, გვ. 91.
[3] ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, გვ. 298,8.
[4] იქვე, გვ. 298,14.
[5] იქვე, გვ. 296, 10.

ამ ჰაგიოგრაფიული ძეგლიდან ისიც კარგად ჩანს, თუ რა აქტიურ მონაწილეობას იღებს ეკლესია მრუშობის მიზეზით ოჯახის დანგრევის საქმეში. გრიგოლმა „მრავალგზის მხილებაჲ მიაწია ადარნასეს ზედა“,[1] მაგრამ ვერაფერი შეაგნებინა. ასევე, როდესაც აშოტ კურაპალატმა დედოფლისათვის აშენებულ არტანუჯის ციხეში „მოიყვანა დედაკაცი სიძვისაჲ — რომლისა თანა იმრუშებდა“,[2] გრიგოლმა შეაგონა იმ დედაკაცს და დედა ფებრონიასთან გაუშვა მონასტერში.

უკვე ამ დროიდან მოყოლებული განვითარებული შუა საუკუნეების საკანონმდებლო ძეგლებში გვხვდება გაყრის შესახებ მსჯელობის შემთხვევები. სახელმწიფო ცდილობს დაიცვას ოჯახის სიმტკიცე და ამიტომ მკაცრად განსაზღვრავს მისი დანგრევისათვის აუცილებელ პირობებს. მრუშობა კვლავ რჩება გაყრის მთავარ მიზეზად, მაგრამ მას ნელ-ნელა ემატება სხვა მოტივებიც: ავადმყოფობა, სოდომურ ცოდვაში მხილება და სხვ.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის მიხედვით მემრუშე კაცს მრუშობა ძვირად უჯდება, ცოლის უბრალოდ დაგდებაზე („ნახევარი სისხლი“) გაცილებით ძვირად.[3] კანონმდებელი თვლის, რომ პირველ ყოვლისა ცოლიანი მამაკაცია დაზარალებული. მემრუშე მამაკაცი კი ხელყოფს ქალის ქმრის პატივსა და ღირსებას, და ამიტომ დამნაშავემ სისხლი უნდა დაუურვოს მის მიერ შეურაცხყოფილი ოჯახის მესვეურს. ამასთან ერთად, ცოლის „კურო“ პატრონის ბრძანებით ქვედა საცვლის ამარა ყელსაბლიანი უნდა ატარონ ქუჩა-ქუჩა. ეს კი მძიმე ხასიათის გამაწბილებელი სასჯელი იყო. იგი შუშანიკის წამებაში დაცული ვირზე შესმული ქალის ქუჩა-ქუჩა ტარების ფაქტის მსგავსად, კანონმდებლის მიერ ჩვეულებითი სამართლის ნორმებიდან უნდა იყოს აღებული.

ამავე სამართლის ძეგლიდან ჩანს, რომ ცოლის მრუშობის შემთხვევაში, ქმარს უფლება აქვს გაეყაროს ცოლს, მაგრამ იგი ვალდებული არ არის ასე მოიქცეს. მრუშობაში მხილებულ მამაკაცს შეურაცხყოფილი ქმრისათვის მხოლოდ მაშინ უნდა გადაეხადა თორმეტი ათასი თეთრი, თუ ეს უკანასკნელი ცოლს გააგდებდა, ხოლო თუ მრუშ ქალს ქმარი არ გაეყრებოდა, მაშინ მემრუშე კაცს მისთვის მხოლოდ ექვსი ათასი თეთრი უნდა დაეურვებინა.[4]

[1] გიორგი მერჩულე, გვ. 298,20.
[2] იქვე, გვ. 297,15.
[3] ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, მუხ. 29.
[4] იქვე, მუხ. 26.

მრუშობის გარდა განქორწინების კანონიერ საფუძვლად კანონმდებელი ცოლის მიერ ქმრის შეურაცხყოფასაც აღიარებს. ბექას სამართლის წიგნის 50-ე მუხლის მიხედვით, თუ „ყბედი დიაცი" საჯაროდ შეურაცხყოფას მიაყენებდა ქმარს მრუშობაში ბრალის დადებით, ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა ასეთ ცოლს გაყროდა და არავითარი საზღაური არ მიეცა, ე.ი. სისხლის ფასი არ გადაეხადა „ყბედის დიაცის მეყვისთ".

ერთი შეხედვითაც კი ნათელია, რომ ამ მუხლით კანონმდებელი მამაკაცის, ქმრის ღირსებას იცავს, რომელიც შებღალულია „ყბედი" ცოლის ბრალდებებით. ამ ბრალდებების სისწორე კი კანონმდებელს მაინცდამაინც არ აინტერესებს.

ოჯახის დაცვა მრუშობისაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სასულიერო პირთათვის, ვინაიდან ისინი საზოგადოებისათვის ზნეობრივი მოძღვრის როლში გამოდიოდნენ. ამის გამო ბექა მანდატურთუხუცესი ცალკე განიხილავს ხუცესის ცოლთან მრუშობის შემთხვევას. 41-ე მუხლის მიხედვით, პირველ ყოვლისა, ხუცესის ინტერესებია დაცული. ცოლის მრუშობამ, შეიძლება, იგი იძულებული გახადოს ერისკაცად იქცეს და თავი მოიხლუდოს საზოგადოებისაგან. თუ ეს ასე მოხდა, ცოლის შემცდენელმა სრული სისხლის გადახდით უნდა აგოს პასუხი; უფრო რბილი სასჯელი ელოდა დამნაშავეს, თუ ხუცესი ანაფორას არ გაიხდიდა და მხოლოდ ცოლს გააგდებდა სახლიდან — ნახევარი სისხლი. როგორც ჩანს, ცოლთან გაყრა გაცილებით ნაკლებ ტრავმად ითვლებოდა.

ანალოგიური მუხლი გვხვდება ბაგრატ კურაპალატის სამართალშიც.[1] აქაც ხუცესის ცოლის „მოყივნებისათვის" დამნაშავემ სისხლის ფასს კიდევ სამოცი ათასი თეთრი უნდა დაუმატოს. ეს დანამატი, თუ ჯარიმა, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ მორალური ტრავმა სასულიერო პირს მიეყენებოდა, რაც ამცირებდა ხუცესის ავტორიტეტს თავის სამწყსოში და ამით ხელიყოფვოდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესები.

მიუხედავად ასეთი მკაცრი კანონებისა, ცხოვრება მაინც თავისას შერებოდა და როგორც საერო, ასევე სასულიერო პირები ცოდავდნენ ხოლმე ამ მიმართებით. ასეთ შემთხვევაში, განსხვავებით საერო ფეოდალებისაგან, სასულიერო პირები ისჯებოდნენ — მათ აძევებდნენ ეკლესიიდან. ვახუშტი ბატონიშვილთან დაცულია ამ

---

[1] ბაგრატ კურაპალატის სამართალი, მუხ. 105.

მხრივ ჩვენთვის საინტერესო ერთი ფაქტი: მეფე ალექსანდრე ლევანის ძის (ავგიორგის ძის ძე) დას, „რომელსა აღერჩია ენქრატისობა[1] და სცხოვრობდა ალავერდს... ფარულად თანაეყოფოდა ალავერდი“[2] ერთხელაც, როდესაც ამ უკანასკნელს მეფის დავალებით დიდძალი საჩუქრები მიჰქონდა იერუსალიმში, მისმა საყვარელმა შეატყობინა, რომ ორსულად იყო. ალავერდელი სასწრაფოდ უკან დაბრუნდა, ოქროულობა მეფეს გაუგზავნა, თვითონ კი მოიტაცა ქალი და მასთან ერთად იმერეთში გაიქცა. ეს ამბავი რომ გახმაურდა „კრულჰყო პატრიარქმან ალავერდელი“. ალექსანდრე მეფემ კი „ვინაჲთგან განკრეჭილ იყო“ დააქორწინა თავის დაზე და მიწებიც მისცა.[3]

როგორც ვხედავთ, ალექსანდრეს დის დაორსულებამ დააჩქარა პროცესი, თორემ მათი ფარული „თანაყოფა“, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა.

პეტრე იბერის ასურულ რედაქციაში ვნახეთ, რომ ქმარს შეეძლო თავისი ცოლის საყვარლის მოკვლა. ეს უფლება გაწბილებულ ქმრებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რჩებათ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ბასილი უჯარმელი, ჟამთააღმწერლის მიხედვით, „თანა ეყო ესუქნის, და არა რიდა საწოლსა პატიოსანსა მეფისასა, და ჩოჴანიცა აღიჴადა, და მთავრობა მიიტაცა, ამის უწესოებისათჳს მოიკლა ბასილი“ დავით ულუს მიერ.[4]

როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, განვითარებული შუა საუკუნეების ხანის წყაროებში მრუშობის გარდა განქორწინებისათვის სხვა მოტივებიც ჩნდება. მათგან ერთ-ერთი, რომელშიც ნათლად ჩანს მამაკაცის პრიორიტეტული მდგომარეობა, იყო ავადმყოფობა. და აქაც მხოლოდ ცოლის ავადმყოფობა ითვლებოდა გაყრის მიზეზად. ამასთანავე, განსხვავებული შედეგები მოჰყვებოდა ცოლის დასნეულებას ქორწინებამდე და ქორწინების შემდგომ. თუ ცოლი ქორწინების შემდეგ დასნეულდებოდა, ქმარს შეეძლო მისი მოშორება, ოღონდ უნდა დაეფიცა, რომ გაეყარა არა სიძულვილის, არამედ სნეულების გამო.[5]

---

[1] ენქრატისი — დედათ მოწესე — სულხან-საბა ორბელიანი, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 580,2.

[2] ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 580, 2.

[3] იქვე. გვ. 580-8.

[4] ჟამთააღმწერელი, გვ. 267-268.

[5] ბაგრატ კურაპალატის სამართალი, მუხ. 140.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის 140-ე მუხლში დაცული სიტყვები: „თუ ცოლი დასნეულდეს ქმარი ცოლისა გვარსა არას ემართლების...“, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ თუ ცოლი გათხოვებამდე იყო სნეული, ქმარს არა თუ თავისუფალი გაყრის, არამედ ქალის მშობლებისადმი სხვა პრეტენზიის წაყენების უფლებაც უნდა ჰქონოდა.[1] ოღონდ რა სნეულებას გულისხმობდა კანონმდებელი, სამართლის წიგნიდან არ ჩანს. ალბათ, რაიმე მძიმე, განუკურნავი სენი ჰქონდა მხედველობაში.

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ჩანს, რომ ამ პერიოდში (განვითარებულ შუა საუკუნეებში) ქმრის მიზეზით ოჯახის დანგრევა მხოლოდ მის სოდომურ ცოდვაში მხილებით შეიძლებოდა.

1103 წელს დავით აღმაშენებლის ინიციატივით მოწვეულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქართულ საზოგადოებას ემუქრებოდა სოდომური ცოდვის გავრცელების საფრთხე. ამ მიზნით ძეგლისწერაში სპეციალური მუხლიც კი შეიტანეს: „განჩინება სოდომური ცოდვისათჳს“. მასში სამღვდელოების წარმომადგენლები ახსენებდნენ ქართველებს, რომ ასურელები, სპარსელები, რომაელები და სხვები სწორედ ამ ცოდვამ დაღუპა და შემდეგ დასძენს: „ამისთჳს ვამცნებთ ყოველსა, დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიოსა, მღდელთა და უმღდელოთა, მოწესეთა და ერისკაცთა, ბერთა და ჭაბუკთა და შუა-კაცთა ყოველსა პატივსა და ყოველსა წესსა და ყოველსა ჰასაკსა განყენებად ამის ვნებისა უფროჲს-ღა საძაგელისა ბილწებისა“.[2]

აღსანიშნავია, რომ მემატიანეები თამარ მეფის პირველ ქმართან განშორების მიზეზად ამ უკანასკნელის სოდომურ ცოდვაში მხილებას ასახელებენ. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა არა ის, თუ რამდენად სწორია ეს ცნობა, არამედ ფაქტი, რომ სოდომური ცოდვა შეიძლებოდა განქორწინების მიზეზი გამხდარიყო. მემატიანე ამბობს, რომ თამარ მეფე ორ წელიწადზე მეტ ხანს ითმენდა ქმრის ისეთ უწესობას, რომელიც არის „უცხო რამე და უმსგავსო საქმე, შეუმსგავსებელი და დაუჯერებელი კაცთა გონებისაგან“.[3] ისტორიკოსის

---

[1] გ. ნადარეიშვილი, განქორწინება ქართული სამართლის მიხედვით, გვ. 319.

[2] ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ, მუხ. 15.

[3] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 40,13.

სიტყვით თამარის პირველმა ქმარმა „ძლეული და ტაძარ-ქმნილი შჯდთა სულთა უბოროტესთა პირველისათა, სოდომურიცა მოიპოვა ქცევა დაქცევითა დაქცეულმან და წარწყმედითა წარწყმედულმან“.[1]

შემდეგ მემატიანე მოგვითხრობს, რომ ვეზირებმა და დიდებულებმა, რომლებმაც ეს ამბავი გაიგეს, აღშფოთებულებმა ერთხმად აღიარეს, რომ საჭიროა ამ ძველი მტრის — სოდომური ცოდვის აღმოკვეთაო. ეს ისეთი ცოდვაა, ამბობს ისტორიკოსი, „რომელმან მოაკულევინა ძმასა ძმა და მამასა შვილი“.[2]

სოდომური ცოდვისათვის, როგორც ამ ძეგლიდან ჩანს, სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა იყო დაწესებული. ქართველ მემატიანეს აღნიშნული აქვს, რომ თამარმა თავისი პირველი ქმარი ექსორიად ჰყო „აურაცხელითა ლარითა, სიმდიდრითა და საჭურჭლითა, ვინათგან რომელი სიკუდილსა ემართლებოდა და არავის მისცა სასიკუდინოდ“.[3]

სოდომური ცოდვისა და მამათმავლობის პრობლემა გვიანი შუა საუკუნეების წყაროებშიც ჩანს. ამ დროს საქართველოში გამოდის კანონი, რომლის მიხედვითაც ამ ცოდვებში მხილებულთათვის სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული. ეს იყო კათალიკოზ ანტონის „მცნება მღუდელთათვის“ (1768), რომელსაც ერეკლე II დაურთო ბრძანება: „ღმრთის დიდად განმარისხებელისა და მიუტევებელის ფინთისა, და მყრალისა, და ცეცხლით საუკუნოდ მწუველისა მამათმავლობის მქნელნი მამალნი ანუ დედალნი — ესენი უნდა ძალიანი და საანდაზოს ჯაჯაებით დაიკოცნენ. და ესე განჩინება უნდა ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ“.[4]

რაც შეეხება ვახტანგ VI-ის სამართალს, მასში არაფერია ნათქვამი ამ პრობლემის შესახებ. ბერძნული სამართლის 51 და 52-ე მუხლებით კი 14 წელს მიუღწეველნი „გვემონ სატანჯველითა სიცოცხლითა სირცვილისათა“, ხოლო 14 წლის ზევით სიკვდილით ისჯებიან.[5]

სომხური სამართლის მიხედვითაც მსგავსი მოქმედებისათვის უმაღლესი სასჯელის ზომა ჯარიმის გადახდევინებით განისაზღვრება.[6]

---

[1] ისტორიანი და აზმანი, გვ. 40,17.
[2] იქვე, გვ. 41,5.
[3] იქვე, გვ. 41,13.
[4] მცნება მღუდელთათვის, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, გვ. 877.
[5] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, მუხ. 15,52.
[6] იქვე, მუხ. 178.

ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, რომ მეუღლის სოდომურ ცოდვაში მხილება საქართველოში არათუ შეიძლებოდა ყოფილიყო განქორწინების საფუძველი, არამედ სიკვდილის ღირს ცოდვათაც ყოფილა მიჩნეული.

როდესაც განვითარებული შუა საუკუნეების ქალის მდგომარეობაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ვაჰანის ქვაბთა წარწერებს. მათი წაკითხვისას ირკვევა, რომ ახალგაზრდა მანდილოსნები ნაადრევად მოუწყვეტიათ ამქვეყნიური ცხოვრებისათვის და ძალით აღუკვეციათ მონაზვნად. ისინი ჩივიან, რომ ვერ გაიხარეს ვერც ჩაცმით, ვერც ჭამა-სმითა და ნათესავ-მეგობრებით. ზოგიერთი მათგანი თავის ინტიმურ განცდებსაც აღწერს, ზოგი კი სიკვდილსაც ნატრობს.[1] მართალია, წარწერებში პირდაპირ არ არის მითითებული ეს ქალები გათხოვილი იყვნენ თუ არა, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ქმრები არასასურველ ცოლთან განშორების მიზნით ხანდახან მათ მონასტერში წასვლასაც აიძულებდნენ.[2]

გვიან შუა საუკუნეებში განქორწინებისათვის აუცილებელი მიზეზები რაოდენობრივად კიდევ უფრო იზრდება. და რაც მთავარია, თუ ადრე შუა საუკუნეებში ქალის ინიციატივით ოჯახის დანგრევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო (განქორწინებისათვის ყველა საპატიო მიზეზი ქალის მხრიდან დანაშაულის ჩადენას გულისხმობდა, იქნებოდა ეს მრუშობა, ავადმყოფობა თუ სხვა), დროთა განმავლობაში იგი ნელ-ნელა იპოვებს მბრალდებელად ყოფნის უფლებას, რაც საბოლოოდ კანონის სახით ფორმდება ვახტანგ VI-ის სამართალში.

---

[1] ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1954, ნაკვ. 30, გვ. 168-180; შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, საბჭოთა ხელოვნება, 1957, №7, 1960, №8.

[2] მონასტერში ასე არარელიგიური განწყობილების ქალების ყოფნის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის, რასაც აღნიშნავს ჟან ბატისტ ტავერნიე: საქართველოში ქალიშვილს, როგორც კი ოდნავ წამოიზრდება და დამშვენდება, მუდამ მოტაცების საფრთხე ემუქრება. მოტაცებულ გოგონებს კი უცხო ქვეყნებში ჰყიდიან, როგორიცაა ოსმალეთი, ირანი და თვით მოგოლის ქვეყანა. ეს აიძულებს მშობლებს, რომ ძალიან მცირე ასაკში დამალონ თავიანთი ქალიშვილები მონასტერში, რათა ამით ისინი დაიფარონ მოტაცება-გაყიდვისაგან. მონასტრებში კი გოგონები გულმოდგინედ ეწაფებიან სწავლას და მათ შორის ისინი, რომლებიც წარმატებას აღწევენ, იქვე რჩებიან მთელი თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში – Livre De lecture sur l'histoire De la Georgie et du Proche Orient, თბ., 1963, გვ. 68.

მიუხედავად ასეთი დიდი პროგრესისა, ბუნებრივია, არც ეს კანონმდებელი არ არის თავისუფალი პატრიარქალური აზროვნებისაგან. იგი თვლის, რომ ცოლის მხრიდან მრუშობა ქმრისათვის ისეთი შეურაცხყოფაა, რომ მან შეიძლება, ცილდაწამებული ცოლიც კი გაუშვას: „დედაკაცმან სხვას დედაკაცს თავის ქმართან წასძახოს, რომე ჩემი ქმარი შენთან არისო, და იმ დედაკაცის ქმარს გააგონოს, და იმ კაცმან ამ სიტყვისათვის თავისი ცოლი გაუშვას მაშინვე, ბოზობისოდენი სისხლი წამძახებლის ქმარმა მისცეს“.[1] ამ შემთხვევაში არ ჩანს გარკვევით, ნამდვილად იმრუშა ქალმა თუ არა. შეიძლება, ცილისწამებასთანაც კი გვქონდეს საქმე. მიუხედავად ამისა, როდესაც ქმარი დგება ისეთი ფაქტის წინაშე, რომ სხვისი მეუღლე მის ცოლს საჯაროდ, ქმრის გასაგონად აბრალებს: „ჩემი ქმარი შენთან არისო“, მას უფლება აქვს გაშორდეს სახელგატეხილ მეუღლეს.

ასეთ გამოუძიებლობას, ცილისწამებით ცოლთან გაყრის უფლებას იყენებდნენ ფეოდალები, როდესაც რაიმე სხვა მიზეზის გამო სურდათ განშორება. ასე მოიქცა იმერეთის მეფე, მაშინ ჯერ ბატონიშვილი ალექსანდრე III (გიორგი III-ის ძე). მას ცოლად ჰყავდა გურიელის ქალიშვილი. „შემდგომად ორისა წლისა შესწამა ალექსანდრემ ცოლსა თჳსსა, რეცა სიძუად ქუთათელის ვაჭრისა თანა და განუტევა ცოლი თჳსი და წარავლინა ძით თჳსით ბაგრატით მამისა მისისა გურიელის მამიას თანა“.[2] კიდევ უფრო სასტიკი ისტორია აქვს აღწერილი ჟან შარდენს: ოცდაოთხი წლის ასაკში ლევან დადიანმა შეირთო აფხაზეთის მთავრის ასული, რომელთანაც ორი ვაჟი შეეძინა. ეს იყო მეტად ლამაზი და ჭკვიანი დედოფალი, მაგრამ მას ბრალად დასდეს ქმრის ღალატი. შეიძლება ეს შურისძიებით იყო გამოწვეული მისი ქმრის აშკარა, ყოველდღიური ღალატის პასუხად. იმ ქალებს შორის, რომლებიც მას მოსწონდა, იყო მისი ბიძის — გიორგის ცოლიც. მას ერქვა დარეჯანი და წარმოშობით დიდგვაროვან ჭილაძის ოჯახიდან იყო. დარეჯანი არაჩვეულებრივად ლამაზი და ასევე უზომოდ ბოროტი და პატივმოყვარე იყო. ის არ დაკმაყოფილდა ცოლ-ქმრული ურთიერთობის დარღვევით და ორი წლის განმავლობაში სისხლაღრევითი კავშირით ქმრის ძმისწულ მთავართან. მან ამ ხნის განმავლობაში შთააგონა

---

[1] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, მუხ. 87.
[2] ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 826,3.

მთავარს, რომ მოეტაცა და შეერთო იგი და განქორწინებოდა თავის ცოლს. ლევანმა მოთხოვნა შეასრულა. ეს მრუში დედაკაცი მოიტაცა ქმრის ოჯახიდან და შეირთო ცოლად. რვა დღის შემდეგ აფხაზეთის მთავარს უამალოდ და სირცხვილნაჭამი გაუგზავნა თავისი ასული, რომელსაც ყურები, ცხვირი და ხელები ჰქონდა დაჭრილი. ასეთი უკიდურესი სისასტიკის გასამართლებლად მან ცოლს ბრალად დასდო ღალატი ვაზირთან, რომელსაც პაპუნა ერქვა და რომ ყველა დაერწმუნებინა ამაში, ცოლის დასახიჩრებასთან ერთად ვეზირი ზარბაზანში ჩაატენინა. მიუხედავად ამისა, ყველა ირწმუნებოდა, რომ დედოფალსა და ვეზირს შორის არავითარ ბოროტებას არ ჰქონია ადგილი. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჭილაძის სიავისა და ეჭვიანობის შედეგი იყოო, რასაც ლევანმა მსხვერპლად შეწირა თავისი ცოლი და ვეზირი.[1]

ა. ხახანაშვილს გამოცემული აქვს ჩვენთვის საინტერესო კიდევ ერთი დოკუმენტი. მასში გიორგი მურუსიძე ცოლის მრუშობის გამო განქორწინებისათვის დასტურს თხოულობს სასულიერო ხელისუფალთაგან: „ცოლი გაუშვი, მაგრამ ბოზობის მიზეზით გაუშვი. თუ სხვას მიზეზით გამეშოს... ქრისტესა წინაშე შენ პასუხი მოგცე“. გიორგი მურუსიძის გარდა ორმა მისმა მეზობელმაც შემოჰფიცა, რომ მან მართლაც მრუშობის გამო გაუშვა ცოლი.[2]

ამ საბუთიდან არ ჩანს, დააკმაყოფილა თუ არა ასეთი სახის დამამტკიცებელმა საბუთმა დოსითეოს ნეკრესელი. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეც მოხდა.

ამგვარად, ქართული საისტორიო წყაროები გვიჩვენებენ, თუ რა დაუნდობელია კანონი მრუშობის მიმართ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ვხედავთ, რომ ქმარს, რომელიც ცოლის მრუშობას შეიტყობდა, განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა. მაშინ როდესაც თვითონ ანალოგიურ შემთხვევაში დაუსჯელი რჩებოდა. ამაზე მეტყველებს, აგრეთვე, ქართველ დიდებულთა შორის ბუშებისა და ხარჭების ყოლის არაერთი შემთხვევაც,[3] რომელთაგან აქ მხოლოდ რამდე-

---

[1] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 234-235.

[2] ა. ხახანაშვილი, გუჯრები, გვ. 80-81.

[3] ხარჭა – ცოლის გარდა სხვა ქალი (სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი IV, 2, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილ. აბულაძემ, თბ., 1966, გვ. 416.

ნიმეს მოვიყვანთ: თამარის ისტორიკოსის მიხედვით, გიორგი III-ეს ხარჭები ჰყოლია. სწორედ ერთი ამ „ხარჭთაგანისა ნაშობი", თამარის ნახევარ-და მიათხოვეს სალდუხისძის ძეს მუტაფრადინს.[1] ისტორიკოსის თხრობის კილოს ეტყობა, რომ ხარჭის ნაშობი უფლისწულად არ ითვლებოდა და ღირსებით მეფის კანონიერ შვილზე დაბლა იდგა. იგი იყო „რეცა სახელდებული შვილად მეფისა",[2] თუმცა იმხელა ღირსება კი ჰქონდა, რომ „გარდაიქადეს ქორწილი სახელოანი. შემოსასა თანა მრავალ-მრავალსა უბოძნეს ცხენნი და აკაზმულობანი სხუათა საქონელთა და სიმდიდრეთა თანა და ლართა".[3]

ასევე დავით ულუსაც, ვინაიდან მისი კანონიერი მეუღლე ჯიგდა ხათუნი უშვილო იყო, „ენება... მოყვანა... ალთუნ, ნათესავით ოსი, მეუღლედ, ალმთქმელად, უკეთუ მიეცა ყრმა-წული, არღარა შეიწყნაროს არამედ განუტევოს".[4] და მართლაც, ცოტა ხანში უშვა ალთუნმა მეფეს ძე — გიორგი, „რომელი აღიქუა და შეიყვარა შვილად დედოფალმა ჯიგდახათუნ".[5] ამის შემდეგ კიდევ ერთი შვილი გააჩინა მეფის ხარჭამ, და ულუ დავითმა „აქა შინა განიშორა საყუარელი თჳსი ალთუნ".[6]

უფრო გვიან, XVII ს-ში კი ალექსანდრე IV იმერთა მეფემ „განუტევა დიდებულის ქალი, ვითარცა ცოლად მყოფი, რომლისა თანა ესხნეს ძენი: სჳმონ და გიორგი უქორწინოდ" და მოიყვანა ცოლად გიორგი აბაშიძის ქალიშვილი თამარი.[7]

რაც შეეხება ბუშებს, ოჯახში მათი მდგომარეობის დასადგენად არაერთი დოკუმენტი არსებობს. ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ისინი, მართალია, კანონიერი შვილების უფლებებით ვერ სარგებლობენ, მაგრამ გარკვეული სტატუსი მაინც გააჩნიათ.[8]

---

[1] ისტორიანი და აზმანი, გვ. 44.

[2] იქვე, გვ. 44,11.

[3] იქვე. გვ. 44,13.

[4] ჟამთააღმწერელი, გვ. 236,21.

[5] იქვე, გვ. 236,24.

[6] იქვე, გვ. 237,2.

[7] ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 856,21.

[8] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 44; ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, გვ. 442; სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, მუხ. 110,115; განჩინება გერმანოზიშვილის ბუშისათვის მამულში წილის დადების თაობაზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 223; განჩინება ზაქარია და ედიშერ ციციშვილების მამულის საქმეზე, იქვე, გვ. 529; განჩინება ჭიჭიკო ქიტაშვილისა და ანა ბარაჩაშვილის საქმეზე, იქვე, გვ. 489.

ცოლის უუფლებობა, გამოეხატა აქტიური პოზიცია მრუში მეუღლის მიმართ, კარგად ჩანს ავგიორგის ძის ლევანის მეუღლის თინათინ გურიელის ანდერძში. ეტყობა, სიცოცხლეში თინათინმა ვერ მოახერხა მოერჯულებინა ან გაყროდა თავის მემრუშე ქმარს, ამიტომ სიკვდილის წინ დაიბარა, რომ „არა დამარხონ გუამი მისი ქმრისა თჳსისა ლევანის თანა, არამედ დაემარხოს იგი შუამთას თჳსსა აღშენებულსა მონასტერსა“, რადგანაც „ლევან იყო სიძვისა და მრუშების მოყუარე“.[1]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვახტანგ VI-ის სამართალში ქალთა ემანსიპაციისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა – ოჯახის დანგრევა ქმრის მიზეზითაც გახდა შესაძლებელი. ეს მიზეზი კი სიგიჟე და ქმრის იმპოტენცია გახდა.

„გიჟისა და ბნედიანის ცოლისათვის. თუ ეს სენი ქორწილის წინათ სჭირს და ქმარს შეატყუვეს, მას უკან გამოუჩნდა და ქმარმან აღარ ინდომა, ის შეიტყუნონ სწორედ გასინჯვით, თუ ქორწილს უკან დამართებია.

თუ უწინვე სჭირებია და შეიტყო, ქორწილს უწინვე გაუშვა, ვერავინ მოედავების.

და რადგან შეუტყუებიათ და ქორწილი უქნია, ღონე მეტი აღარ არის, სამ წელიწადს უნდა მოუაროს. თუ ეშველა, ვერ გაუშვებს. თუ არ ეშველა და გაუშვას უსისხლოდ, ასე რომ ზითევი ქალისა ქალს მისცენ და ნიშანი კაცისა.

აგრევე თუ კაცი დასნეულდეს, იმ სენით ხუთს წელიწადს ქალმა მოუცადოს და მოუაროს. აგრევე ძნელი არის მათი გაყრა. მაგრამ რადგან აღარ იქნება, კათალიკოზმა და მოსამართლემ გააშვებინონ, ზითევი და ნიშანი უკლებლივ ქალს მისცენ“.[2]

როგორც ვხედავთ, სიგიჟე და ბნედიანობა (ეპილეფსია) განქორწინებისათვის კანონიერი საფუძველია. ოღონდ, თუ ქმარს ავადმყოფ ცოლს შეატყუებენ, იგი ვალდებულია სამი წლის განმავლობაში უმკურნალოს მას. თუ ცოლი განიკურნება, ქმარი მას ვერ გაუშვებს და თუ ვერ განიკურნა – გაუშვებს „უსისხლოდ“. ქმრის დასნეულების შემთხვევაში კი ცოლმა ხუთი(!) წელიწადი უნდა მოუცადოს, უმკურნალოს მას და მოუაროს. თუ ამის შემდეგაც

---

[1] ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 492,21; ვახუშტი ბატონიშვილი, 572,7.

[2] ვახტანგ VI-ის სამართალი, მუხ. 225.

ალარ ეშველა, კათოლიკოსმა და მოსამართლემ ქალს განქორწინების ნება უნდა მისცენ.

შედარების მიზნით საინტერესოა, ანალოგიური მდგომარეობიდან როგორ გამოსავალს პოულობს კანონმდებელი ვახტანგის სამართლის კრებულში შესულ სომხურ და ბერძნულ სამართლის წიგნებში. სომხური კანონების მიხედვით, ქორწინებაში მყოფი ერთ-ერთი მხარის განუკურნებელი სიგიჟე სრულ საფუძველს იძლევა განქორწინებისათვის.[1] აქაც კანონმდებელი განასხვავებს შემთხვევას, როდესაც ქალი გიჟი იყო გათხოვებამდე და გაგიჟდა გათხოვების შემდეგ. პირველ შემთხვევაში ქალის მშობლებს ევალებათ, წაიყვანონ შვილი და უმკურნალონ „ხატითა და ექიმითა“. თუ ქალი განიკურნება, იგი ხელახლა უბრუნდება ქმარს. მეორე შემთხვევაში კი ქმარმა უნდა უმკურნალოს ცოლს. ამასთან, მკურნალობის ვადად დაწესებულია 7 წელი. თუ ამ ხნის განმავლობაში მკურნალობის შედეგად ცოლი არ განიკურნა, ქმარს შეუძლია იგი გაუშვას.

ანალოგიურად წყდება საკითხი კაცის სიგიჟის შემთხვევაშიც. ბერძნული კანონების მიხედვით, თუ ერთ-ერთი მეუღლე გაგიჟდა დაქორწინების შემდეგ, მაშინ ქალს ქმრისათვის უნდა ემკურნალა ხუთი წლის მანძილზე, ხოლო ქმარს ცოლისათვის — სამი წელი. განუკურნებლობის შემთხვევაში დაიშვებოდა განქორწინება.[2]

საინტერესო და აღსანიშნავია, რომ ვახტანგ VI განქორწინების მიზეზად არ თვლის ქალის უშვილობას: „უშვილობისათვის კაცი ძალად და მის უნებურად ცოლს ვერ დააგდებს და თუ დააგდებს, სრული სისხლი უნდა მისცეს“.[3] სამართლის ეს დებულება, თითქოს, ეწინააღმდეგება ქრისტიანულ დოქტრინას და აღიარებს, რომ ქორწინების უმთავრესი და ერთადერთი მიზანი შთამომავლობის გაჩენა არ არისო. ასევე იქცევა კანონმდებელი კაცის მიმართაც. იგი ასხვავებს მამაკაცის ქალთან შეუღლების უნარს განაყოფიერების უნარისაგან. თუ მამაკაცს განაყოფიერების უნარი არ აქვს, მაგრამ სქესობრივი შეუღლების უნარი გააჩნია, ცოლი ვერ მოითხოვს განქორწინებას. მამაკაცის მხრიდან მხოლოდ სქესობრივი შეუღლების უუნარობა აძლევს ქალს მასთან განქორწინებისათვის საჭირო საფუძველს“.[4]

---

[1] ვახტანგ VI-ის სამართალი, მუხ. 157.

[2] იქვე, მუხ. 93.

[3] იქვე, მუხ. 225.

[4] ვახტანგ VI-ის სამართალი, მუხ. 168.

***

შუა საუკუნეების წყაროებიდან ჩანს, რომ ოჯახები ხშირად კანონიერი მოტივების გარეშეც ინგრეოდა. ცოლთან ასეთ განშორებას ქალის „უბრალოდ დაგდება“ ერქვა: „კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალოდ, და მისი შეუცოდარი იყოს და გაეყაროს ასეთსა, ნახევარი სისხლი დაუურვოს მის დიაცის გუარსა ზედა“,[1] — წერს გიორგი ბრწყინვალე.

ასევე ბექა მანდატურთუხუცესის სამართალშიც ლაპარაკია „უბრალოდ ცოლის დაგდებაზე“.[2] თუ კაცმა ცოლი „უბრალოდ“ დააგდოსო, ამბობს კანონმდებელი, — „სისხლისა ნახევარი მისცეს“ და მზითევიც სრულად გაატანოსო.

რა თქმა უნდა, ანალოგიური დარღვევისათვის ცოლს გაცილებით უფრო მკაცრად სჯიდა კანონმდებელი. ბექა მანდატურთუხუცესის სამართალიც უფრო მეტ სისასტიკეს იჩენს ცოლის მიერ ქმრის თვითნებურად მიტოვების დროს, ვიდრე პირიქით: „პირველად დიაცი ქმრისა დაგდებასა არა ღირსა, თუ რადმე დააგდოს, ღმერთი შერისხდეს მისითა ენაჭრელობითა. რა გვარისაცა იგი კაცი იყოს, ეგეთი სისხლი მისცეს დიაცმან“.[3] როგორც ვხედავთ, ცოლის ცალმხრივი ნებით ქმრის მიტოვება ორჯერ უფრო სასტიკად ისჯება ქმრის ანალოგიურ მოქმედებასთან შედარებით.

„კათალიკოზის კანონებიდანაც“ ჩანს, თუ როგორი სასტიკი ღონისძიებებით ცდილობდნენ შუა საუკუნეების საქართველოში უკანონო განქორწინების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ კანონების 23-ე მუხლის მიხედვით, ვინც უმიზეზოდ გაეყრებოდა თავის ცოლს, იგი სიკვდილით უნდა დასჯილიყო.[4] ცხადია, ასეთი ნორმა მეტად სასტიკია და იგი ქართულ სინამდვილეს, ალბათ, არც ასახავდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოში ხელისუფლებას ცოლის „უბრალოდ“ დაგდებისათვის ქმარი სიკვდილით დაესაჯა.

კათალიკოზის კანონების გაგრძელებად ითვლება ე.წ. ბიჭვინთის ეკლესიის აქტები, რომლებიც ა. ხახანაშვილმა გამოსცა.[5] იგი შედგე-

---

1 ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, მუხ.21.

2 ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, მუხ. 29.

3 იქვე, მუხ. 32.

